ჰელიტრა მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

1 მარტი **სამშაბათი** 2011
№048 (13345) ფასი 60 თეთრი

ვიქტორ სანიკიძის ამერიკული ფრენა

ვირტუსის მწვრთნელი ლარდო ლინო

სანიკიძეს ნამდვილად შეუძლია უმაღლესი კლასის კალათბურთელად ჩამოყალიბდეს, მას საოცარი ენერგია აქვს.

Corriere dello Sport.it

ორმაგი დუბლის ავტორი სანიკიძე მატჩის საკვანძო ფიგურა გახლდათ

Tuttobasket.net

ვირტუსმა გამარჯვებას ვიქტორ სანიკიძის წყალობით მიაღწია

ALL AROUND

LA WEBZINE DEDICATA AL BASKET

მატჩის MVP: ვიქტორ სანიკიძე. მისი ენერგია, მონდომება და ათლეტიზმი ძელავდა ყველას...

12

ესპანური გამოცდილებიდან ფრანგულ ოპტიმიზმამდე

ინტერვიუ კობა ჟორჟიკაშვილთან

2

გვაზავა ნაკრებში ბრუნდება?

3

დღეს, 23:45. სტემფორდ ბრიჯი

ჩელსი VS მანჩესტერი

წინათქმა 6

ნანა ძაგნიძე მეოთხემდე აღზევდა

გუშინ ფიდემ გამოაქვეყნა საუკეთესო მოჭადრაკეთა რეიტინგ-ლისტი 2011 წლის 1 მარტისთვის. ქართველმა დიდოსტატმა ნანა ძაგნიძემ, რომელიც ახლა დოჰაში ფიდეს გრანპრის ბოლო ეტაპში მონაწილეობს და მე-6 ტურში 2006-2008 წლების მსოფლიოს ჩემპიონ სიუ იუჰუას (ჩინეთი) სძლია, 2567 პუნქტით მეშვიდედან მე-4 ადგილზე აინაცვლა: ის მხოლოდ უნგრელ იუდით პოლგარს (2686), ინდოელ ჰამფი კონერუს (2607) და ჩინელ მსოფლიოს ჩემპიონ ჰოუ იფანს (2602) ჩამორჩება. 2008 წლის საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებულისთვის ეს მიღწევა კარიერაში საუკეთესოა.

ვაჟა დანელია

ქართული ფეხბურთი

● საქართველოს ჩემპიონატი

მეტრეველის მოტივაცია

სპარტაკთან სამ ქულას ნურავინ დაგეგმავთო

28.02. თბილისი. შატილი/ნ.დინამო. 500 მაყურებელი

სპარტაკი	3
სიონი	0

1:0 მეტრეველი (31. ბოლქვაძის პასით), 2:0 მეტრეველი (65. დეკანოიძის პასით), 3:0 მეტრეველი (81. მგელაძის პასით).

სპარტაკი 4-2-3-1	სიონი 4-2-3-1
გრიშიკაშვილი	ბოგლიაშვილი
ჭაფოძე	კოგაური
მგელაძე	სვანიძე
ბოიოგო	თარგამაძე
ოთარაშვილი	ქორიძე
მამულაშვილი	ნოზაძე
შონია	დიდავა
მ. ჯიშკარიანი	ისიანი
ვ. ბოლქვაძე	ჩირიკაშვილი
დეკანოიძე	ქუცურუა
მეტრეველი	რ. ჯიქია
მწვრთნელი	მწვრთნელი
ბ. კვარაცხელია	გ. ყიფშიძე

სპარტაკი

61. ჯიშკარიანი – **კლოვისი**
84. შონია – **კილასონია**
87. დეკანოიძე – **ალავიძე**

სათადარიგოები: ხომერიკი, ტეტუნაშვილი, კაკაშვილი, ყურახელიძე

სიონი

46. ქუცურუა – **ნ. კვასხვაძე**
71. თარგამაძე – **გ. რეხვიაშვილი**
76. ისიანი – **ადამაშვილი**

სათადარიგოები: მერლანი, ვაშაკიძე, გ. ოქროპირიძე, მ. ოქროპირიძე.

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი (თბილისი)

ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპზე "სპარტაკმა" სამი ტური ჩაატარა, ცხინვალელთა თავდამსხმელმა **ზვიად მეტრეველმა** კი უკვე ოთხი გოლი გაიტანა, მაგრამ მხოლოდ ორ შეხვედრაში, რადგან დისკვალიფიკაციის გამო, "ზესტაფონთან" ვერ ითამაშა. მეტრეველმა თბილისის "დინამოსაც" გაუტანა, მაგრამ მაშინ ითქვა, ყოფილი კლუბი ნებისმიერი ფეხბურთელისთვის გამაღიზიანებელი ფაქტორია და მონდომებით ამიტომაც ითამაშაო.

"სიონთან" მეტრეველმა "ჰეთ-თრიქი" შეასრულა და ორივე გუნდში საუკეთესო გახლდათ. მართალია, "სიონი" ლიდერთა ჯგუფს არ განეკუთვნება, მაგრამ კარგა ხანია არ გვახსენდება, საქართველოში თავდამსხმელს მცველები ასე დაეჩაგროს. მეტრეველი მცველებს მუდამ ასწრებდა და კარგად გრძნობდა სად უნდა გახსნილიყო.

ცხადია, ბოლნისელებს მხოლოდ მეტრეველი ვერ დაამარცხებდა. **ბადრი კვარაცხელიას** გუნდში წლეულს ბევრი ისეთი ფეხბურთელი გამოჩნდა, რომლებსაც სხვა კლუბების შემადგენლობაში კარი დაუხურეს, "სპარტაკში" კი გასაქანი მიეცათ და ლაღად ათამაშდნენ.

მატჩში, რომელიც გორშ დიდთოვლობის გამო გადაიდო, თბილისში გაიმართა და "სპარტაკმა" იოლად გაიმარჯვა. თუმცა დასაწყისში "სიონის" თავდამსხმელი **რევაზ ჯიქია** ვალდებული იყო გაეტანა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასულმა კარს ააცილა.

ზვიად მეტრეველმა პირველი გოლი **ვალერი ბოლქვაძის** მშვენიერი გადაცემით გაიტანა, მცველებს დაასწრო და ლამაზი თავური დარტყმა გამოუვიდა – 1:0.

მეორე გოლი 65-ე წუთზე **ბესიკ დეკანოიძის** აქტიურობის შედეგად გავიდა, მეტრეველი კვლავ დასარტყმელ პოზიციაზე აღმოჩნდა და შანსი ამჯერადაც გოლად აქცია – 2:0. თავად დეკანოიძესაც შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ მისი დარტყმული ხარიხას მოხვდა. 81-ე წუთზე **ნიკა მგელაძის** პასით მეტრეველი მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა და მესამე გოლიც გაიტანა – 3:0.

"სიონი" ანგარიშის შემცირებას შეეცადა, აქტიურად ჩაერთო თამაშში **საბა ადამაშვილი**, ვისი შორეული დარტყმაც **სოსო გრიშიკაშვილმა** მოიგერია. დასამახსოვრებელი, მაგრამ უშედეგო გამოდგა **ლაშა ნოზაძისა** და **ირაკლი ჩირიკაშვილის** შეტევებიც.

"სიონის" კარის აღება მეოთხედ შეეძლო მეკარესთან პირისპირ დარჩენილ სპარტაკელ **გიორგი მამუჩიშვილს**, მაგრამ **მინდია ბობღიაშვილმა** კარგი რეაქცია გამოავლინა, მალე კი მსაჯის სასტვენის ხმამ "სპარტაკის" დამსახურებული გამარჯვება დააფიქსირა – 3:0.

გიორგი ყიფშიძე ("სიონის" მთავარი მწვრთნელი): *"ძალიან ცუდად ვითამაშეთ, განსაკუთრებით მეორე ტაიმში. მატჩის შედეგზე დიდი გავლენა გოგობერიშვილისა და ორბელაძის არყოფნამ იქონია, მათმა შემცვლელებმა ვერ გაამართლეს. მაგრამ "სპარტაკის" წარმატებას არ დავაკნინებ – ცხინვალელებმა ღირსეულად მოგვიგეს".*

ბადრი კვარაცხელია ("სპარტაკის" მთავარი მწვრთნელი): *"კმაყოფილი ვარ ანგარიშითაც და თამაშის ხარისხითაც. გუნდი ისეთ განწყობაზეა, შესაძლებელია, გასავარდნთა ზონას თავი მალე დავაღწიოთ. ყველა გუნდს ვაჩვენებთ, რომ "სპარტაკთან" სამ ქულას ვერავინ დაგეგმავს და მჯერა, ჩემი ბიჭები მომდევნო შეხვედრებს კიდევ უკეთ ჩაატარებენ. მეტრეველი "ზესტაფონთან" ძალიან გვაკლდა, არადა ყვითელი ბარათი მსაჯთან კამათისთვის მიიღო. ვფიქრობ, ის დღეისათვის საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია – ორ მატჩში ოთხი გოლი კარგი მაჩვენებელია".*

ზვიად მეტრეველი: *"ახალ კლუბს კარგად შევეწყვე და თამაშიც გამომდის. მიხარია, მწვრთნელს ნდობას რომ ვუმართლებ. "დინამოსთან" სატრენინგო არაფერი მაქვს, პირიქით, ამ გუნდში ბევრი რამ ვისწავლე, ეს მე არ წამივიდა თამაში და ვერ შევეწყვე. "სპარტაკში" გადასულს კი მსურდა დამემტკიცებინა, რომ თამაში შემძლო. შევეცდები, ასეც გავაგრძელო, რაშიც მთელი გუნდი მეხმარება. და კიდევ - ბოლქვაძის მსაგავსი პასის მიმცემი ფეხბურთელი ნებისმიერ თავდამსხმელს აათამაშებდა".*

მერაბ მამულაშვილი

ად	გუნდი	თ	მ	ფ	წ	გუნდები		ქ
						ბაგ	ბაშ	
1	ზესტაფონი	21	14	2	5	43	13	44
2	ოლიმპი	22	13	5	4	33	19	44
3	დინამო	21	10	7	4	24	11	37
4	ვიტ ჯორჯია	22	9	2	11	23	27	29
5	ბია	21	8	5	8	21	23	29
6	ტორპედო	21	6	8	7	11	12	26
7	სიონი	22	6	7	9	15	27	25
8	ქოლხეთი	22	6	4	12	16	34	22
9	სამტრედია	21	5	5	11	19	36	20
10	სპარტაკი	21	5	5	11	23	26	20

ბომბარდირები	გოლი (პენალტით)
წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი)	11 (1)
გელაშვილი (ზესტაფონი)	11
მოდებაძე (ოლიმპი)	10 (1)

გადადებული მატჩები

3 მარტი

ზესტაფონი-ტორპედო
სპარტაკი-სამტრედია

● U17 ინტერვიუ კობა ჟორჟიკაშვილთან

ესპანური გამოცდილებიდან ფრანგულ ოპტიმიზმამდე

მიზანი, რომელიც არ არის შეუსრულებელი

ახლოვდება ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდი და იქ გასული საქართველოს ნაკრების მიმართ გულშემატკივრის ინტერესი უფრო და უფრო იზრდება. შეგახსენებთ, ჩვენი გუნდი 25 მარტიდან საფრანგეთში ითამაშებს, სადაც მასპინძლებთან ერთად მისი მეტოქეები ნორვეგია და ბელარუსი იქნებიან. კონტინენტის პირველობის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლებას მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებული მოიპოვებს.

რამდენიმე დღის წინ საქართველოს ნაკრები მადრიდიდან დაბრუნდა, სადაც ესპანელ 17-წლამდელებთან ორი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. 1:2 და 0:0 – ასეთია ჩვენი გუნდის შედეგი, რაც ელიტრაუნდში წარმატების იმედებს გვიძლიერებს. ესპანური ვოიაჟის, ნაკრების დღევანდელი კონდიციებისა და სამომავლო გეგმების შესახებ გუნდის მთავარ მწვრთნელს კობა ჟორჟიკაშვილს ვესაუბრეთ და ვფიქრობთ, მისი მონათხრობი საინტერესო წასაკითხი უნდა იყოს.

ზღაპრული საფეხბურთო სამყარო

"მადრიდში ესპანეთის ეროვნული ნაკრების "ლას როსასის" ბაზაზე ვცხოვრობდით და იდეალურ პირობებში ვვარჯიშობდით. მასპინძლებმა დიდი პატივი გვცეს და მათი წყალობით, ზუსტად ისეთივე სიტუაციაში ვატარებდით საწვრთნელ პროცესს, როგორშიც ესპანეთის 17-წლამდელთა ნაკრები.

საფეხბურთოს გარდა, მადრიდიდან კულტურული შთაბეჭდილებებით აღვსილიც დავბრუნდით. დავათვალიერეთ "ლას როსასის" ბაზაზე ესპანური ფეხბურთის მუზეუმი, "სანტიაგო ბერნაბეუ" და მადრიდის სხვა ღირსშესანიშნაობები".

რა უნდა ვისწავლოთ ესპანელებისგან

"ალბათ, მკითხველს აინტერესებს, როგორია მსოფლიოს ჩემპიონი ქვეყნის საფეხბურთო მეთოდიკა და ფილოსოფია. ამაზე საუბარი ძალიან შორს ნაგვიყვანს, მაგრამ ჩემს შთაბეჭდილებებს მოკლედ მაინც ჩამოვაყალიბებ.

იცით, რომ მადრიდში ხიმენეს მელენდესის მიწვევით ჩავედით. გარდა იმისა, რომ ესპანეთის 17-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელია, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციაში მწვრთნელთა განათლების პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელიცაა. დაახლოებით 10-12 წელიწადია, რაც მისი ძალისხმევით ესპანეთის ყველა ასაკობრივმა ნაკრებმა იმ სტილით თამაში დაიწყო, რასაც დღეს მათი ეროვნული ნაკრები და "ბარსელონა" უჩვენებს. ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელები ფეხბურთელებს მომდევნო ნაკრებში კი არ "მიჰყვებიან", ადგილზე რჩებიან და ახალ-ახალ თაობებს ზრდიან. ამ სისტემამ რომ გაამართლა, ფაქტია – მელენდესის ხელმძღვანელობით ესპანელი 17-წლამდელები მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები გახდნენ. ნებისმიერ ასაკში ამ ქვეყნის ნაკრები ყოველთვის ჩემპიონობის რეალური კანდიდატია. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ესპანელებს 16-წლამდელთა ნაკრებზე მცირე ასაკის ნაკრები არ ჰყავთ. ფეხბურთის ფედერაცია კლუბებს აბსოლუტურად ენდობა, რადგან იქ ნაკრების კანდიდატებს ფედერაციის მწვრთნელთა რეკომენდაციების მიხედვით ამზადებენ. სისტემატურად იმართება ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელთა თათბირი, რომელსაც ეროვნული გუნდის თავკაცი ვისენტე დელ ბოსკე უძღვება ხოლმე.

ესპანელები თამაშობენ სწრაფი და მოკლე გადაცემებით, ნებისმიერ მომენტში ფეხბურთელს შეტევის გაგრძელების ორი-სამი ვარიანტი აქვს, დინამიკაში იქმნება სამკუთხედები და რომბები. ესპანელები ყოველთვის დაბალზე შეკრეჭილ ბალახზე თამაშობენ და თამაშის წინ გაზონს რწყავენ, რათა ბურთმა უფრო სწრაფად იმოძრაოს.

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს თამაში სწორედ ასეთ პირობებში მოუწია და მართალია, ჩვენს ბიჭებს მოწინააღმდეგის სტილთან ადაპტირებისთვის გარკვეული დრო დასჭირდათ, მაგრამ მალე ძალაუნებურად მათ ტემპსაც აჰყვნენ და მთელ რიგ ეპიზოდებში მეტოქეს არაფრით ჩამოუვარდებოდნენ. ზედმეტადაც კი მიმაჩნია იმაზე ლაპარაკი, თუ რაოდენ სასარგებლო იყო ჩვენი გუნდისთვის ეს შეკრება და მატჩები".

პირველი მატჩი

"მადრიდში ჩაფრენა ავიარეისის შეფერხების გამო დაგვიგვიანდა, ამას აკლიმატიზაციის პროცესი დაემატა და პირველ შეხვედრას ბიჭები არცთუ ოპტიმალური კონციდიციებით შეხვდნენ. გადაღლილობის გამო უშუალოდ თამაშის დროსაც ჩვენს რამდენიმე ფეხბურთელს კუნთი დაეჭიმა.

გასაგები მიზეზების გამო, "მეორე ნომრად" ვითამაშეთ, მაგრამ პირველი ტაიმი მაინც 0:2 დავთმეთ. შესვენების შემდეგ საქართველოს ნაკრების წევრები ნელ-ნელა გამოცოცხლდნენ, ფსიქოლოგიური წნეხიც გადალახეს და მეტოქეს უფრო თამამად შეუტიეს. ჩვენმა კონტრიერიშებმა შედეგი გამოიღო, ნიკა სანდოხაძის ნაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი ბაჩანა არაბულმა გაიტანა და იმის მიუხედავად, რომ ანგარიშის გათანაბრების შანსები გვქონდა, მინიმალურად დავმარცხდით".

» მე-3 გვერდზე



დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. *ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

U17

ესპანური გამოცდილებიდან ფრანგულ ოპტიმიზმამდე

მიზანი, რომელიც არ არის შეუსრულებელი

« მე-2 გვერდიდან

მეორე მატჩი

"მეორე შეხვედრისთვის მოსამზადებლად უფრო მეტი დრო გვქონდა. ძირითად შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება განვახორციელეთ და მეტოქის მიმართ ყოველგვარი რიდიც დავძლიეთ. ნამდვილად არ იყო ისეთი შინაარსის თამაში, 0:0 რომ დასრულებულიყო, მაგრამ ისე მოხდა, რომ საგოლე შანსები ვერც ჩვენ გამოვიყენეთ და ვერც ესპანელებმა.

ეს შედეგი, რაღა თქმა უნდა, ჩვენთვის მისაღები იყო, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ასეთ მეტოქესთან მატჩებში ბიჭებმა ჰაერივით საჭირო გამოცდილება შეიძინეს".

ესპანეთს კიდევ შევხვდებით

"საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორი ნიკა ჩხეიძე მადრიდში ესპანელ კოლეგა ფერნანდო იეროს და ვისენტე დელ ბოსკეს შეხვდა და მათ სამომავლო თანამშრომლობის შესახებ ესაუბრა. იეროსა და დელ ბოსკეს გარდა, მატჩებს დაესწრო ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ანხელ მარია ვილიარი და ჩვენი გუნდის თამაში სამივეს მოეწონა. ვილიარმა ერთობლივი ვახშმისას ქართველ ფეხბურთელებს ხელი სათითაოდ ჩამოართვა და წარმატებები უსურვა.

უკვე გადაწყვეტილია, რომ ესპანეთში იმავე პირობებში შეკრებასა და საკონტროლო მატჩებს ჩაატარებს საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები, რომელსაც გელა შეყილაძე ხელმძღვანელობს. არც ისაა გამორიცხული, ესპანეთის რომელიმე ასაკობრივი ნაკრები შეკრებისა და თამაშების გასამართავად საქართველოს ეწვიოს.

სასიხარულოა, რომ ესპანელებისთვის მეგობრების გარდა, ღირსეული სპარინგპარტნიორებიც აღმოჩნდით".

ჩვენი გუნდი

"ვერ ვიტყვი, რომ ელიტრაუნდში წარმატებით სათამაშოდ ბოლომდე მზად ვართ, მაგრამ საქართველოს ნაკრები უდავოდ სწორი გზით მიდის და თუ საწვრთნელი პროცესი შეუფერხებლად გავიარეთ, ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი უდავოდ გვექნება.

ყველა რგოლის თამაში ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს. გარკვეული კომპონენტები ჯერ კიდევ დასახვეწი გვაქვს, მაგრამ გადაუჭრელი პრობლემა ნამდვილად არ გვაქვს.

ცალკეული ფეხბურთელების გამორჩევას აღარ შევუდგები, სასაყვედურო კი არავის მიმართ მაქვს, ბიჭები ბოლომდე იხარჯებიან. ლუკას ჰუფნაგელს ესპანეთთან პირველ მატჩამდე მცირე ხნით ადრე "ბაიერნის" 17-წლამდელთა გუნდის შემადგენლობაში ჰქონდა ნათამაშები და ამიტომ ბოლომდე ვერ დაიხარჯა. მსგავსი რამ ელიტრაუნდისთვისაც რომ არ განმეორდეს, კლუბს თხოვნით მივმართავთ, რომ მანამდე ლუკასი ნაკლებად დატვირთონ. მე და გაიოზ დარსაძეს "ბაიერნის" მწვრთნელთა კოორდინატორ ჰერმან ჰუმელსთან, რომელიც ცნობილი ფეხბურთელის, მატს ჰუმელსის მამაა, ახლო ურთიერთობა გვაქვს და იგი ჩვენს თხოვნას აუცილებლად გაგებით მოეკიდება.

დაცვაში განსაკუთრებული პრობლემები არც აქამდე გვქონდა, მეკარე გაბრიელ თებიძემ კიდევ ერთხელ დამარწმუნა თავის პერსპექტივაში. კარგი რეაქციისა და აუღელვებელი თამაშის გარდა, მან ესპანეთში ისიც დაგვანახა, რომ თამაშის წაკითხვის კარგი უნარი აქვს. იგი კარიდან რამდენიმეჯერ დროულად გამოვიდა და მეტოქის სახიფათო გადაცემები აღკვეთა".

ორი დებიუტანტი

"ელიტრაუნდის შემდეგ ნაკრებს რამდენიმე ახალი ფეხბურთელი დაემატა, რომელთაგანაც ორს ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის რეალური შანსი აქვს. ესენი არიან 35-ე საფეხბურთო სკოლის საყრდენი ნახევარმცველი, წარმოშობით ახმეტელი შალვა ექვთიმიშვილი და ბელგიური "ბეერსხოტის" გარემარბი ნიკა ტარყაშვილი. ექვთიმიშვილს საქართველოშიც ვაკვირდებოით, ტარყაშვილი კი პირველად ესპანეთში ვნახეთ და ორივე მათგანზე დადებითი შთაბეჭდილება ჩამოგვიყალიბდა".

მეტოქეები

"როგორც იცით, მომავალი მეტოქეების შესახებ ინფორმაციის შეგროვება წილისყრის დასრულებისთანავე დავიწყეთ. საფრანგეთის ნაკრებმა პირველი ეტაპი კვიპროსზე ჩაატარა და თემურ ქეცბაიამ ამ გუნდის სამივე თამაშის ვიდეოჩანაწერი მოგვაწოდა. ნორვეგია ბელგიასთან იყო ჯგუფში და მის შესახებ ინფორმაციას ბელგიის 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელისგან ვიღებთ, რომელიც ჩვენი მეგობარია. ბელარუსთან კი გასულ ზაფხულს "პალანგის თასზე" ვითამაშეთ



და დამაჯერებლად გავიმარჯვეთ. თუმცა არც ესაა ხელწამოსაკრავი გუნდი და მასზეც ვაგროვებთ ინფორმაციებს. მეტოქეების შესწავლას საფრანგეთში ჩასვლის შემდეგაც გავაგრძელებთ.

ესპანელებს კი საქართველო-ინგლისის მატჩის ვიდეოჩანაწერი მივაწოდეთ. ინგლისი ელიტრაუნდში მელენდესის გუნდის მეტოქე იქნება".

კალენდარი

"შეიძლება ბევრს მოეჩვენოს, რომ ელიტრაუნდის საფრანგეთთან მატჩის დაწყება არასასურველია, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. მასპინძელთა მხარეს ყოველთვის არის მსაჯების გარკვეული სიმპათია, ტურნირის სტარტზე კი ეს ნაკლებადაა მოსალოდნელი. თანაც, ფინალურ ეტაპზე მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებული გადის და არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას, ვის როდის შეხვდები".

ლევან ჯანეზაშვილი

P.S. *17-წლამდელთა მწვრთნელის ნაამბობს, ჩვენი მხრივ, იმას დავამატებთ, რომ ელიტრაუნდში ღირსეულად ასპარეზობისთვის მაქსიმუმი უნდა გააკეთონ მწვრთნელებმაც, ფეხბურთელებმაც და ფეხბურთის ფედერაციამაც. ვიმედოვნებთ, კარგად წამოწყებული საქმე ასევე გაგრძელდება და მზადების გადამწყვეტ ეტაპზე ამ უდავოდ პერსპექტიულ გუნდს მთავარი მიზნის შესასრულებლად ყველა პირობა შეექმნება. ელიტრაუნდამდე თვე ზე ნაკლები რჩება და სასურველი კი არა, აუცილებელია, რომ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები კიდევ ერთი ნაყოფიერი შეკრებითა და ძლიერი სპარინგპარტნიორებით იყოს უზრუნველყოფილი.*

ეროვნული ნაკრები

გვაზავა ნაკრებში ბრუნდება?

თემურ ქეცბაია ხორვატიისა და ისრაელის ეროვნულ ნაკრებებთან მარტის ბოლოს დანიშნული შეხვედრებისთვის ფეხბურთელთა შერჩევას იწყებს. ცხადია, ბირთვი უკვე ცნობილია, მაგრამ რამდენიმე სიახლეც არის მოსალოდნელი. ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა არაერთხელ აღნიშნა, რომ შეტევის ნაკლებად ეფექტურობის მიზეზი ნახევარდაცვაში შემოქმედებითი ფეხბურთელების ნაკლებობაა და შეტევის გაძლიერებაზე ფიქრობს. ამასთანავე, ქეცბაია საყრდენების ოპტიმალურ წყვილსაც ეძებს.

შევიტყვეთ, რომ თემურ ქეცბაიამ გაფართოებულ სიაში გროზნოს „ტერეკის" საყრდენი ნახევარმცველი **ლევან გვაზავაც** შეიყვანა, ფედერაციის შესაბამის განყოფილებებს კი მასთან დაკავშირება დაავალა.

ქეცბაიამ გვაზავა ნაკრებში გასულ წელს კამერუნთან ამხანაგური მატჩისთვისაც გამოიძახა. თუმცა მაშინ ჩეჩნური კლუბის საყრდენი ნახევარმცველი საპასპორტო პრობლემის გამო ვერ ჩამოვიდა - დაბრკოლებებს რუსეთის მოქალაქეობა უქმნიდა. ამის შემდეგ ეს საკითხი მოგვარდა, გვაზავამ საქართველოს პასპორტი დაიბრუნა, მაგრამ მოლდოვის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩის შეკრებაზეც არ გამოცხადდა. უცნაური ის იყო, რომ მანამდე გვაზავას ნაკრების მწვრთნელთა გულგრილობაზე სწყდებოდა გული, საქმე საქმეზე რომ მიდგა, თავად არ ჩამოვიდა.

გავიდა დრო და ცნობილი გახდა, რომ ლევანს არა რუსეთის მოქალაქეობა, არამედ საკლუბო საკითხის მოუგვარებლობა აბრკოლებდა. გვაზავას "ტერეკთან" კონტრაქტი გასული წლის დეკემბერში უმთავრდებოდა და ფიქრობდა, საქართველოს ნაკრებში ნათამაშებს, პრემიერლიგის კლუბში აყვანის დროს პრობლემები შეექმნებოდა. ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, ასეთი ბარიერი მართლაც არსებობს და ამიტომაც აიღო ბევრმა ჩვენიანმა რუსეთის პასპორტი.

გვაზავამ "ლელოსთან" თქვა კიდეც: *"ბოლო წლებში ნაკრებში პირველად თემურ ქეცბაიამ მიმიწვია. გამიხარდა, ჩამოსვლა ძალიან მინდოდა, მაგრამ ჯერ საპასპორტო პრობლემებმა შემაფერხა, შემდეგ კი მოქალაქეობა დავიბრუნე, მაგრამ დაბრკოლებები კლუბში წარმოიქმნა, რაც კონტრაქტს უკავშირდებოდა. მე არასდროს ვიტყვი ნაკრებზე უარს, როცა პრობლემებს მოვაგვარებ, მერე აუცილებლად ჩამოვალ. ხომ იცით, რუსულ კლუბში რა ბარიერები გვექმნება?".*

დეკემბერში 31 წლის ნახევარმცველმა გროზნოელებთან ახალი ხელშეკრულება გააფორმა, ტრავმაც მოიშუშა და წესითა და რიგით, ნაკრებში მის ჩამოსვლას ახლა არაფერი უნდა აბრკოლებდეს. ასეთი გამოცდილი ფეხბურთელი კი ნაკრებს არ აწყენდა, რადგან საყრდენი გვაზავა მშვენიერი გადაცემებითაც გამოირჩევა და ეროვნული გუნდის მწვრთნელებიც ამით დაინტერესა.

შეგახსენებთ, რომ ლევან გვაზავა რუსეთის პრემიერლიგაში 2007 წლიდან თამაშობს, გამოდიოდა ვლადიკავკაზის "ალანიაში" და ვლადივოსტოკის "ლოკომოტივში", გროზნოს "ტერეკში" კი 2008 წელს გადავიდა.

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონერები

სამი ქართველი ხიმკიში

ნავალოვსკიმ ალანია აღარ ისურვა

ორი კვირის წინ რუსულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" მცველი **გიორგი ნავალოვსკი** ვლადიკავკაზის "ალანიაში" გააგრძელებდა კარიერას. ოსური კლუბი ემზადება, საკონტროლო შეხვედრებს მართავს და ყოველი ახალი შეხვედრის შემდეგ გუნდის შემადგენლობაში ნავალოვსკის გვარს ვეძებდით, მაგრამ "ალანიამ" ხუთჯერ ითამაშა და მის შემადგენლობაში არა და არ ჩნდებოდა. ვლადიკავკაზელთა შორის მხოლოდ ახალგაზრდა **ივანე კანდელაკი** თამაშობდა, რომელიც ცხინვალის "სპარატაკსა" და ზუგდიდის "ბაიას" მცველი გახლდათ. არადა, ცნობილმა ვებგვერდმა "სოკერვეიმ", რომელიც შეცდომას იშვიათად უშვებს, ნავალოვსკი "ალანიას" წევრად გამოაცხადა.

როგორც დავადგინეთ, ნავალოვსკის ტრავმა არ ანუხებდა, რაც მისი არყოფნის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ყოფილიყო - **ვალერი გაზაევის** კლუბმა შეკრება დაასრულა და ცხადი იყო, საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი "ალანიაში" არ გადასულა. თურმე, გიორგი ვლადიკავკაზელებს ესპანურ შეკრებაზე არც გაჰყოლია.

ისევე როგორც "ვოლგადან" წამოსული კიდევ ერთი ჩვენებური, **ედიკ საჯაია**, ახლა ნავალოვსკიც რუსეთის პირველი დივიზიონის "ხიმკიში" ვარჯიშობს და ახალ კლუბში მათი ჩარიცხვაც, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. ამ გუნდის შემადგენლობაში მათ უკვე საკონტროლო შეხვედრებიც გამართეს: ყაზახურ "აქტობეს" 1:0 სძლიეს, საჯაიამ და ნავალოვსკიმ კი ძირითადში ითამაშეს, შემდეგ მოსკოვის "ლოკომოტივის" დუბლებსაც იმავე ანგარიშით აჯობეს, თანაც ნავალოვსკის მიერ 86-ე წუთზე გატანილი ერთადერთი გოლით – მან მცველს შეცდომა არ აპატია და ახლო მანძილიდან გაიტანა. მოსკოველებთანაც ორივემ ძირითადში ითამაშა.

"დავიმატეთ ცენტრალური მცველი ედიკ საჯაია და მარცხენა მცველი გიორგი ნავალოვსკი. ისინი ბოლო ორი წლის განმავლობაში იმ კლუბებში თამაშობდნენ, პრემიერლიგაში გადასვლა რომ მოახერხეს. ვფიქრობ, პერსპექტივაში ეს მშვენიერი შენაძენია" – თქვა "ხიმკის" მთავარმა მწვრთნელმა **ალექსანდრ გრიგორიანმა**.

აღსანიშნავია, რომ ორივე შეხვედრაში მოედანზე ძირითად შემადგენლობაში მესამე ქართველიც იყო - **ვლადიმერ გოგბერაშვილი.** ის ჩვენი გულშემატკივრისთვის უცნობი ფეხბურთელია. გოგბერაშვილი ქუთაისელია, მაგრამ მოსკოვის "დინამოს" საფეხბურთო სკოლაში გაიზარდა. 23 წლის ახალგაზრდა ნახევარმცველი თავიდანვე რუსეთში თამაშობდა, კარიერა ვლადიმირის "ტორპედოში" დაიწყო, პიატიგორსკის "მაშუკში" გააგრძელა და შემდეგ პირველ ლიგაში დაქვეითებულ ვლადივოსტოკის "ლუჩ-ენერგიაში" გადავიდა.

გასული წელს გოგბერაშვილი ლიტვაში გადაბარგდა და ჯერ უმაღლესი ლიგის აუტსაიდერ "ვეტრაში" ჩაირიცხა, შემდეგ კი ევროთასებზე გასულ მარიამპოლეს "სუდუვაში". თუმცა ჩემპიონატის დასრულების შემდეგ რუსეთში დაბრუნდა. ვლადიმერ გოგბერაშვილი რუსეთის მოქალაქეა.

ტანდაბალი ნახევარმცველი სპორტს. რუ-მ კავკასიელ "არშავინად" მონათლა და პიატიგორსკში გამოსვლის დროს ასე დაახასიათა: *"დაბალი (165 სმ), მაგრამ ძალიან სწრაფი და ტექნიკური ნახევარმცველია. ასაკის მიუხედავად, უკვე სამი წელია რუსეთის პირველლიგაში ერთ-ერთი გამორჩეულია გასაცარ ფინტებითა და ფილიგრანული გადაცემებით. მას მხოლოდ სტაბილურობა აკლია. იმედია, გოგბერაშვილი უდავოდ დიდ ნიჭს პირველი ლიგის რომელიმე კლუბს მაინც მოახმარს. ორი აზრი არ არის, ასეთი ტალანტის "მაშუკში" დაკარგვა დასანანი იქნება".*

ცნობისთვის: ოდესლაც პრემიერლიგელმა "ხიმკიმ" გასული სეზონი მე-13 ადგილზე დაასრულა.

მერაბ მამულაშვილი

ყოფილი დინამოელები

აკირემს დინამო ენატრება, სპასოევიჩი ინდონეზიაშია

თბილისის "დინამოდან" წასული ლეგიონერებთან დაკავშირება დიდი ხანია გვსურდა და ეს როგორღაც მოვახერხეთ. "ლელო" ორ ყოფილ დინამოელს ელაპარაკა, ორივე თავდამსხმელია: ჩერნოგორიელი ილია სპასოევიჩი და გაბონელი ჯორჯ აკირემი. სპასოევიჩს თბილისურ კლუბთან კონტრაქტი 2009 წელს დაუსრულდა და "დინამომ" მისი გახანგრძლივება არ ისურვა, აკირემის ხელშეკრულების ვადა კი გასულ წელს დასრულდა. მას დარჩენას რუსთავის "ოლიმპი" სთავაზობდა, მაგრამ ჰაერივით აორთქლდა და მას შემდეგ მასზე ბევრი არაფერი ვიცოდით.

ჩუნდა ითქვას, სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩით: მართალია, არც ერთი მათგანი არ ამბობს, რომ საქართველოს ჩემპიონატი მაღალი დონის არის, არც ევროპელი კლუბების დარი პირობები ჰქონდათ, მაგრამ საქართველოს გახსენებაზე დადებითი ემოციები გამოავლინეს.

სპასოევიჩი: ინდონეზია უკეთესია

"დინამოდან" წასული ილია სპასოევიჩი სერბეთის ჩემპიონატის უმაღლესლიგელ "ბორაც ჩაჩაკში" გამოდიოდა, შემდეგ ლიეპაიას "მეტალურგში" გადავიდა და ნარმატებითაც თამაშობდა (10 მატჩში 7 გოლი გაიტანა), მაგრამ ლატვიაში დიდხანს ვერ გაძლო და "ტრიკალას" მიაშურა. ილიასთვის ეს პერიოდი წარუმატებელი აღმოჩნდა: საბერძნეთის პირველ ლიგაში 12 შეხვედრაში ერთი გოლიც ვერ გაიტანა და ჩერნოგორიის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი გასული წლის ბოლოს ინდონეზიაში, დენპასარის "ბალი დევატაში" გადავიდა...

- ილია, ინდონეზიაში როგორ აღმოჩნდი?

» მე-4 გვერდზე



ილია სპასოევიჩი (მარცხნივ) და ჯორჯ აკირემი დინამოში, 2009 წლია თასის ფინალის შემდეგ

ქართული ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი, I ლიგა XVIII ტური

6/დინამოელი-გაგრა 0:3

25.02. თბილისი. 100 მაყურებელი

0:1 შარიქაძე (35), 0:2 ციცხვაია (37), 0:3 კვანტალიანი (65).

ნორმალურ დინამოელი: ცინცაბაძე, ბერიშვილი, კაკაშელა, ლომიძე, ნემსიწვერიძე (46. ზ. კვარაცხელია), ქვარაია (57. ხვთისაურიშვილი), ელიზბარაშვილი, თანიაშვილი, ჭუჭაშვილი (77. ჯაფაძე), ლაბარტყავა, ძაგანია.

სათადარიგოები: გლოველი, ბინკინაშვილი, მახათაძე, ქიმერიძე

მთავარი მწვრთნელი: ვალერი გაგუა

გაგრა: ნადირაშვილი, ჯ. გაბუნია, ტყეშელაშვილი, კალანდაძე, ქართველიშვილი, ზ. ჩხეტიანი, ნაკონეჩნი (70. დ. გიგაური), შარიქაძე, ციცხვაია (61. ოვონიკოკო), ორდინსკი, გაბედავა (46. შ. კვანტალიანი).

სათადარიგოები: კ. სეფიაშვილი, კობერიძე, მოსიაშვილი, ყურულაშვილი

მთავარი მწვრთნელი: ანატოლი პისკოვეცი

გაფრთხილება: ბერიშვილი, ძაგანია; ციცხვაია, ნაკონეჩნი, კვანტალიანი.

არბიტრი: მ. ურუშაძე (თბილისი)

მერცხალი-ლოკომოტივი 1:1

26.02. ოზურგეთი. მუნიციპალური. 400 მაყურებელი

0:1 ჩარგეშვილი (28), 1:1 ქობულაძე (47).

მერცხალი: ბოგუა, ტუღული (80. ი. ბაჯელიძე), ხამაშურიძე, რამიშვილი, სერგო ვ. ჩიგოგიძე, ჭეიშვილი, ტუტოიანი, ქობულაძე, სოფაშვილი (46. აფრიდონიძე), ჩხაიძე, სერგო გ. ჩიგოგიძე.

სათადარიგოები: ღლონტი, ნაკაიძე, ჩხატარაშვილი, ვერულიძე

მთავარი მწვრთნელი: ხარიტონ ჩხატარაშვილი

ლოკომოტივი: ნიორაძე, საჯაია, ხატიაშვილი, გვაძაბია, ხოკერაშვილი (41. მიქავა), ჩარგეშვილი (80. შარანგია), ბ. მახარაძე, ბოჭორმელი, მჭედლიშვილი, კაპანაძე, ბაქრაძე (61. შერაზადიშვილი).

სათადარიგოები: ნაჭყუბია, ა. შენგელია, გაბელია, ლ. კვარაცხელია

მთავარი მწვრთნელი: ლაშა ჭალიაშვილი

გაფრთხილება: ხამაშურიძე, ჩხაიძე; ხატიაშვილი, ნიორაძე, გვაძაბია, შერაზადაშვილი, მახარაძე.

არბიტრი: კობა ჭაჭუა (ქუთაისი)

იმერეთი-გურია 0:1

26.02. ხონი. ცენტრალური. 300 მაყურებელი

0:1 კილაძე (18).

იმერეთი: მეძველია, ხარებავა, ბ. ხაჭიპერაძე, ბრეგაძე, ბიბილაშვილი (61. ასათიანი), კუხალაშვილი (46. ვეკუა), გოდერიძე, ბ. ჩხეტიანი, ლ. კირკიტაძე, კვერნაძე (70. ქობალია), ჩხარტიშვილი.

სათადარიგოები: ი. შენგელია, რ. კაშია, ფუსტვენიძე, გვანცელაძე

მთავარი მწვრთნელი: დავით ჭელიძე

გურია: გოგუაძე, ლომაძე, რ. კუკულაძე, კილაძე, ფირცხალაიშვილი, ტოროტაძე, ტ. კუკულაძე (82. ჭეიშვილი), თოლორდავა, კოტრიკაძე (75. გ. კუკულაძე), სივსივე (46. რუსიეშვილი), დეისაძე

სათადარიგოები: ხვედელიძე, ბაბია, ებრალიძე, რაზმაძე

მთავარი მწვრთნელი: ირაკლი ფაცურია

გაფრთხილება: ჩხეტიანი; ტოროტაძე, გოგუაძე

არბიტრი: მალხაზ ბეუქლიშვილი (ყვარელი)

გათუში-მერანი 1:0

26.02. გათუში. ადელი. 500 მაყურებელი

1:0 ზ. ხაჭიპერაძე (23)

დინამო: რ. თევდორაძე, რამიშვილი, ხუხია, კაჭკაჭიშვილი მაკარიანი, მ. ჟვანია, ზ. ლობჟანიძე (78. გოგიტიძე), ბერიძე, ბაციკაძე (83. ჯორბენაძე), ზ. ხაჭიპერაძე (46. ა. ბაჯელიძე), მ. კაკალაძე.

სათადარიგოები: მამინაშვილი, ვ. თევდორაძე

მთავარი მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

მერანი: შეროზია, იობაშვილი, გ. ჟვანია, სუხიაშვილი, კაკუშაძე, ილურიძე, ნონორია, იატრო (64. ფონიავა), ჩალაძე (81. ტორაძე), ამბროლაძე, ტაბე (46. გ. თოდუა).

მთავარი მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

სათადარიგოები: გორდუ ზიანი, ბერუაშვილი, ფაცაცია, მელიავა

გაფრთხილება: ლობჟანიძე, მაკარიანი, რამიშვილი; იატრო, ილურიძე, ფონიავა

არბიტრი: თორნიკე გვანცელაძე (სამტრედია)

სქური-სამგურალი 1:1

26.02. წალენჯიხა. ცენტრალური. 400 მაყურებელი

0:1 ქუთაათელაძე (74), 1:1 ჭკუასელი (81)

სქური: ჯღინდავა, გ. აკობია (80. კვირკვია), ფარცვანია, ნაჭყებია, მოღაშხია, გერგედავა, ლ. ქანთარია, გუჯეჯიანი (68. გვილია), ლ. გაბუნია, ჭკუასელი, რაფავა (76. ჩახაია)

სათადარიგოები: ხარჩილავა, სვანიძე, ბოჯგუა, მიქენაია

მთავარი მწვრთნელი: ვასო გულორდავა

სამგურალი: ხურცილავა, მიქაძე, გ. ჩიხლაძე, ზ. ჩიხლაძე, ბაბუნიძე, ხ. უგრეხელიძე, ნ. უგრეხელიძე, სალინაძე (89. თუთბერიძე), გ. უგულავა, ქუთათელაძე, ნავერიანი (71. მ. მესხი).

სათადარიგოები: ესებუა, გ. თევდორაძე, ლ. მესხი, ჯიმშელეიშვილი, აფრიდონიძე

მთავარი მწვრთნელი: ედუარდ ჯიმშელეიშვილი

გაფრთხილება: ფარცვანია

არბიტრი: ჯუმბერ ბუიშვილი (ჭიათურა)

დილა-აღელი 5:0

26.02. გორი. თ. გურჯანაძე. 300 მაყურებელი

1:0 გოგინაშვილი (30), 2:0 გოგინაშვილი, 50), 3:0 ახალკაცი (66), 4:0 ახალკაცი (71), 5:0 იჩქითი (80).

- დილა: შეყრილაძე, შათირიშვილი, ბაქრაძე, ჭითანავა, ლომიძე, რაჟამაშვილი (76. იჩქითი), ცარიელაშვილი, ვ. ნემსაძე, სადაღაშვილი (58. ა. კვარაცხელია), გოგინაშვილი (65. ნოზაძე), ახალკაცი.

სათადარიგოები: კეჩხუაშვილი, პაპიტაშვილი, მიხანაშვილი.

მთავარი მწვრთნელი: გიორგი ცეცაძე

აღელი: დევაძე, ლ. კვანტალიანი, გოგუაძე, ზოიძე, წოლუკაძე, გორჯილაძე, ჯანი, მჟავანაძე, ჯალაღანია, ლორია (68. გობეჟიშვილი), აბუსერიძე

სათადარიგოები: რომანაძე, მამეიშვილი, მოროტიე

მთავარი მწვრთნელი: გია ჯორბენაძე

გაფრთხილება: კვანტალიანი

არბიტრი: თემურ ხუჭუა (სამტრედია)

ჭიათურა-მეშახტე დღეს
ჩიხურა-კოლხეთი გადაიდო
ჩხერიმელა (ხარაგაული) ისპენებს

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. გაგრა	17	11	4	2	40-12	37
2. მერანი	17	11	4	2	34-10	37
3. გორი	17	10	5	2	34-16	35
4. გათუში	17	9	6	2	35-8	33
5. გურია	17	10	1	6	34-31	31
6. ჩიხურა	16	9	4	3	30-16	31
7. სამგურალი	17	6	5	6	22-31	23
8. კოლხეთი (ხ)	16	4	9	3	14-14	21
9. იმერეთი	17	6	1	10	19-24	19
10. ნ/დინამოელი	17	6	1	10	23-33	19
11. მერცხალი	17	5	4	8	29-42	19
12. მეშახტე	16	5	3	8	21-27	18
13. ლოკომოტივი	17	4	4	9	18-28	16
14. სქური	17	4	3	10	19-29	15
15. აღელი	17	4	2	11	21-30	14
16. ჩხერიმელა	16	2	7	7	19-33	13
17. ჭიათურა	16	3	3	10	14-42	12

ყოფილი დინამოელები

აკირემს დინამო ენატრება, სპასოევიჩი ინდონეზიაში

« გვ-3 გვერდიდან

- ამ ქვეყანაში არც ისე დიდი ხნის წინ მიმიწვიეს. უკეთესი შეთავაზების იმედი მქონდა, მაგრამ ეს ყველაზე რეალური წინადადება იყო და უარი არ მითქვამს.

- საქართველოში დაბრუნება არავის შემოუთავაზებია?

- კონკრეტული წინადადებით არავის მოუმართავს.

- ასეთი შანსი რომ გაგიჩნდეს?

- შესაძლოა, დავფიქრებულიყავი.

- ინდონეზიაში უკეთესი დონეა თუ საქართველოს ჩემპიონატში?

- ინდონეზია უკეთესია.

- ფინანსურად თუ ჩემპიონატის დონით?

- ფინანსურად საქართველო ინდონეზიასთან ახლოსაც ვერ მივა, აქ ბევრად უკეთესი პირობებია, მაგრამ ინდონეზიური ჩემპიონატის დონეზე იმავეს ვერ ვიტყვი. სხვათა შორის, "ბალი დავატას" მთავარ მწვრთნელად თქვენი ძველი ნაცნობი, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი პეტარ შეგრტი მუშაობს.

აკირემი: სიამოვნებით დავბრუნდებოდი

"დინამოს" ასევე ყოფილი თავდამსხმელი, გაბონის ნაკრების კანდიდატი **ჯორჯ აკირემი** კი ისრაელის ლეუმითლიგის (რანგით მეორე დივიზიონის) ირონის "რამათ ჰაშარონში" გამოდის და ექვს შეხვედრაში სამი გოლი გაიტანა. თუმცა, როგორც გვითხრა, ისრაელში თავს ბედნიერად ვერ გრძნობს.

- ჯორჯ, როგორ არის შენი საქმეები?

- ნორმალურად, კარგ ლიგაში ვთამაშობ, ისრაელში ფეხბურთი მაღალ დონეზეა განვითარებული და ჩემპიონატიც საკმაოდ მაღალი დონის არის, მაგრამ აქ მაინც ვერ ვგრძნობ თავს კარგად.

- რატომ?

- აქ ფინანსურად უკეთესად ვარ, მაგრამ შეცდომა დავუშვი, "დინამოდან" რომ წამოვედი. რომ იცოდეთ, "დინამო" ძალიან მენატრება.

- რომ მოგიწვიონ, საქართველოში დაბრუნდები?

- რატომ არ დავბრუნდები? სურვილი მაქვს, მაგრამ ზუსტი პასუხის გაცემა მაინც გამიჭირდება, რადგან კლუბის ნებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. სეზონის ბოლოს გადაწყდება, დავრჩები თუ არა ისრაელში. ისე, არ მეგონა, საქართველოში კიდევ თუ ვახსოვდი ხალხს.

- დარჩენა ხომ შეგეძლო, რუსთავის "ოლიმპშიც" გიწვევდნენ და მაშინ ისრაელში რატომ წახვედი?

- "დინამოდან" წასვლა, ქვეყნის და გარემოს შეცვლა მსურდა, მაგრამ შევცდი.

- ისრაელში თავს ასე კარგად არ გრძნობ?

- ძალიან კარგადაც არ ვარ. ახლა ვხვდები, რომ საქართველოში ბევრი რამ ყოფილა უკეთესი, ვიდრე შიგნიდან ჩანს.

- მაგალითად?

- თქვენი ხალხი მომწონდა. ვერ ვიტყვი, რომ ჩემ მიმართ ყველა კარგად იყო განწყობილი, მაგრამ უმრავლესობა თბილად მეპყრობოდა. რომ იცოდეთ, საქართველო ძალიან მაკლია. თუ კარგი წინადადება იქნება, სიამოვნებით დავბრუნდები. ჩემი თხოვნა იქნება, თბილისის "დინამოს" ხელმძღვანელობას და გულშემატკივრებს საუკეთესო სურვილები გადასცეთ.

მერაბ მამულაშვილი

ექსკლუზივი

წერილი მესამე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონებები ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობაზე

დასაწყისი 15 თებერვლის ნომერში



15 ივნისს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" უკვე ჩემმა ძმამ **გურამ პეტრიაშვილმა** გამოაქვეყნა იმავე პათოსის პუბლიკაცია „წერილი რედაქციას", სადაც ხაზი იყო გასმული, რომ დაუყოვნებლივ საჭიროა ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება ყველა ჩვენი გუნდის მონაწილეობით. გთავაზობთ ჩვენთვის საინტერესო ამონარიდს ამ წერილიდან:

„...რაც შეეხება ფიზიკულტურასა და სპორტს, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს მათი დაქვემდებარება რესპუბლიკისადმი.

შეუძლებელია (და გონიერებას მოკლებულიც), ქართველმა სპორტის სპეციალისტმა იფიქროს იმაზე, რომ ფიზკულტურა და სპორტი განვითარდეს ვოლგისპირეთში ან იაკუტიაში და ვერც ტაჯიკი იზრუნებს იმაზე, რომ ესტონელებს კარგი მოკრივეები ჰყავდეთ.

ყველამ თავის ბაღსა და ბოსტანს უნდა მოუაროს. საქართველომ, როგორც სუვერენულმა სახელმწიფომ თვით უნდა განაგოს თავისი ფიზკულტურაც და სპორტიც და თვითონ გადაწყვიტოს (ერის ხასიათისა და გეოგრაფიული თუ სხვა პირობების გათვალისწინებით), სპორტის რომელი სახეობაა ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი, რომელი უფრო ნაკლებად და რომელი სულ არაა საჭირო.

საქართველოს სპორტულ ცხოვრებაში მთავარი უნდა გახდეს რესპუბლიკური ჩემპიონატები და შეჯიბრებები.

ამჟამად არსებული სისტემა საკავშირო ჩემპიონატებისა ამცირებს ეროვნულ სპორტს, ანიჭებს მას პროვინციულ ელფერს, უქმნის არასრულფასოვნების კომპლექსს და ყოველივე ამით თრგუნავს მთლიან ეროვნულ ფსიქიკასაც.

თუ როგორი უნდა იყოს ეროვნული სპორტი, ამის საილუსტრაციოდ ვთქვათ ორიოდე სიტყვა ფეხბურთზე.

საქართველოს ჩემპიონატი ახლაც ტარდება ფეხბურთში, მაგრამ ამ ჩემპიონატს ეროვნულს ვერ ვუწოდებთ, იმიტომ, რომ მასში არ მონაწილეობენ საქართველოს უძლიერესი გუნდები. ეს ჩემპიონატი არაა პრესტიჟული და არც მისი ჩემპიონის წოდება ნიშნავს იმას, რომ ეს გუნდი ყველას სჯობია საქართველოში. თავისთავად იგულისხმება, რომ მასზე უკეთესია ყველა ის გუნდი, რომელიც საკავშირო ჩემპიონატებში თამაშობს.

უნდა გაუქმდეს ყველა საკავშირო ჩემპიონატი, მათ ნაცვლად უნდა ტარდებოდეს რესპუბლიკური ჩემპიონატები.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი მრავალმხრივ იქნება კარგი.

ფეხბურთელობა აღარ იქნება ისეთი ქანცგამწყვეტი პროფესია, როგორიცაა ახლა, როდესაც საკავშირო ჩემპიონატში მოთამაშე სპორტსმენს თითქმის მთელი წლის განმავლობაში უწევს უზარმაზარ მანძილებზე წინ და უკან ფრენა.

აღარ მოხდება ქართული ფეხბურთის გამუდმებული ნგრევა იმით, რომ მთელი საქართველო იძულებულია თავისი რამდენიმე „საკავშირო" გუნდი მოამარაგოს საუკეთესო ფეხბურთელებით.

ყველა ფეხბურთელს, რომელიც თბილისის „დინამოში" ვერ მოხვდება, ახლა, ფაქტობრივად, გადაკეტილი აქვს გზა ფეხბურთის მწვერვალებისაკენ. მას თვით უჩნდება ხელმოცარულობის შეგრძნება და ფეხბურთის სპეციალისტთა და გულშემატკივართა თვალშიც მეორე ხარისხის იარლიყიანი ხდება.

ეროვნული ჩემპიონატი გაათანაბრებს ნიჭიერ ფეხბურთელთა შანსებს, რადგან მაშინ ყველას შეეძლება გამოიჩინოს თავი.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ჩემპიონი, თასის მფლობელი და სხვა ძლიერი გუნდები მონაწილეობას მიიღებენ ევროპულ ტურნირებში და როცა ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე თელაველ, დუშელ თუ წალენჯიხელ ფეხბურთელს ექნება შანსი, რომ კარგი თამაშით ევროპული ფეხბურთის გრანდებსაც შეერკინოს, ცხადია, ქართველ ფეხბურთელს თამაშის სტიმული მიეცემა და ამით საქართველოს ყველა კუთხეში წინ წავა ფეხბურთი.

საკავშირო ჩემპიონატი თავიდან ბოლომდე დიდი უსამართლობის განსახიერებაა.

თავად განსაჯეთ, ქართველმა თუ ლიტველმა ფეხბურთელმა რომ ევროპულ ტურნირში გადგას ფეხი, ამისათვის ჯერ უგრძეს დამქანცველ საფეხბურთო მარათონში უნდა გაიმარჯვოს, ხოლო კვიპროსელი ან ლუქსემბურგელი ფეხბურთელი პირდაპირ გადის ევროპულ ტურნირში.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ჩემპიონებს და თასის მფლობელებს მუდამ რომ ეთამაშათ ევროპულ ტურნირებში, დარწმუნებული ვარ, აქამდე მხოლოდ ერთგზის კი არა, სხვადასხვა თასის ათგზის მფლობელები ვიქნებოდით ქართველები.

ასევე ვერავინ ჩამითვლის ფანტაზიორობაში, თუ ვიტყვი, საქართველოს რომ მსოფლიოს ყველა ჩემპიონატში თავისი ეროვნული ნაკრები გაეყვანა, ახლა მსოფლიო ჩემპიონისა თუ არა, პრიზიორის წოდება მაინც ნაღდად გვექნებოდა. საბჭოთა კავშირის ნაკრები ადამიანთა მეტად არაბუნებრივი ერთობაა. ათეული წლების განმავლობაში ამ ნაკრებზე წუხს საბჭოთა პრესა. ვერ გაუგიათ, რაშია დამარცხებათა მიზეზები. მათ ავიწყდებათ, რომ შეუძლებელია სრულფასოვანი, ჰარმონიული კოლექტივის შექმნა, როდესაც გუნდში ერთმანეთის გვერდით თამაშობენ სრულიად განსხვავებული ეროვნული ხასიათის მქონე ადამიანები (მაგალითისათვის: მიხეილ მესხის ცნობილი კონფლიქტები საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელობასთან არსებითად იყო კონფლიქტები ეროვნულ ხასიათებს შორის, რადგან სწორედ განსხვავებულ ეროვნულ ხასიათზეა დაფუძნებული ის საფეხბურთო ტრადიციები, რომელთა წარმომადგნელებიც იყვნენ: ერთი მხრივ მიხეილ მესხი, მეორე მხრივ კი საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელობა).

დაბოლოს, რაც მთავარია, ეროვნულ ჩემპიონატში თამაში თუ ეროვნული ნაკრების სახელით გამოსვლა ფეხბურთელებს მტკიცედ დააკავშირებს საქართველოს ბედ-იღბალთან, მის ინტერესებთან. და ამით მოხდება დიდებული ამბავი, ფეხბურთელთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლაშქარი ჭეშმარიტად ქართველ მოქალაქეთა რიცხვს შეემატება და ბევრად გაზრდის მას (ამჟამად რომ ბევრი ქართველი სპორტსმენის ეროვნული თვითშეგნება არაა სათანადოდ განვითარებული, ვფიქრობ, საკამათო არაა). ვიმეორებ: დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს საკავშირო ჩემპიონატები.

ეროვნულ ჩემპიონატებზე გადასვლა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

პირიქით, მოიხსნება უამრავი პრობლემა და კონფლიქტი.

და რაც მთავარზე მთავარია, ამით გადაიდგმება პირველი დიდი ნაბიჯი დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე.

მაშ დავიწყოთ სპორტით".

გაზეთ „ლელოში" **ალექსანდრე ჟღენტის** წერილზე დაიწყო გამოხმაურება. უნდა ითქვას, რომ ავტორთა უმრავლესობა ჩვენი ფეხბურთის დამოუკიდებლობას უჭერდა მხარს იყვნენ მოწინააღმდეგენიც. აქ არ შეიძლება არ აღვნიშნო გაზეთ „ლელოს" მთავარი რედაქტორის ბატონ **თენგიზ გაჩიჩილაძის** გამბედაობა და პატრიოტობა. როგორია ასეთი შინაარსის წერილის დაბეჭდვა და შემდეგ უკვე ასეთ საკითხზე კამათის გაჩაღება საბჭოთა გაზეთის ფურცლებზე, თანაც ხომ მოგახსენეთ, უმრავლესობა დამოუკიდებლობას უჭერდა-მეთქი მხარს. მიხვდებით, ესეც ხომ რედაქტორის დამსახურება იყო...

მე იმ პერიოდში ისევ ტელე-რადიოკომიტეტის სპორტულ გადაცემათა რედაქციაში ვმუშაობ და ჩემი ძმისა - გურამისგან და ალექსანდრე ჟღენტისაგან განსხვავებით, უფრო კარგად ვიცი საფეხბურთო წრეების განწყობა, ხშირად ვხვდები ფეხბურთში მომუშავეთ და ვიცი, რომ გურამ პეტრიაშვილს და ალექსანდრე ჟღენტს თითქმის გიჟებად მიიჩნევენ, დამოუკიდებლობაზე ხომ უბრალოდ ეცინებათ, თუმცა მაინც ერიდებიან დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გამოსვლას, დაბნეულებიც არიან, სტადიონზე სულ უფრო ხშირად „დინამოს" მაგიერ „საქართველო," „საქართველო" ისმის და შინდისფერი დროშებიც ფრიალებს. 1989 წლის საფეხბურთო სეზონი დასასრულს უახლოვდება, ქომაგები და ჟურნალისტები დამოუკიდებლობაზე კი მსჯელობენ, მაგრამ ფეხბურთელების ხმა არ ისმის. ნოემბრის შუა რიცხვებში ლანჩხუთის „გურიის" ერთ-ერთი მატჩის რეპორტაჟის წასაყვანად ჩავედი ლანჩხუთში. პარალელურად „საფეხბურთო მიმოხილვისათვის" სიუჟეტს მომზადება გადავწყვიტე და „გურიის" ოპერატორს **გურამ პატარაიას** ვთხოვე ზუგდიდსა და ფოთში წავსულიყავით.

ზუგდიდში საქართველოს პირველობაზე მოთამაშე „დინამოს" ორი ფეხბურთელი - **ბადრი** და **ოთარ თუთბერიძეები** ჩავწერე, ფოთში „კოლხეთის" სამი ფეხბურთელი: **ზურაბ თოფურია, რობერტ ქაჯაია** და **მამუკა გვასალია;** ლანჩხუთში - **დავით უგრელიძე, ბესიკ ფრიდონაშვილი, გოჩა ტყებუჩავა, ბადრი დანელია, მერაბ თევზაძე** და **მერაბ ჟორდანია.** აღსანიშნავია, რომ კითხვაზე ეროვნულ ჩემპიონატზე რას ფიქრობთ და დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთი როგორ წარმოგიდგენიათ-მეთქი, თერთმეტივე ფეხბურთელმა განაცხადა, რომ ქართული ფეხბურთი დამოუკიდებელი უნდა იყოს და ეროვნული ჩემპიონატიც ძალიან კარგი იქნებაო. მაშინდელი ტელევიზიის მუშაობას ვინც იცნობს, კარგად იცის, რომ ყოველი გადაცემა ვიდრე ეთერში გავიდოდა, საფუძვლიან კონტროლს გადიოდა, გადაცემის ტექსტი უნდა წაეკითხა მთავარ რედაქტორს, სტილისტსა და თავმჯდომარის მოადგილეს. მხოლოდ მათი ხელმოწერების შემდეგ ეძლეოდა ნებართვა ეთერში გასულიყო. **დავით ქლიბაძემ,** მთავარმა რედაქტორმა, ხელს რომ აწერდა, სადღაც ეჩქარებოდა და გამეხუმრა, დასაჭერი არაფერი იყოსო. მეც მივკიბ-მოვკიბე რაღაცა. სტილისტმაც ზედაპირულად გადახედა ტექსტს. რაც შეეხება თავმჯდომარის მოადგილეს **ზაზა დარასელს,** ის ჩემი დიდი ხნის მეგობარი იყო: უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ფაკულეტზე ერთად ვსწავლობდით და ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლაშიც ერთად ვვარჯიშობდით. ტელევიზიაშიც ერთად მოგვიწია მუშაობამ და მინიფეხბურთის შიდა პირველობაზეც ზაზა სპორტული რედაქციის გუნდში თამაშობდა ხოლმე. ზაზასთან შევედი, ცოტა ხანს ვისაუბრეთ კიდეც ჩვენი ფეხბურთის დამოუკიდებლობაზე. მკითხა, - შევძლებთო რუსეთისაგან თავის დაღწევას? მე ვუთხარი, ჰატარა შანსი გვაქვს და უნდა ვეცადოთ-მეთქი. მერე მკითხა, - დამოუკიდებლად შევძლებთო ფეხბურთის განვითარებას? მთელი მსოფლიო ეგრე ცხოვრობს, დამოუკიდებლად ვითარდებიან და სხვადასხვა ტურნირზე ხვდებიან ერთმანეთს, რაღა ჩვენ ვერ უნდა შევძლოთ-მეთქი. გადაცემა გავიდა ეთერში და მახსოვს, ცნობილმა ქართველმა მორაგბემ და მწვრთნელმა **დავით კილასონიამ** მითხრა: სოფელში ვიყავი და „საფეხბურთო მიმოხილვას" რომ ვუყურე, საჩქაროდ დავქოქე მანქანა და თბილისში წამოვედი, ვიფიქრე საქართველო ხომ არ გათავისუფლდაო.

ზურაბ პეტრიაშვილი

გაგრძელება სამშაბათობით

საფეხბურთო კლუბი საჩხერის „ჩიხურა" და მასთან არსებული ბავშვთა საფეხბურთო აკადემია თანუგრძნობს სოსო ფრუიძეს დედის გარდაცვალების გამო.

● ინციდენტი

როგორ გადაურჩა რუნი დისკვალიფიკაციას

უეინ რუნი
24 წლის,
სიმაღლე: 178 სმ.

ოსტატობა:

შეტევა:	85
დაცვა:	55
ტექნიკა:	87
დატყვის ძალა:	97
თავით თამაში:	83
სიზუსტე:	76
აგრესია:	90
გუნდური თამაში:	87

PES Stats Database

რუნი და დისციპლინა

2002/03	6 გაფრთ., 1 გაძევება
2003/04	11 გაფრთ
2004/05	7 გაფრთ
2005/06	8 გაფრთ
2006/07	5 გაფრთ
2007/08	8 გაფრთ
2008/09	8 გაფრთ, 1 გაძევება
2009/10	6 გაფრთ
2010/11	3 გაფრთ

აი, ნახავთ, ერთი ამბავი თუ არ ატყდებაო, თქვა „უიგანისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეხვედრის შემდეგ მანჩესტერელთა მწვრთნელმა **ალექს ფერგიუსონმა** და ისე ყველაფერი აგიხდეთ - გაზეთები წერდნენ, რომ **უეინ რუნი** შესაძლოა ოთხთამაშიანი დისკვალიფიკაციით დაესაჯათ. შეხვედრაში, რომელიც მანჩესტერელებმა 4:0 მოიგეს მათმა ვარსკვლავმა მოწინააღმდეგის ნახევარმცველ **ჯეიმს მაკარტის** სახეში იდაყვი მიარტყა. მსაჯმა **მარკ კლეტენბერგმა** ჯარიმა დანიშნა, მაგრამ რუნი მოედნიდან არ გააძევა. ტელეჩანაწერში ჩანს, რომ იმ მომენტში კლეტენბერგი გვერდით იყურება. მან უკვე აღიარა შეცდომა და ფეხბურთის ასოციაციის რუნის დასჯა ურჩია.

არადა, ასეთ შემთხვევაში, მას არც მეტი არც ნაკლები, დღევანდელი მატჩის გამოტოვება უწევდა, დღეს კი „მანჩესტერ იუნაიტედი“ „ოლდ ტრეფორდზე“ „ჩელსის“ ხვდება - სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი შეხვედრაა.

შეგახსენებთ, რა თქვა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე „უიგანის“ თავკაცმა **რობერტო მარტინესმა**. *„რად უნდა ლაპარაკი, რომ მსაჯს წითელი ბარათი უნდა ამოეღო, — თქვა მან. — მან ჯეიმს მაკარტის იდაყვი სახეში მიარტყა. ასეთი რამ ჩემს ფეხბურთელს რომ გაეკეთებინა, აუცილებლად გააძევებდნენ“.*

ახლა კი გავეცნოთ, რას წერს ამ ინციდენტის შესახებ ფიფას ყოფილი მსაჯი **გრემ პოლი**:

„ვინაიდან მარკ კლეტენბერგმა ჯარიმა დანიშნა და ეს მცირე დაყოვნების შემდეგ გააკეთა, ესე იგი მას მომხდარის შესახებ რომელიღაც ასისტენტმა უკარნახა. უპირველეს ყოვლისა სწორედ ეს არის გასარკვევი. რუნის მაკარტისთვის არც ფეხი გამოუდია, არც ხელი უკრავს და ის არც მაისურით დაუჭერია. არადა, ჯარიმა დაინიშნა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მან წესი მკლავით დაარღვია.

ვინაიდან რუნისთვის ამ დარღვევის გამო ყვითელი ბარათიც კი არ უჩვენებიათ, ესე იგი ინციდენტი კლეტენბერგის პატაკში ვერ მოხვდებოდა. ყველა მსაჯი ვალდებულია პატაკი ფეხბურთის ასოციაციას ტელეფონით ჩააბაროს და ხშირად ამას სახლისკენ გზაზე აკეთებენ. ხალხი ფიქრობს, რომ მსაჯები BBC-ს გადაცემას „დღის მატჩს“ უყურებენ და იქ ნანახის მიხედვით პატაკის შეცვლის საშუალება აქვთ, მაგრამ ასე არ არის - ამდენს არავინ დაუცდის.

რასაკვირველია, თუკი კლეტენბერგმა დაინახა, რაც ჩაიდინა რუნიმ — ტელეგამეორებაზე კი ცხადად ჩანს, რომ მან მაკარტის იდაყვი მიარტყა — ის ვალდებული იყო მანჩესტერელი მოედნიდან გაეგდო. ასეთ შემთხვევაში ის რუნის ვეღარ გაუღიმებდა და მხარზე ხელს ვეღარ გადახვევდა, რითაც მასთან კარგ ურთიერთობას გაუსვამდა ხაზი“.

გუშინ, საღამოს ცნობილი გახდა, რომ ფეხბურთის ასოციაციამ რუნის ქცევაში ვერ დაინახა განსაკუთრებული უხეშობა და მის დასჯაზე უარი განაცხადა. ასე რომ, დღეს უეინი „ჩელსის“ კარს შეუტევს.

მაგლაყინნა მწვრთნელები

მარკ ჰიუზს ინგლისში ბევრ კოლეგასთან აქვს კონფლიქტი

გაგდებიდან თოთხმეტი თვის შემდეგ **მარკ ჰიუზი** ისტლენდზე ჩავიდა. ფეხბურთის თამაშის გარდა მას უნდოდა შეემონმებინა, ვის ეყოფოდა სინდის-ნამუსი და ვინ გაუსწორებდა თვალს, მაგრამ რა მოხდა, არ გაინტერესებთ? უელსელს, რატომღაც, წაეჩხუბა კაცი, რომელსაც ის „სიტიდან“ ნამდვილად არ გაუგდია - მისი კოლეგა და მანჩესტერული გუნდის ახლანდელი მწვრთნელი **რობერტო მანჩინი**. მოკლედ, „ფულჰემის“ ბოსს სულ სხვა რამ აინტერესებდა და სულ სხვა რამ გადახდა.

ჰიუზი იმან გააბრაზა, რომ იტალიელმა თამაშის დამთავრების შემდეგ ხელის ჩამორთმევის დროს მას მზერა აარიდა, მანჩინიმ კი თავის მხრივ ძველი გაუხსენა — ნოემბერში, ლონდონში 4:1 რომ მოგიგეთ, ხელი თავად უგულოდ ჩამომართვიო. ამჯერად შეხვედრა ისე დასრულდა, უელსელს რომ გაუხარდებოდა — 1:1. ეს ერთგვარი შურისძიებაც იყო, რადგან, როგორც ზემოთ გითხარით, მას მერე, რაც „სიტიდან“ გააგდეს, ის ისტლენდზე არ ყოფილა. მისი გაგდების მიზეზი კი ის გახლდათ, რომ კლუბის ახალ მეპატრონეებს დახარჯული მილიონების შესაბამისი შედეგები უნდოდათ, რასაც ჰიუზის ხელმძღვანელობით გუნდი ვერ აღწევდა. კერძოდ, „მანჩესტერ სიტის“ შეფებს ჩემპიონთა ლიგაში სურდათ თამაში.

და აი, კვირას, „სიტი ოფ მანჩესტერ სთედიუმზე“, ჰიუზის გულის გასახარად, **მარიო ბალოტელის** მიერ გატანილ გოლს **დემიენ დაფმა** გოლითვე უპასუხა და „ფულჰემის“ თავკაცის ყოფილ გუნდს ოთხეულში შესვლა გაურთულა.

საფინალო სასტვენის შემდეგ ჰიუზმა და მანჩინიმ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, მაგრამ, უცბად, უელსელი გაბრაზდა და იტალიელს რაღაც უკმეხად უთხრა. კონფლიქტი შემდეგ გასახდელებთანაც გაგრძელებულა.

ჰიუზმა თქვა: *„შესაძლოა ყველაფერი ისევ ჩემი ბრალია, მაგრამ ცოტა ძველმოდური კაცი გახლავართ და ასე მგონია, როდესაც ხელს გიწვდიან, კაცურად უნდა ჩამოართვა. ვიცი, ხანდახან ეს ძნელია, მაგრამ საქმეც ის არის, რომ მაინც უნდა გააკეთო. როდესაც რობერტოს გუნდმა ჩემი 4:1 დაამარცხა, მივედი და მივულოცე. რა თქმა უნდა, ცუდ გუნებაზე ვიყავი, მაგრამ იმასაც ვხვდებოდი, რომ „სიტიმ“ „ფულჰემზე“ უკეთ ითამაშა. დღეს კი მან ისე გამომიწოდა ხელი, რომ მგონი ვერც მიხვდა ჩემმა გუნდმა ძალიან კარგად რომ ითამაშა“.*

ნამდვილად ვერ გეტყვით, ვინ ვის როგორ ჩამოართვა ხელი, მაგრამ ფაქტია, რომ მარკ ჰიუზი ასეთ რამეს პირველად არ აკეთებს. 2009 წლის დეკემბერში მას **არსენ ვენგერთან** ჰქონდა პრობლემა. უელსელი იმხანად სწორედ „სიტის“ ედგა სათავეში. „არსენალის“ ბოსმა მაშინ მისთვის ხელის ჩამორთმევა არ ისურვა და დაპირისპირება მაშინაც გასახდელებთან გაგრძელდა. ამ სეზონში კი ჰიუზს ორჯერ ჰქონდა კონფლიქტი „სტოკის“ თავკაც **ტონი პულისთან**.

მანჩინიმ კი ასე თქვა: *„მან ლონდონშიც იგივე გააკეთა, ოღონდ ამის შესახებ არავისთვის მითქვამს. რასაკვირველია, მახსოვდა, მაგრამ აბა, მაგას რა მნიშვნელობა აქვს. მთავარი ყოველთვის შედეგია. ვფიქრობ, დღეს ის გახარებული უნდა იყოს, რადგან ჩვენთან ფრედ თამაში შეძლო“.*

სხვათა შორის, ჰიუზმა არც კოლეგის ეს ნათქვამი დატოვა უპასუხოდ:

„რაღაც ვერ ვიხსენებ, ლონდონშიც იგივე რომ გამეკეთებინოს. მგონი რაღაც ეშლება. ყველას აქვს თავისი თავმოყვარეობა და ყველას სიამოვნებს როდესაც კარგ ნაშრომს უქებენ. აქ იმდენად ჩემზე არ ვლაპარაკობ, რამდენადაც „ფულჰემის“ ყველა მოთამაშესა და თამაშშრომელზე. მათთვის მანჩესტერში „სიტისთან“ ფრედ თამაში მართლა დიდი შედეგი იყო“.

„მანჩესტერ სიტისთვის“ კი ეს ცუდი შედეგი გახლდათ. მეტიც, სტატისტიკა მეტყველებს, რომ 2011 წელს ისტლენდელებმა თამაში გააურეესეს. კერძოდ, 2010 წლის ნოემბერსა და დეკემბერში „სიტიმ“ პრემიერლიგის საუკეთესო შედეგი აჩვენა — 10 შეხვედრაში 21 ქულა მოიპოვა, 2011-ში კი 8 მატჩში მხოლოდ 12 ქულის მოპოვება შეძლო.

მარკ ჰიუზი VS რობერტო მანჩინი





სიტი	ფულჰემი
იტალია	უელსი
46 წლის	47 წლის
შემტ. ნახევარმც	შემტ. ნახევარმც.

ნაკრებში:

36 მ, 4 გ	72 მ, 16 გ.

წვრთნიდა:

უელსი, გლეიგერნი, სიტი	ფიორენტინა, ლაციო, ინტერი

● ამბები

ერთიანი EXCLUSIVE

ეშლი მეთოფე გამხდარა

ეშლი კოულს საკუთარი კლუბი, „ჩელსი“ 250 ათასი ფუნტით დააჯარიმებს. მიზეზი: ინგლისის ჩემპიონთა მცველმა კლუბის საწვრთნელ ბაზაზე მავან სტუდენტს პნევმატური თოფით ესროლა.

კოულმა, რომელსაც თავისი საქციელისთვის საჯაროდ ბოდიში ჯერ კიდევ არ მოუხდია, 21 წლის **ტომ კოუენი** დაჭრა. რასაკვირველია, ეს ამბავი გასულ კვირადღეს შემთხვევით მოხდა, მაგრამ განა ფეხბურთელს სიფრთხილე არ მართებდა? გასროლის გამო საქმეში ლონდონის იმ რაიონის პოლიციაც ჩაერია და გამოძიება დაიწყო.

ტაბლოიდები წერენ, რომ „ჩელსის“, რომელსაც ამ ბოლო დროს პრემიერლიგაში საქმე ცუდად მისდის, კოულის ამბავი დამატებით პრობლემად დაანვა კისერზე. მოგეხსენებათ, „ლურჯები“ დღეს „მანჩესტერ იუნაიტედს“ მასპინძლობენ. საქმე ის გახლავთ, რომ **კარლო ანჩელოტის** ფეხბურთელები ერთთავად ცუდ ფორმაში არიან და თუკი ვინმეს არ აკრიტიკებდნენ, სწორედ ეშლი კოული გახლდათ.

მას მერე, რაც კობჰემის ბაზაზე მომხდარი ამბავი გახმაურდა „ჩელსის“ პრესმდივანმა განცხადება გაავრცელა:

„კლუბმა ინციდენტი სრულყოფილად გამოიკვლია და ადეკვატური ნაბიჯის გადადგმას გეგმავს. აქამდე კომენტარისგან თავს იმიტომ ვიკავებდით, რომ ეს კლუბის შიდა ამბავი იყო“.

საერთოდ „ჩელსი“ ის კლუბი გახლავთ, რომელიც თავისი წევრების ამბავს საზოგადოებისგან მალავს. ასე მაგალითად, დღემდე არ არის ცნობილი, როგორ დასაჯეს „ლურჯებმა“ კოული სეზონისწინა შეკრების დროს გუნდის სასტუმროში ქალის შეპარების გამო. სავარაუდოდ, კლუბმა ეს ამბავი საერთოდ ჩაფარცხა.

სესკი ოპტიმისტად რჩება

მიუხედავად იმისა, რომ კვირას „ქარლინგის“ თასის ფინალში „არსენალმა“ „ბირმინგემთან“ წააგო, გუნდის კაპიტანი **სესკ ფაბრეგასი** ამბობს, რომ ჩრდილოლონდონელებს უდიდესი პოტენციალი აქვთ. მოგეხსენებათ, „უემბლიზე“ გამართული შეხვედრის ბოლო წუთზე „მეთოფეთა“ მეკარე **ვოიცეხ შჩესნისა** და მცველ **ლორან კოშელნის** კომიკურ შეცდომას **ობაფემი მარტინესის** გამარჯვების გოლი მოჰყვა და ფაბრეგასის გუნდი ისევ უტიტულოდ დარჩა — „არსენალს“ 2005 წლის მერე არაფერი მოუგია. კაპიტანს, ისევე როგორც გარემარბ **თეო უოლკოტს** „ბირმინგემის“ წინააღმდეგ ტრავმის გამო არ უთამაშია, რამაც, ალბათ, დაასვა კიდეც ფინალს თავისი დაღი. მაგრამ აკი მოგახსენეთ, რომ ესპანელმა ვარსკვლავმა გული არ გაიტეხა და იმედით უყურებს იმ შეხვედრებს, რომლებიც მის გუნდს ჩემპიონთა ლიგასა და ფეხბურთის ასოციაციის თასზე ელის.

შეგახსენებთ: ასოციაციის თასის მეხუთე ეტაპზე „არსენალს“ „ლეიტონ ორიენტთან“ აქვს სათამაშო, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში კი „კამპ ნოუზე“ „ბარსელონასთან, რომელსაც პირველ შეხვედრაში 2:1 მოუგო.

„ტვიტერზე“ ფაბრეგასმა ასე დაწერა: *„მინდა „ბირმინგემს“ მთელი გულით მოვულოცო გამარჯვება. დიდებული გუნდია, ჩვენ კი წინ კიდევ გველის გამარჯვებები. მინდა დიდი მადლობა ვუთხრა გულშემატკივარს“.*

„ტვიტერის“ საშუალებით გულშემატკივარს „არსენალის“ ერთადერთი გოლის ავტორმა ჰოლანდიელმა **რობინ ვან პერსიმაც** მოუხადა ბოდიში: *„ძალიან ვწუხვარ „ქარლინგის“ თასი კვლავ რომ ვერ მოვიპოვეთ. დიდ ბოდიშს ვიხდი და მხარდაჭერისთვის მადლობას მოგახსენებთ“.*

ხოლო 19 წლის **ჯეკ უილშირმა** იმავე სოციალური ქსელის მეშვეობით ფანებს ასე მიმართა:

„ერთადერთი რისი თქმაც შემიძლია, ბოდიშია. ვიცი, ყველას ძალიან დაგვწყდა გული, მაგრამ ახლა ერთმანეთის მხარში დგომა გვმართებს. ჩვენ კიდევ ორ თასზე გამოვდივართ და ორივეგან შეგვიძლია გამარჯვება“.

ყველაზე ლაკონიური კი **ბაკარი სანია** იყო: *„მცხვენია. ბოდიში“.*

ერნანდესი მაგარია!

ერთი კვირის წინ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ახალგაზრდა ფეხბურთელებმა სერ **ალექს ფერგიუსონს** იმედი გაუცრუეს — ფეხბურთის ასოციაციის თასზე „ქროულისთან“ 1:0 გამარჯვების მიუხედავად სუსტად ითამაშეს. მაგრამ ის, რაც ითქმის **ბებესა** და **გაბრიელ ობერტანზე**, არ ითქმის მექსიკელ ვარსკვლავიჭუნა „ჩიჩარიტოზე“, რომელსაც სინამდვილეში, მოგეხსენებათ, **ხავიერ ერნანდესი** ჰქვია. სტატისტიკა მეტყველებს, რომ მიმდინარე სეზონში, პრემიერლიგის შეხვედრებში, „ჩიჩარიტომ“ კარში სულ ცამეტჯერ დაარტყა და აქედან 9 ბადეში შეაგდო — დაგვეთანხმებით, თქმა იმისა, რომ ეს ბიჭი ნიჭიერი ბომბარდირია, მისი უნარის აღსაწერად ნამდვილად არ ყოფილა საკმარისი.

ამიტომაც არიან „მანჩესტერ იუნაიტედის“ ქომაგები მშვიდად. თუ **უეინ რუნის** დისკვალიფიკაციით დასჯიან, გუნდის თავდასხმას ძალა და სიმწვავე არ დაეკლება. შაბათს, „უიგანთან“ მატჩის შემდეგ ერნანდესის ქება არც მეტოქის მწვრთნელს **რობერტო მარტინესს** დაავიწყდა:

„ის ძალიან მწვავე და ცოცხალი იყო. ხავიერი მაღალი დონის ფეხბურთელია და პრემიერლიგაში საუცხოოდ ჩაეწერა. ერნანდესი სულ რამდენიმე თვეა, რაც ინგლისშია და უკვე დაიგდო აქაური ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე მრისხანე თავდამსხმელის სახელი. მის შესახებ მთელმა მსოფლიომ ჯერ კიდევ მაშინ იცოდა, როდესაც ის მექსიკაში თამაშობდა, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ კი აშკარა იყო, რომ „ჩიჩარიტო“ დიდ გუნდში გადასასვლელად იყო მზად“.

გვერდი მოამზადა
ილია ბაგუნაშვილმა

● პალერმო

ძამპარინი: დელიო როსიმ გუნდი დაშალა

პალერმოს ახალი მწვრთნელი სერსე კოზმია

დელიო როსი და მაურიციო ძამპარინი

„უდინეზეს" ყველაზე ოპტიმისტი გულშემატკივარიც ვერ წარმოიდგენდა იმას, რაც კვირას „სტადიო რენცო ბარბერაზე" მოხდა. ფრიულელებმა შვიდი უპასუხო გოლი გაუტანეს „პალერმოს" და მეტოქე მიწასთან გაასწორეს. კიდევ ინამუსეს სტუმრებმა, თორემ ანგარიში უფრო დიდი, შესაძლოა ორნიშნაც კი ყოფილიყო. სიცილიური კლუბის პრეზიდენტი ხშირად მოგებული შეხვედრებისას ბობოქრობს და, ხომ წარმოგიდგენიათ, რა დაემართებოდა „უდინეზესთან" განადგურების შემდეგ. იტალიელი ჟურნალისტები მთელი თამაშის განმავლობაში აკვირდებოდნენ **მაურიციო ძამპარინს**, რომელიც ადგილს ვერ პოულობდა, მეექვსე გოლის შემდეგ კი სულაც დატოვა ტრიბუნები და გაუჩინარდა. სამაგიეროდ, მატჩის დასრულების შემდეგ გაესაუბრა მედიის საშუალებებს და შემდეგი განაცხადა:

„ჯერ კიდევ ორი თვის წინ ვუთხარი დელიო როსის, რომ დაცვისთვის მიეხედა, მაგრამ არაფერი იღონა. პირიქით, შეცდომების დაშვებას უხშირა და მარცხს მარცხი მოჰყვა. „უდინეზესთან" მატჩში ჩვენი საუკეთესო მცველი, მუნოზი დატოვა სათადარიგოთა სკამზე, რამაც ძალიან გამაკვირვა. 0:7 საკუთარ მოედანზე, ეს დამამცირებელია და ამას ახსნა არ აქვს, როსიმ ფაქტობრივად დაშალა გუნდი, რასაც ვერ ვაპატიებ. გაინტერესებთ რამდენია იმის შანსი, რომ დელიო როსიმ მთავარი მწვრთნელის პოსტი შეინარჩუნოს? – 1%. დიახ, მან უკვე ამოწურა თავისი შესაძლებლობები და თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, ძალიან მალე დავემშვიდობებით. ახალი მწვრთნელის ძიება უკვე დაწყებული მაქვს და სულ მალე, ყველაფერს შეიტყობთ".

მოგვიანებით, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ძამპარინი **სერსე კოზმისთან** ანარმოებს მოლაპარაკებებს. პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ მისცა კომენტარი მედიის წარმომადგენლებს და შემდეგი განაცხადა: *„კოზმი ერთ-ერთია იმ სამ სპეციალისტს შორის, რომლებსაც უახლოეს დღეებში შევხვდები და საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებ. ისეთი მწვრთნელი გვჭირდება, რომელიც ახალი ენერგიით აავსებს გუნდს და დაცვას დაალაგებს. დელიო როსი არ არის ურიგო სპეციალისტი, მაგრამ უკანა ხაზს ვერაფერი მოუხერხა – როგორც ჩანს, მოტივაცია აღარ აქვს და ამიტომ, მასთან დამშვიდობება მოგვიწევს. ვესაუბრე თუ არა როსის? – არა და სიმართლე გითხრათ, არც მაქვს სურვილი. სულ სხვა საქმეებით ვარ დაკავებული, ახალი მწვრთნელი მყავს მოსაძებნი".*

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დელიო როსი „პალერმოს" წარსულია – თუმცა, ფეხბურთელები მას საკმაოდ აქტიურად უჭერენ მხარს. აი რა განაცხადა **ფაბრიციო მიკოლიმ**: *„როდესაც გუნდი ასეთი ანგარიშით მარცხდება, მხოლოდ მწვრთნელი ვერ იქნება დამნაშავე. თითოეული ფეხბურთელია პასუხისმგებელი და არ მესმის, რატომ ვაკრიტიკებთ ერთადერთ ადამიანს. კარგად ვიცით როგორი პიროვნებაა დელიო როსი და მას ბოლომდე მხარს ვუჭერთ. ვფიქრობ, ჩვენ ერთად შევძლებთ რეაბილიტაციას და კრიზისის დაძლევას. ასეთი რამ ნებისმიერ გუნდს შეიძლება დაემართოს და კარგი იქნება, თუ ტრაგედიას არ შევქმნით. უბრალოდ, ეს დღე ჩვენი არ იყო – არაფერი გამოგვივიდა, მაშინ როდესაც სტუმრებმა ყველა იერიში გოლით დაასრულეს".*

მიკოლის პოზიცია გასაგებია, მაგრამ ძამპარინის თქმის არ იყოს, როსის მხოლოდ სასნაული თუ გადაარჩენს. კოზმისთან ერთად კიდევ ორი მწვრთნელის გვარი სახელდება: **ჯუზეპე პაპადოპულო**, რომელიც თავის დროზე უკვე მუშაობდა „პალერმოში" და **ვალტერ ძენგა**, რომელიც ამჟამად არაბეთშია გადახვეწილი და იქ აგრძელებს სამწვრთნელო საქმიანობას. თუმცა, ყველაზე ძვირად მაინც კოზმის შანსები ფასობს, რომელმაც უკვე გამოთქვა მზადყოფნა ჩაიბაროს სიცილიური გუნდი: *„დიდი ხანია, რაც სერია A-ში არ მიმუშავია და სიცილიელთა შემოთავაზებას დიდი სიამოვნებით დავთანხმდები. პირობებს რა თქმა უნდა აქვს მნიშვნელობა, მაგრამ არა მგონია, რომ შეთანხმებამდე მისვლა გაგვიჭირდეს. თუმცა ჯერ ამაზე საუბარი ნაადრევია, რადგან ძამპარინისთან შეხვედრა არ მქონია და თანაც, დელიო როსი ჯერ კიდევ გუნდის მთავარ მწვრთნელად ითვლება. ნებისმიერ შემთხვევაში, მოლაპარაკებისთვის მზად ვარ".*

მოგვიანებით პაპადოპულომაც გამოთქვა „პალერმოს" მთავარი მწვრთნელის პოსტის დაკავების სურვილი – ასე რომ, მაურიციო ძამპარინის ასარჩევად აქვს საქმე. ვნახოთ, უახლოეს დღეებში ყველა კითხვას გაეცემა პასუხი.

ლაშა წიკლაური

P.S. წუხელ ცნობილი გახდა, რომ დელიო როსი მოხსნეს და მის ნაცვლად სერსე კოზმი დანიშნეს.

● დოსიე

დელიო როსი

50 წლის

საფეხბურთო კარიერის დიდი ნაწილი გაატარა სერია B-ს „ფოჯაში".

წვრთნიდა: სალერნიტანა, ფოჯა, ჰესკარა, ჯენოა, ჰესკარა, ლეჩე, ატალანტა, ლაციო.

2009 წლის ნოემბერში „პალერმოში" ვალტერ ძენგა შეცვალა.

ტიტული: იტალიის თასი (ლაციო) - 2009 წ.

● ამბები

ლუის საა სიკვდილს გადაურჩა

"ევერტონის" ფრანგმა თავდამსხმელმა **ლუის საამ** შაბათის საკუთარ თავს მსხვილმანი "სიურპრიზი" მოუწყო. ინგლისელი ჟურნალისტებისვე თქმით, მან მოახერხა და სიკვდილი მოატყუა. ეს ფრაზები ჩვენმა ინგლისელმა კოლეგებმა იმიტომ დახარჯეს, რომ ფეხბურთელი საკუთარი ძვირად ღირებული "ფერარით" ჩეშირის საგრაფოს პატარა ქალაქ ვილმსლოუში ავარიაში მოჰყვა და სიკვდილს ბეწვზე გადაურჩა. "დეილი მეილის" ცნობით, ფეხბურთელმა მანქანაზე კონტროლი დაკარგა, შედეგად მანქანა დალეწა. საბედნიეროდ, ავტომობილის დამცავი სისტემების წყალობით ფეხბურთელს სერიოზული დაზიანება არ მიუღია. თქვენ წარმოიდგინეთ, ლუისს სტაციონარული მკურნალობაც კი არ დასჭირვებია. პოლიციის გამომძიებლის თქმით: *"საგზაო შემთხვევა 26 თებერვალს, საღამოს 20:54 საათზე მოხდა. ავტომანქანა სერიოზულად არის დაზიანებული. მანქანაში ერთი ადამიანი იჯდა და მას წარმოუდგენლად გაუმართლა, არათუ უვნებელი, საერთოდ ცოცხალი რომ გადარჩა".* აღვნიშნავთ, რომ პრემიერლიგის ვარსკვლავმა "ფერარი 458 იტალია" დაამტვრია, რომლის ღირებულება 170 ათასი ფუნტი სტერლინგია.

ორიოდე სიტყვით ამ მანქანასაც შევეხებით: 2010 წლის ბოლოს აღნიშნული მოდელები კომპანია "ფერარიმ" გაყიდვიდან დროებით მოხსნა, ხოლო გაყიდულები დამატებით შემონმებაზე გაატარა, რათა სერიოზული ტექნიკური პრობლემა აღმოეფხვრა – აღმოჩნდა, რომ მანქანები უეცრად ცეცხლის ალში ეხვეოდა. ასეთი ინციდენტი პირველად გასული წლის ივლისის პირველ რიცხვებში იტალიაში მოხდა და დაზარალებულს ცეცხლის ჩაქრობაში სხვა ავტომობილისტი დაეხმარა. იგივე განმეორდა რამდენიმე დღეში შვეიცარიაში. აგვისტოში ანალოგიური რამ დაფიქსირდა ჯერ ჩინეთში, შემდეგ აშშ-ში. იტალიელებმა ყველა გაყიდული მანქანა გამოიხმეს და დეტალური დათვალიერების შემდეგ დაასკვნეს, რომ ცხელ ამინდში ძრავის დიდი დატვირთვის პირობებში ავტომობილის საბურავების თაღებს შორის გამოყენებული ნებო ზედმეტად ხურდებოდა და ჯერ ბოლი ასდიოდა, შემდეგ კი ცეცხლიც ეკიდებოდა.

ლევან ბიგილაშვილი

● იუვენტუსი

დელ ნერის მძიმე ტვირთი: 11-დან 10 უნდა მოიგოს

ის, ფაქტობრივად, გააგდეს



სულ უფრო და უფრო აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ **ლუიჯი დელ ნერი** სეზონის ბოლომდე ვერ გაატანს და "იუვენტუსის" მთავარი მწვრთნელის პოსტის დატოვება მოუწევს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან "ვეკია სენიორა" ღრმა კრიზისშია და პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რომ მიმდინარე სეზონში ჩემპიონთა ლიგის საგზურის გარეშე დარჩება. არადა, ტურინელები ვერც წელს ასპარეზობენ ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირზე, რაც კლუბის ბიუჯეტს მნიშვნელოვან ზარალს აყენებს. მიუხედავად ამისა, პიემონტური გრანდის მესვეურები არ ჩქარობენ მწვრთნელის გათავისუფლებას და მას ახალ პირობას უყენებენ. "გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, თუ დელ ნერის პოსტის შენარჩუნება სურს, სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში დარჩენილი თერთმეტი პაექრობიდან ათში გამარჯვება უნდა მოიპოვოს. ეს სრულიად საკმარისი იქნება იმისთვის, რომ გუნდი ევროპის ლიგის გათამაშებაზე გავიდეს და თუ სასნაული მოხდა, იქნებ ოთხეულსაც გამოჭკრას ხელი. ამ ინფორმაციას კლუბის სპორტული დირექტორი, **ჯუზეპე მაროტა** არც უარყოფს და არც ადასტურებს:

"შედეგებით ნამდვილად არ ვართ კმაყოფილი და ბუნებრივია, რომ თუ ასე გაგრძელდა, რეაგირება მოგვიწევს. თუმცა, დღეს ამაზე დეტალურად საუბარი არ მსურს, რადგან ლუიჯი დელ ნერი კვლავაც "იუვენტუსის" მთავარი მწვრთნელია და საკმაოდ კარგი შანსი აქვს, რომ პოსტი შეინარჩუნოს, თერთეტიდან ათი თამაშის მოგება? – ვერაფერს გეტყვით, თუმცა ვფიქრობ, რომ "იუვენტუსს" შესწევს ძალა, რომ ასეთი შედეგი აჩვენოს. დელ ნერის კომპეტენციაში ნამდვილად არ გვეპარება ეჭვი და მასზე კვლავაც ვამყარებთ იმედებს".

ამასობაში, დელ ნერის შესაძლო შემცვლელების სია იზრდება და ჩამონათვალს ახალი გვარი ემატება. ბოლო ინფორმაციით, ტურინელებმა **ლუჩანო სპალეტისთან** წამოიწყეს მოლაპარაკებები და შეეცდებიან იტალიაში დაბრუნებაზე დაიყოლიონ. ამის მცდელობა უკვე ჰქონდა "ინტერს", როდესაც **რაფაელ ბენიტესმა** დატოვა პოსტი, თუმცა უშედეგოდ. ვნახოთ, რამდენად წარმატებული იქნება ტურინელთა მცდელობა. აქტიურად საუბრობენ **ანტონიო კონტეს** კანდიდატურაზე, რომელიც ამჟამად "სიენას" უდგას სათავეში და მისი თავკაცობით ტოსკანური გუნდი ახლოს არის ელიტაში დაბრუნებასთან. შეგახსენებთ, რომ "ბარი" სწორედ კონტეს ხელში გადავიდა სერია A-ში, თუმცა კლუბის პრეზიდენტთან დაპირისპირების გამო გუნდის დატოვებმ მოუწია. ახალგაზრდა სპეციალისტი ახლოს არის, რომ მეორე გუნდი გადაიყვანოს ელიტურ დივიზიონში, რაც მის მაღალ კვალიფიკაციაზე მიუთითებს. თანაც, კონტეს კარიერის საუკეთესო წლები "იუვენტუსში" აქვს გატარებული და ტურინში მიღებული კაცია.

სახელდება კიდევ ორი სპეციალისტი გვარი: ერთი **მარჩელო ლიპი** გახლავთ, მეორე კი **ჯანლუკა ვიალი**. ამ უკანასკნელის სამწვრთნელო შესაძლებლობებზე საუბარი გაგვიჭირდება, მაესტროზე კი აუცილებლად უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა. 2010 წლის მუნდიალის შემდეგ, ლიპი უქმად გახლავთ და გასულ კვირას პირველად გამოთქვა სურვილი სამწვრთნელო საქმიანობას დაუბრუნდეს: *"მთელი ამ ხნის განმავლობაში არაერთი შემოთავაზება მქონდა, მაგრამ განსაკუთრებულად საინტერესო არც ერთი. სეზონის ბოლომდე ნამდვილად დასვენებას ვაპირებ, აი ზაფხულში კი მსურს, რომ დავუბრუნდე საყვარელ საქმიანობას. სანაკრებო თუ საკლუბო ფეხბურთი? – სიმართლე გითხრათ, აქტიური მუშაობის სურვილი უფრო მაქვს, ამიტომ, უპირატესობას კლუბებს მივანიჭებ".*

ერთი სიტყვით, „იუვენტუსის" გარშემო დიდი ორომტრიალია და საინტერესოა, რით დასრულდება ეს ყველაფერი, მაგრამ ქვემოთ სიას რომ ჩახედავთ, მიხვდებით, რატომ არის დელ ნერი განწირული...

ლაშა წიკლაური

იუვენტუსის დარჩენილი 11 მატჩი

5 მარტი:	მილანი (შ)
13 მარტი:	ჩეზენა (გ)
20 მარტი:	ბრეშა (შ)
3 აპრილი:	რომა (გ)
10 აპრილი:	ჯენოა (შ)
17 აპრილი:	ფიორენტინა (გ)
23 აპრილი:	კატანია (შ)
1 მაისი:	ლაციო (გ)
8 მაისი:	კიევო (შ)
15 მაისი:	პარმა (გ)
22 მაისი:	ნაპოლი (შ)

● რეალი

ქრუიფი მოურინიოს: მეტი შრომა კი არა, მეტი ფიქრია საჭირო

7 ქულა, ეს არ არის დასასრული

„დეპორტივოს მეორე ტაიმში პრაქტიკულად ბურთისთვის ფეხი არ დაურტყამს, ჩვენ კიდევ მეკარისა და 10 მცველის წინააღმდეგ გვინევდა თამაში", - ეს ***ჟოზე მოურინიოს*** *ყველაზე ფრთიანი ფრაზაა, რაც მან „რიასორზე" 0:0 დასრულებული მატჩის შემდეგ თქვა. „რეალის" პორტუგალიელ თავკაცს ერთში ნამდვილად ვეთანხმებით, გალისიურ-კასტილიური დაპირისპირება მართლაც მოგვაგონებდა ცალკარას, რომელშიც უტევდა ერთი გუნდი, მეორე კი მხოლოდ ხელის შეშლით იყო დაკავებული.*

„დეპორტივოს" დიდ პატივს ვცემ, გუნდმა ითამაშა ისე, როგორც აწყობდა. დარწმუნებული ვარ, რომ აღებული ქულითაც უზომოდ კმაყოფილნი არიან მეტოქე გუნდის ფეხბურთელები. ასეთი თავდაუზოგავი ბრძოლით მათ ეს სიხარული დაიმსახურეს. ქედს ვიხრი მათ წინაშე - ყველა თამაში ასე რომ ითამაშონ, ევროთასეულისთვის ბრძოლას შეძლებენ".

*შვიდქულიანი ჩამორჩენა ძალიან ბევრია, მაგრამ სანამ მათემატიკური შანსი არსებობს, მანამდე ვიბრძოლებთ. მსაჯობაზე ლაპარაკი არ მიყვარს და არც ის ვ

, მოხვდა ხელზე მეტოქის მცველს საჯარიმოში ბურთი თუ არა, ძალიან შორს ვიყავი იმ ეპიზოდიდან და არ ჩანდა. მაგრამ მეოთხე მსაჯს მაშინვე მივეცი შენიშვნა, რომ რეფერის ჩემი ფეხბურთელებისთვის მეტი პატივისცემით მიემართა, რადგან რაც ვნახე, ის ნამდვილად არ იყო ნორმალური.*

კალენდრის შემდგენლებმა ხომ იცოდნენ წინასწარ, რომ ასეთი სიტუაცია შეიქმნებოდა, განა არ შეიძლებოდა, რომ კვირას გვეთამაშა. მაშინ ხომ უფრო დასვენებულნი ვიქნებოდით. ისევ ვლაპარაკობ ისეთ საკითხებზე, რომლებზეც ყველამ იცის, რომ მართალი ვარ, მაგრამ არაფერი იცვლება. ხალხი უკვე ზურგსუკან დამცინის, მაგრამ ჩემთვის ეს არ არის მთავარი".

სხვათა შორის, „რეალსა" და მის პრობლემებზე თავისი აზრი გამოთქვა „მფრინავმა ჰოლანდიელმა **იოჰან კრუიფმა**. *აი, რა თქვა „ბარსელონას" ლეგენდამ:*

„ჟოზე მოურინიოს ურჩევნია სულ სხვა რამეზე დაიწუწუნოს. არ არის გუნდის ვერმოგება გადატვირთული გრაფიკის ბრალი, ეს უფრო სათამაშო სტილის ბრალია. „ბარსელონას", რატომღაც, ნაკლები პრობლემა აქვს გრაფიკის გამო. ჩემი აზრით, ასეთ მჭიდრო გრაფიკში „ბარსას" თამაშის უკეთესი სტილი აქვს არჩეული, ის მთელი თამაში დომინირებს და თავის ტემპს კარნახობს მოწინააღმდეგეს. „რეალი" კი ბურთის მოსაპოვებლად მეტოქის კარიდან საკმაოდ შორს იბრძვის, გუნდი მეტს მოძრაობს, მეტს დარბის და მეტ ენერგიას ხარჯავს, ვიდრე „ბარსა". შესაბამისად, „რეალი" ბოლოსკენ იღლება. ასე რომ არ ყოფილიყო, ჟოზეს გუნდი თავისუფლად მოუგებდა „დეპორტივოს", „რეალს" ბევრი ძალიან მაგარი ფეხბურთელი ჰყავს, მაგრამ ისინი გადამწყვეტ მომენტში დაიღალნენ და „დეპორის" დაცვამაც გაძლო".

მოკლედ, ასეთია კრუიფის აზრი, რომელიც მან „ელ პერიოდიკო კატალუნიაში" სვეტად დაწერა. ვფიქრობთ, არის მასში სიმართლის მარცვალი.

„გუნდი იბრძოლებს ბოლომდე, რადგან ჩემპიონობის შანსი კიდევ დარჩა. ეს ჩვენი კულტურის ნაწილია, „რეალი" არ ნებდება", - აცხადებს კლუბის ერთ-ერთი დირექტორი, წარსულში „რეალის" ვარსკვლავი **ემილიანო ბუტრაგენიო**: *„ლიგის ჩემპიონის ვინაობა ჯერ არ არის გადაწყვეტილი. სპორტში ყველაფერი ელვისებურად იცვლება, ასე რომ, ნურავინ ჩათვლის წინასწარ, რომ უკვე გამარჯვებულია.*

ბოლო დროს გოლების გატანა გვიჭირს. არადა, რამდენიმე თვის წინათ მეტოქეებს უბრალოდ ვანადგურებდით. ლა კორუნიაში 4-5 ნაღდი საგოლე შანსი გვქონდა, მაგრამ გოლში ერთიც კი ვერ აისახა. რამდენიმე თვის წინ, აქედან უმეტესობას გავიტანდით.

შესაძლოა, ხალხს ნაკლებად ადარდებს, რომ ჩვენ ქრისტეშობის შემდეგ ძალიან გადატვირთული კალენდარი გვაქვს. მოურინიოც ამ აზრზეა, კლუბი, რომელიც შუა კვირაშიც თამაშობს, ოდნავ მეტ პატივისცემას იმსახურებს კალენდრის შედგენისას. ეს მისი აზრია და არა მისი მხრიდან წარუმატებლობის გამართლების მცდელობა.

რაც შეეხება მსაჯობას, მოდი, ამ საკითხზე არ ვილაპარაკებ, ისევე როგორც არ ვლაპარაკობდი ჩემი ფეხბურთელობის პერიოდში. მსაჯებს ძალიან რთული საქმე აქვთ და ჩვენ მზად ვართ დავეხმაროთ მათ".

აი, გუნდის კაპიტანმა **იკერ კასილიასს** *კი მოსაწყენად ნაღდი არ ეცალა, მას ესპანეთის მეფე* **ხუან კარლოსთან** *ჰქონდა აუდიენცია - გუშინ იკერმა მეფის ხელიდან „კოპა ბარონ დე გუელი" მიიღო. კასილიასი, როგორც კაპიტანი ესპანეთის ეროვნულ ნაკრებს წარადგენდა, იქვე იყო „ფურია როხას" მთავარი მწვრთნელი* **ვისენტე დელ ბოსკეც**. *ამ პრიზს მეფე ყოველწლიურად გადასცემს ესპანეთის თავგამოჩენილ სპორტსმენებს. 2010 წლის გამარჯვებული, ისევე როგორც 2008-ში, ესპანეთის ფეხბურთელთა ნაკრები გამოდგა. ამიტომაც ჩაიბარეს თასი დელ ბოსკემ და კასილიასმა.*

ახლა კი ჩვენს გაზეთში პირველად გთავაზობთ მეფე ხუან კარლოსის გამონათქვამს: „2010 წელი, ყოველ მიზეზს გარეშე, ყველაზე ბრწყინვალე წელინადი იყო ესპანური სპორტის ისტორიაში. თქვენი მიღწევა თავისთავად მეტყველებს თქვენს გმირობაზე. თქვენ სხვებს დიდებული მაგალითი და ქვეყანას სიამაყის საფუძველი მიეცით".

კასილიასი დაჯილდოების შემდეგ კომენტარს „რეალის" ოფიციალურ საიტთან აკეთებს: *„ეს იყო ძალიან ლამაზი საღამო, ბრწყინვალე ჟესტი სამეფო ოჯახის მხრიდან. ძალიან სპეციალური გრძნობაა მის უდიდებულესობასთან და დედოფალთან ურთიერთობა. მეფეს და მე ესპანეთის ნაკრებზე არ გვისაუბრია, უბრალოდ, ზოგადად ფეხბურთზე და კლუბებზე ვისაუბრეთ. მან სე ზონის დარჩენილ ნაწილში წარმატება მისურვა. ვიმედოვნებ, რომ მას სულ მალე კიდევ შევხვდები, როცა ვალენსიაში „კოპა დელ რეის" ჩავიბარებ", - იკერი თასის ფინალს გულისხმობს, რომელიც 20 აპრილს „მესტალიაზე" გაიმართება და „რეალის" მეტოქე „ბარსელონაა".*

სტატისტიკოსებს არ დაეზარათ და დაითვალეს, თუ რამდენჯერ გაარტყეს „რეალის" ფეხბურთელებმა ამ სეზონში ბურთი ძელს. რა თქმა უნდა, მათ ამისკენ **კრისტიანო რონალდოს** *ეპიზოდმა უბიძგა. პორტუგალიელს უკვე სამი ტურია ვერ გაუტანია. არადა, მან „დეპორტივოსთან" ძალიან კარგად ითამაშა, მაგრამ ხან პარტნიორები ვერ უბამდნენ მხარს, ხან* **დანიელ არანსუბია** *ყოჩაღობდა, ხან კი... „დეპორტივოს" კარის ძელი. სხვათა შორის, ამ თამაშში* **ემანუელ ადებაიორმაც** *გაარტყა ძელს ბურთი. სულ სეზონში კი 12 ასეთი შემთხვევა ყოფილა. ამ მაჩვენებლით, „რეალი" მხოლოდ „სევილიას" (13) ჩამორჩება, მესამე ადგილზე კი „ბარსელონაა" - 10. ფეხბურთელთა შორის, რა თქმა უნდა, რონალდო ლიდერობს - მან ამ სეზონში 4-ჯერ გაარტყა ბურთი ძელს, 3-ჯერ გამოიჩინა თავი* **გონსალო იგუანმა**, *2-ჯერ კი ახლახან შემატებულმა ადებაიორმა.*

ამასობაში „სამეფო კლუბი" უკვე მომავალ მატჩზე ფიქრობს და ვარჯიშობს „მალაგას" დასახვედრად - ხუთშაბათს მორიგი ტურია და „რეალი" პრიმერას მაჩანჩალას მასპინძლობს. ჯერ არ მომხდარა, რომ „მალაგას" „სანტიაგო ბერნაბეუზე" მოეგოს, ასე რომ, მოურინიოს გასაოცარ საშინაო რეკორდს საფრთხე ნაკლებად ემუქრება. ლა ლიგის ეგიდით 29 შეხვედრიდან „რეალმა" 24 მოიგო და 5 ფრედ დაასრულა, ბურთების შეფარდებაც შესაბამისია - 65-18. სხვათა შორის, ესპანურ ფეხბურთში „ბერნაბეუზე" მოუგებელი 27 კლუბია, მაგრამ აქედან მხოლოდ ერთია დღეს პრიმერაში - „ალმერია". ამათგან ყველაზე მეტი შანსი „ლას პალმასს" ჰქონდა, რომელიც 31-ჯერ ეთამაშა „რეალს".

„რეალზე" წერას დღეს ერთი სატრანსფერო სიახლით დავამთავრებთ - AS *ირწმუნება, რომ მადრიდული კლუბი მზადაა მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდეს ნებისმიერ კლუბთან, რომელსაც ბრაზილიელი* **კაკას** *ყიდვა სურს - ცხადია, ზაფხულში. კაკა „როსონერიდან" 2009 წელს გადავიდა „ლოს ბლანკოსში" და კონტრაქტით მადრიდულ კლუბს 2015 წლის ზაფხულამდე ეკუთვნის.*

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ბარსელონა

ჩავი ბრუნდება, ალვეში ხელს აწერს

„ბარსელონას" ლაზარეთიდან **ჩავი** და **ჟეფრენ სუარესი** უბრუნდებიან - გუშინ ამ ორმა ფეხბურთელმა უკვე გუნდთან ერთად ივარჯიშა. სხვათა შორის, თუ ფოტოს კარგად დააკვირდებით, აღმოაჩენთ, რომ „ბარსას" სავარჯიშო ფორმაზე სიახლეა - გაჩნდა სარეკლამო ნაწერი: „ყატარ ფაუნდეიშნ". ამასობაში, **პეპ გვარდიოლას** გუნდი სეზონში ერთ-ერთი ყველაზე გადამწყვეტი მატჩისთვის ემზადება - ხვალ „მესტალიაზე" ჩემპიონი „ლამურებს" ეწვევა და, თუ არც იქ წაიფორხილა, მერე, ალბათ, ვერც ვერავინ შეაჩერებს. ჩავიმ კვირასაც ივარჯიშა ინდივიდუალურად, გუშინ კი გუნდთან ერთად დაიტვირთა, მაშინ როცა, **კარლეს პუიოლი** და **ვიქტორ ვალდესი** ტრენაჟორთა დარბაზში ინდივიდუალური ვარჯიშით შემოიფარგლნენ. გვარდიოლამ ამჯერად **მინიო** და **ნოლიტო** დაიმატა სარეზერვო გუნდიდან. დღეს კიდევ ერთი ვარჯიში გაიმართება **ჟოან გამპარის** ბაზაზე და უფრო ცხადი გახდება, შეძლებს თუ ვერა „ბარსას" ნახევარდაცვის მაესტრო „ვალენსიასთან" თამაშს.

ამასობაში, **დანიელ ალვეშმა** კლუბის ოფიციალურ საიტს განუცხადა, რომ სხვა კლუბში თამაში ვერც კი წარმოუდგენია. ბრაზილიელი ოპტიმისტურად არის განწყობილი და იმედოვნებს, რომ სულ მალე ახალ კონტრაქტს დაიმსახურებს: *„ვერ წარმომიდგენია აღვეში „ბარსას" გარეშე. ჩემზე რომ იყო დამოკიდებული, 100%-ით გეტყოდით, რომ ვრჩები, მაგრამ მოლაპარაკებას ორი მხარე აწარმოებს. ჩემი სურვილი და ოცნება ერთია - გავაგრძელო კარიერა იქ, სადაც ვარ - „ბარსელონაში". მოლაპარაკება მიდის და მერწმუნეთ, რომ ეს არ არის მხოლოდ ფულზე დამოკიდებული, შესათანხმებელია სხვა საკითხებიც".*

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ვარსკვლავი



რონალდოს ორმაგი ბედნიერება

პორტუგალიელმა ვარსკვლავმა **რონალდომ,** როგორც იქნა, გადაწყვიტა ოჯახური უღელი მხრებზე წამოეკიდებინა. როგორც გაზეთები წერენ, ფეხბურთელმა "გული და ხელი შესთავაზა" მის დიდი ხნის მეგობარ გოგონა **ირინა შაიხისლამოვას** (მოდელი უფრო **ირინა შეიკის** სახელით არის ცნობილი). "ნიუს ამენის" ცნობით, "რეალის" ლიდერმა ეს ნაბიჯი ოფიციალურად გადადგა, თანაც 14 თებერვალს, ვალენტინობას. აღნიშნულ დღეს ირინა ტელევიზიაში "დევიდ ლოტერმანის ნაგვიანებ შოუს" უნდა სტუმრებოდა. ფეხბურთელი კი ამ ნაბიჯის გადასადგმელად, როგორც ჩანს, კარგა ხანია, ემზადებოდა. ყველაფერი ინტერვიუს დაწყებამდე მოხდა... სუპერმოდელმა ფეხბურთელს, რა თქმა უნდა, თანხმობით უპასუხა. მოგვიანებით დასმულ შეკითხვაზე, თუ როდისთვის გეგმავდნენ ქორწინების ოფიციალურ ცერემონიალს, მათ პასუხის გაცემა არ ისურვეს.

აღნიშნული ინფორმაცია უკვე დაწერილი გვქონდა, როცა წყვილის შესახებ კიდევ ერთი, არანაკლებ სასიამოვნო ინფორმაცია გავრცელდა. მაშ ასე: პორტუგალიურმა პრესამ ბევრი ჩხრიკა თუ ცოტა ჩხრიკა, სიმართლეს მაინც მიაგნო. თურმე რონალდოს ირინასთვის ცოლად გაყოლა იმიტომ შეუთავაზებია, რომ რუსი გოგონა მისგან ფეხმძიმედ გახლავთ. ფეხბურთელმა თავი ვალდებულად ჩათვალა, რათა მათი ურთიერთობისთვის ოფიციალური სახე მიეცა.

ლევან ბიბილაშვილი

● ადამიანი-პრობლემა

რომა ადრიანოს ემუქრება

ადრიანოს უკვე აღარაფერი ეშველება. აღარ უნდა ამ ბიჭს დიდი ფეხბურთის თამაში. აშკარაა, რომ ერთადერთი მოტივაცია, რაც მას შერჩა, ეს დიდი ხელფასია. ცუდი თამაში და დიდი ანაზღაურება კიდევ ერთმანეთთან შეუთავსებელი ცნებები რომ არის, ვგონებ ამის აღქმა არ შეუძლია.

იტალიური პრესა ჯერ კიდევ მაშინ დაეჭვდა „რომას" ხელმძღვანელთა კეთილგონიერებაში, როცა მათ „ათასგზის გამოუსწორებელ" ბრაზილიელს ათასმეერთე შანსი უბოძეს. სეზონის დასაწყისში ისინი ფეხბურთელს ხელს აფარებდნენ, აცხადებდნენ რა, რომ მართალია ფორმაში არ იყო, მაგრამ მონდომებით ვარჯიშობდა. მათაც მალე ამოუვიდათ ყელში ადრიანოს სისულელეების თმენა და მერე უკვე ყველას გასაგონად თქვეს, ალბათ მაშინ შევცდით, როცა მასზე პირველად დავფიქრდითო. ხელის ტრავმის სამკურნალოდ სამშობლოში გაშვებული ფეხბურთელი ალკოჰოლს მიეძალა, რის დასადასტურებლადაც პრესამ არა ერთი და ორი ფოტო მოიპოვა.

„რომას" ბოსების განცხადებით მათი მოთმინების ფიალა უკვე აივსო და ისინი ფეხბურთელს უახლოეს დღეებშივე გაუუქმებენ კონტრაქტს.

ლევან ბიბილაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

BUNDES LIGA

გერმანია. ბუნდესლიგა. XXIV ტურის გამოხმაურება

საღაც თქვენი დაიკვეხნეთ...

გერმანიამ ბაიერნს დასცინა, დორტმუნდში კი გერმანულ ბარსას ხედავენ

თუკი აქამდე ვინმეს ჯერ კიდევ ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ დორტმუნდის „ბორუსია“ გერმანიის ჩემპიონობის უპირველესი კანდიდატია (ასეთები მართლა არსებობდნენ, განსაკუთრებით მიუნხენში), შაბათის შემდეგ BVB-მ ზემოხსენებული სტატუსი უკვე მთელი გერმანიისა და ევროპის (გნებავთ მსოფლიოს) მასშტაბით მიიღო. ბუნდესლიგის 24-ე ტურის შემდეგ, რომელშიც „დორტმუნდმა“ რეკორდმაისტერს მიუნხენში 3:1 მოუგო, „ბაიერნს“ მთელი გერმანია დასცინის. მიზეზი: მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული ტურის წინ, რეკორდმაისტერი „ბორუსიას“ 13 ქულით ჩამორჩებოდა, „ბაიერნის“ ხელმძღვანელები „დორტმუნდს“ მაინც არ აღიარებდნენ. თამაშის წინ კი, მიუნხენური გრანდის პრეზიდენტი ული ჰოინესი ამბობდა, „ბორუსიას“ მინიმუმ ორბურთიანი სხვაობით მოვუგებთო. ტურისა და მთლიანად სეზონის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩის შემდეგ, ბასტიან შვაინშტაიგერი, რომელმაც რბილად რომ ვთქვათ, ცუდად ითამაშა, კატაკომბებში უსიტყვოდ გაუჩინარდა. უჩვეულოდ მოკრძალებული იყო „ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელი ლუის ვან გაალიც, რომელმაც, ნაცვლად იმისა, რომ დორტმუნდელებისთვის ჯერაც გაუნაღდებელი, მაგრამ ფაქტობრივად დამსახურებული ტიტული მიელოცა, ტელეკომპანია ZDF-ის რეპორტიორთან იჩხუბა. აღარაფერს ვამბობთ „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტ კარლ-ჰაინც რუმენიგეზე, რომელმაც თქვა, „ბორუსიასთვის“ მისალოცი ჯერ არაფერია და ამ რამდენიმე კვირას სიამოვნებით მოვიცდიო.
ეს და სხვა საინტერესო მოვლენები ბუნდესლიგის 24-ე ტურის გამოხმაურებაში, რომელსაც ტრადიციულად, Tops& Flops-ის სახით გთავაზობთ.

Flop
შალკე და ახლა უკვე ნოიერიც

„ფეისბუქში“ გაწევრიანება და სტატუსების წერა საქმეს რომ შველოდეს, პირველ რიგში ამას „შტუტგარტის“ დამრიგებელი **ბრუნო ლაბადია**, ან „ვერდერის“ მწვრთნელი **თომას შააფი** გააკეთებდნენ. **ფელიქს მაგათს** კი, „შალკეს“ ფანებმა შაბათს, „ნიურნბერგთან“ მატჩის (1:1) დროს უდიდესი ტრანსპარანტი გადმოუფინეს წარწერით: *„ფელიქს: აღარ მოგვწონს!“*

„ფელტინს არენა აუფ შალკეს“ პუბლიკამ მაგათს და მის გუნდს საფინალო სასტვენის შემდეგ ძალიან ბევრი უსტვინა. საქმე ისაა, რომ „შალკეს“ ფეხბურთელებს პირველ ტაიმში საერთოდ არაფერი უკეთებიათ, მეორე ნახევარში კი ცოტა მოინდომეს და რაც შექმნეს, ყველაფერი ფრანკების მეკარე **რაფაელ შეფერმა** გააუვნებელყო, ხოლო მისმა კოლეგა **მანუელ ნოიერმა** კი, ამჯერად ნაღდად არ ითამაშა ისე, როგორც უმაღლესი კლასის კიპერს შეეფერება - ნიურნბერგელთა გოლში ბუნდესმეკარესაც მიუძღოდა ბრალი. არადა, თამაშის შემდეგ ნოიერი ისევ პირველი იყო, ვინც თანაგუნდელებს შეუტია, საკუთარ მოედანზე სულ სხვანაირად უნდა ვთამაშობდეთო. დავნაძლევდეთ, რომ მაგათს ეს არ მოეწონება?

Flop
ყანა მილერნტორზე

„ზანკტ პაულის“ მშობლიურ არენა „მილერნტორზე“ მინდორი იმდენად საშინელ მდგომარეობაში იყო, რომ ჩვენი გერმანელი კოლეგები ხუმრობენ, ამ სტადიონზე თვით „ბარსელონაც“ კი შეცვლიდა სტილს და სულ სხვანაირად ითამაშებდაო. „ჰანოვერს“ კი ზუსტად ასეთ მოედანზე თამაში უყვარს, რადგან **მირკო სლომკას** არ ჰყავს ნიჭიერი ტექნიკოსები. შედეგი: ვერც „ზანკტ პაულიმ“ ითამაშა წესიერად და ვერც „ჰანოვერმა“, მაგრამ წითლებმა ჰამბურგიდან სამი ქულა წაიღეს (0:1).

Flop
იურგენის წვერი

ის ფაქტი, რომ „ბაიერნის“ თავდამსხმელმა **მარიო გომესმა** თმა შეიჭრა და ისეთი ვარცხნილობა დაიყენა, როგორიც 80-იანი წლების მერე თვით **ჯორჯ მაიკლსაც** კი აღარ ჰქონია, გერმანიაში უკვე აღარ ანაღლვებთ - მარიოს ყველამ დასცინა. გაიცინეს, ეყოთ! ახლა მთავარი სალაპარაკო თემა „ბორუსიას“ თავკაც **იურგენ კლოპის** წვერია. როგორც ჩანს, „კლოპო“ გაპარსვას ცოცხალი თავით არ აპირებს და თუ ჩემპიონობის განაღდებამდე სურს ამ წვერის შენარჩუნება, სეზონის ბოლოს იურგენს მშობელი დედაც ვეღარ იცნობს.

Flop
ადლერი გაბრაზდა

„მე მგონი, ზოგ-ზოგიერთებს ჩემპიონთა ლიგაში თამაში არ უნდათ, - კბილებში გამოსცრა „ლევერკუზენის“ მეკარე **რენე ადლერმა** *„ვერდერთან“ 2:2-ის შემდეგ და „ფარმაცევტების“ მცველების თამაშიც ორი სიტყვით შეაფასა, - გული მერევა!“*

ადლერის განრისხება აბსოლუტურად გასაგებია: „ლევერკუზენი“ დაბეჩავებულ „ვერდერს“ 2:0-ს უგებდა და ბოლო შვიდ წუთში დაკარგა სამი ქულა, რაც **იუპ ჰაინკესის** გუნდს ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში ძალიან ნაადგებოდა. ახლა კი, „ბორუსიას“ მთავარ მდევრებს შორის ჩემპიონთა ლიგის ორი საგზურისთვის ბრძოლა საკმაოდ დაძაბულია: „ლევერკუზენი“, „ჰანოვერი“, „ბაიერნი“. არც ის დაგავიწყდეთ, რომ ლევერკუზენელებს მიუნხენში ჩასვლა უნევთ.

Flop
გაპროგლემებული შვაინი

ბასტიან შვაინშტაიგერი თვეების მანძილზე ძალიან კარგად თამაშობდა და „დორტმუნდთან“ მატჩამდე, მილანის „ინტერთანაც“ ბრწყინვალე იყო. ცხადია, „ბორუსიასთანაც“ ბევრი რამ უნდოდა, მაგრამ მხოლოდ ცუდი გამოუვიდა. **ლუკას ბარიოსმა** ანგარიში რომ გახსნა, შვაინშტაიგერის ბრალი იყო, რადგან სწორედ მან დაკარგა ბურთი უაზროდ. მესამე გოლიც შვაინის სინდისზეა, რადგან სწორედ მან წააგო საჰაერო ორთაბრძოლა გოლის ავტორ **მატს ჰუმელსთან**. და რა ხდებოდა ბარიოსისა და ჰუმელსის გოლებს შორის? ბასტიანს შეტევაში ან შეტევების ორგანიზებისას ერთი ხეირიანი რამეც კი არ გაუკეთებია. მის ადგილზე, „მილანში“ გადასული **მარკ ვან ბომელი** მე-20 წუთიდან გადაირეოდა, შვაინიმ კი არაფერი მოიმოქმედა. ეს კი ცოტაა ისეთი ფეხბურთელისგან, რომლის პოზიცია და ხელფასი პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ ის „ბაიერნის“ ერთ-ერთი ლიდერია. შვაინიმ სტადიონიც უსიტყვოდ დატოვა - თითქოს გამოცდილი კი არა, დებიუტანტი ბაიერნელი ყოფილიყო.

Top
სამართლიანობა შავ ზონაში

„აინტრახტისა“ და „შტუტგარტის“ მატჩის მე-15 წუთზე პატარა კურიოზი მოხდა: მსაჯმა **ვოლფგანგ შტარკმა** შვაბთა მცველ **ხალიდ ბულარუზს** წითელი ბარათი აუფრიალა, არადა, მინდორზე გაშხლართულ **მაიკ ფრანცს** ეს უკანასკნელი საერთოდ არ შეხებია. დამნაშავე **მატიო დელპიერი** გახლდათ და კიდევ კარგი, რომ ლაინსმენებმა შტარკს ბულარუზის გაგდება გადააფიქრებინეს. მერე ფრანციც გასაგდები იყო მორიგი პროვოკატორობისთვის, მაგრამ შტარკმა „აინტრახტის“ მცველი დაინდო. არადა, ზუსტად ასეთი საქციელის გამო გააძევა იმავე შტარკმა შარშან ასევე შტუტგარტელი **იენს ლემანი** - როგორც ჩანს, ეს მსაჯი შტუტგარტელებს ვერ იტანს.

კარგია ის, რომ კაცნაკლულმა შვაბებმა მაინც შეძლეს იმ თამაშის მოგება: 2:0 ლაბადიას გაჭირვებული გუნდის სასარგებლოდ.

XXII ტურის სიმბოლური ნაკრები (კიკერი. 4-2-3-1)

სვენ სუბოტიჩი (შტუტგარტი) - **საშა რიტერი** (ვოლფსბურგი), **ნევენ სუბოტიჩი** (ბორუსია დ), **მატს ჰუმელსი** (ბორუსია დ), **მარსელ შმელცერი** (ბორუსია დ) - **იან პოლაკი** (ვოლფსბურგი), **ნური შაჰინი** (ბორუსია დ) - **კევინ გროსკროიტცი** (ბორუსია დ), **დიეგო** (ვოლფსბურგი), **ლუკას პოდოლსკი** (კიოლნი) - **ლუკას ბარიოსი** (ბორუსია დ)

გასაკვირი არავისთვის უნდა იყოს ის, რომ კიკერისეული ტურის სიმბოლური ნაკრები ძალიანაა „გადაყვითლებული“: 24-ე ტურის სიმბოლურში ერთბაშად ექვსი დორტმუნდელი მოხვდა. აქედან, „ბაიერნის“ კარში გატანილი ულამაზესი გოლის ავტორ **ნური შაჰინისთვის** ეს მერვე შემთხვევაა. თურქი ნახევარმცველი სიმბოლურში მოხვედრების რაოდენობით ისევ პირველ ადგილზეა.

საუკეთესო ფეხბურთელები

24 ტურის შემდეგ, „კიკერის“ შეფასებების მიხედვით

ფეხბურთელი	კლუბი	საშ. შეფასება
1. ნური შაჰინი	ბორუსია (დ)	2.50
2. მატს ჰუმელსი	ბორუსია (დ)	2.56
3. შინჯი კაგავა	ბორუსია (დ)	2.62
4. სვენ ბენდერი	ბორუსია (დ)	2.63
5. მანუელ ნოიერი	შალკე	2.63
6. რომან ვაიდენფელერი	ბორუსია (დ)	2.70
7. ოლივერ ბაუმანი	ფრაიბურგი	2.70
8. მარიო გიოტცე	ბორუსია (დ)	2.73
9. კრისტიან ვეტკლო	მაინცი	2.77
10. ფრანკ რიბერი	ბაიერნი	2.83

ტურის გმირი
მატს ჰუმელსი (ბორუსია დ)

ჰუმელსმა კლოპს პარასკევს სთხოვა, თუ მიუნხენში მოვიგებთ, უქმეების მიუნხენში გატარების ნება მომეცით და მწვრთნელიც დათანხმდა. ამრიგად, 22 წლის მცველმა შაბათი და კვირა მშობლიურ ქალაქში გაატარა. „ბაიერნთან“, ანუ, კლუბთან, რომელსაც 2008 წელს ის აღარ უნდოდა, მატსი იმდენად იდეალური იყო, რომ ვერ წარმოგვიდგენია, როგორ უნდა ითამაშოს მცველმა ამაზე უკეთესად. თანაც, „ბაიერნის“ კარში გატანილი მესამე გოლი სწორედ მის ანგარიშზეა

გოლს პლუს პასის რეიტინგი

ფეხბურთელი	კლუბი	გოლი	პასი	ქულა
მარიო გომესი	ბაიერნი	18	3	21
არტურო ვიდალი	ლევერკუზენი	9	9	18
დიდიე ია კონანი	ჰანოვერი	11	7	18
პაპის დემბა სისე	ფრაიბურგი	16	1	17
თომას მიულერი	ბაიერნი	8	9	17
ლუკას ბარიოსი	ბორუსია (დ)	11	5	16
თეოფანის გეკასი	აინტრახტი	14	2	16
იულიან შიბერი	ნიურნბერგი	7	9	16
ლუკას პოდოლსკი	კიოლნი	10	5	15
მარიო გიოტცე	ბორუსია (დ)	4	10	14

ნევენ სუბოტიჩი და ნური შაჰინი უმნიშვნელოვანეს გამარჯვებას ზეიმობენ, მიუნხენში კი იმედგაცრუებულები არიან

Top
დიეგო და პიერი

ეს ფეხბურთელი „ვოლფსბურგს“ ან დააქცევს, ანაც ააშენებს - ბრაზილიელ **დიეგოს** ვგულისხმობთ, რომელმაც ამჯერად ყველაფერი ერთად გამოავლინა. 25 წლის ფლეიმეიქერმა თამაში ძალიან კარგად დაიწყო, მაგრამ მერე, 29-ე წუთზე თერთმეტმეტრიანი გააფუჭა (ზუსტად ისე, როგორც „ჰანოვერთან“ მატჩში), რის გამოც „ფოლკსვაგენარენაზე“ ყველანი თავის აქეთ-იქით ქნევას მოჰყვნენ. მაგრამ ბრაზილიელმა მაინც შეძლო რეაბილიტაცია: „ვოლფსბურგმა“ მიონხენგლადბახის „ბორუსია“ საბოლოოდ სწორედ მისი დუბლის წყალობით დაამარცხა.

ეს იყო „ვოლფსბურგის“ პირველი გამარჯვება ექვსი ვერმოგებული საშინაო მატჩის შემდეგ და პირველი გამარჯვება მას მერე, რაც გუნდს **პიერ ლიტბარსკი** წვრთნის. კითხვაზე, დაარტყამს თუ არა მომდევნო პენალტს, დიეგომ მხოლოდ გაიღიმა...

Top
გახსოვთ, პოდოლსკი?

ბუნდესლიგის მატჩის ბედს ხანდახან ერთი გოლი გადაწყვეტს ხოლმე და თუ ეს გოლი თან ულამაზესიცაა, ავტორს შეუძლია, ძალიან დიდხანს იამაყოს. სიამაყის ნაკლებობას **ლუკას პოდოლსკი** არასდროს განიცდიდა, მაგრამ იმ ფაქტს, რომ „ფრაიბურგის“ მეკარე **ოლივერ ბაუმანს** 89-ე წუთზე ბურთი თავზე მართლა მოხდენილად გადაუგდო, ვერსად გავექცევით. ამრიგად, „თხებმა“ ზედიზედ მეხუთე საშინაო მატჩი მოიგეს, 29 ქულა აქვთ და გასაავარდნ ზონას ამ ეტაპზე დროებით და სავარაუდოდ სამუდამოდ დაემშვიდობენ. პოდოლსკის მეორე წრეში უკვე 6 გოლი აქვს გატანილი და ამაზე მეტი არავის გაუტანია (**გომესმაც** ექვსჯერ იხეირა).

Top
საით, ჰანოვერ, ბარსასკენ?

„ჰანოვერი“ თავდამსხმელ **დიდიე ია კონანის** გარეშე ამ სეზონში მოგებას ვერაფრით ახერხებდა და **მირკო სლომკას** შეგირდებმა, როგორც იქნა, ეს ჯადოდ მოიხსნეს. „ზანკტ პაულის“ კარში გამარჯვების გოლი მცველმა **კრისტიან შულცმა** გაიტანა და მატჩის მერე თქვა, მიხარია, რომ ეს ყბადაღებული თემა დაიხურა - დიდიე ჩემი მეგობარია, მაგრამ „ჰანოვერი“ ერთ ფეხბურთელზე ნაღდად არაა დამოკიდებულიო. ამ მოგებით სლომკას გუნდმა „ბაიერნსა“ და „ლევერკუზენზე“ ზეწოლა გააძლიერა - პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: „ჰანოვერი“ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის.

მას მერე, რაც გაირკვა, რომ „წითლებს“ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე აღარ ემუქრებათ, სლომკამ თქვა, ჩვენი მიზანი გუნდის რეკორდის დამყარება და მინიმუმ 49 ქულის მოპოვებააო. „ჰანოვერი“ ამ მიზანთანაც ძალიან ახლოსაა, რადგან 24 ტურის შემდეგ ქულების გრაფაში 44 უწერია. გაგრძელდება ქვემოსაქსონიური ზღაპარი? მომდევნო ტურში სლომკას გუნდი მიუნხენის „ბაიერნს“ მასპინძლობს. თანაც, ია კონანთან ერთად...

Top
ყველაფერი მომავალი ჩემპიონის შესახებ

„დორტმუნდის“ ბრწყინვალე ფეხბურთი და გამარჯვება არა მარტო „ბაიერნისთვის“ გადაიქცა კარგ საფეხბურთო გაკვეთილად, არამედ მილანის „ინტერისთვისაც“ ბრწყინვალე ლექციაა. გერმანელმა ჟურნალისტებმა კი უკვე დაიწყეს ბჭობა იმის შესახებ, რომ „ბორუსიას“ შანსი აქვს, გერმანული „ბარსელონა“ გახდეს. საფეხბურთო გერმანიის უდიდესმა ნაწილმა **იურგენ კლოპსა** და მის გუნდს უკვე მიულოცა ქვეყნის ჩემპიონობა.

„ეს განსაკუთრებული მომენტია,“ - განაცხადა მატჩის შემდეგ სათვალეგატეხილმა და ყვრიმალშესისხლიანებულმა (ეს ყველაფერი **ნური შაჰინის** ბრალი იყო) იურგენმა, რომელიც ცამდე მართალია: დორტმუნდში მიუნხენიდან სამი ქულის წამოღებას არც მეტი, არც ნაკლები, 20 წელიწადი ელოდებოდნენ.

მიუნხენელთაგან განსხვავებით, დორტმუნდელმა **კევინ გროსკროიტცმა** სიტყვა შეასრულა. მატჩის წინ თქვა, „ბაიერნს“ მიუნხენშიც მოვუგებთო, „ალიანს არენაზე“ ახალგაზრდა კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა და თანაგუნდელებთან ერთად, უმნიშვნელოვანესი გაამრჯვებაც იზეიმა.

გერმანული ბარსა? ეს ეპითეტი დორტმუნდში ძალიან მოსწონთ...

გოტფრიდ ლენცი

● ამბები

ბოროვსკის ტვინი შეერყა

ბრემენის „ვერდერის“ ნახევარმცველმა **ტიმ ბოროვსკიმ** კვირას, „ლევერკუზენთან“ მატჩის (2:2) დროს ტვინის მსუბუქი შერყევა მიიღო. როგორც ბრემენული კლუბის ექიმები აცხადებენ, გამოცდილი ნახევარმცველი ვარჯიშს ოთხშაბათს ან ხუთშაბათს განაახლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბუნდესლიგის მომდევნო ტურში შეიძლება ითამაშოს. 30 წლის ბოროვსკიმ ტვინის შერყევა მატჩის 37-ე წუთზე, თანაგუნდელ **დომინიკ შმიდტთან** შეჯახებისას მიიღო.

ლამი: სახიფათო სიტუაციაა!

თუჯი მილანის „ინტერის“ დამარცხების შემდეგ (1:0 „ჯუზეპე მეაცაზე“) მიუნხენის „ბაიერნში“ ყველა ბედნიერი იყო, დორტმუნდის „ბორუსიასთან“ განცდილმა მარცხმა (1:3) რეკორდმაისტერი ისევ წნეხის ქვეშ მოაქცია. ხვალ ბავარიული გრანდი გერმანიის თასის ნახევარფინალში „შალკეს“ მასპინძლობს, შაბათს კი, გერმანიის ჩემპიონატის მორიგ კალენდარულ შეხვედრაში „ჰანოვერს“ უნდა შეხვდეს და **ლუის ვან გაალის** გუნდი ვალდებულია, ორივე თამაში მოიგოს, რათა „ბაიერნის“ მინიმალური მიზანი (ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება) მაინც არ დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ.

„მეოთხე ადგილზე ვართ და მეორეადგილოსანს ოთხი ქულით ჩამოვრჩებით, ეს კი ნამდვილად არ არის მოსაწონი, რადგან უკვე 24 ტურია გასული და ამიერიდან ყველა მატჩს უდიდესი სერიოზულობით თუ არ მოვეკიდებით, შესაძლოა, ყველაფერი თავზე ჩამოგვემხოს. გერმანიის თასის ფინალში გასვლა აუცილებელია და „ჰანოვერსაც“ უნდა მოვუგოთ. ვალდებულები ვართ, ორივე მატჩი მოვიგოთ, რაც იმას ნიშნავს, რომ საკმაოდ სახიფათო სიტუაციაში ვართ,“ - აცხადებს „ბაიერნის“ კაპიტანი **ფილიპ ლამი**.

კაგავა აპრილში დაბრუნდება?

დორტმუნდის „ბორუსია“ იმდენად კარგად თამაშობს, ბევრს, შესაძლოა, აღარც ახსოვდეს, რომ BVB-ს ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი, იაპონელი გამთამაშებელი **შინჯი კაგავა** ტრავმირებულია და 2011 წელს „შავ-ყვითლების“ შემადგენლობაში არცერთი მატჩი არ ჩაუტარებია. უახლესი ინფორმაციით, დიდი შანსია, რომ ახალგაზრდა იაპონელი მოედანს მოსალოდნელზე სწრაფად, კერძოდ, ექვს კვირაში დაუბრუნდეს.

„გამოჯანმრთელების პროცესი ძალიან კარგად მიდის და ექიმები მეუბნებიან, თუ ასე გაგრძელდა აპრილის შუა რიცხვებში მოედანზე დაბრუნებას შეძლებო,“ - უთხრა 21 წლის კაგავამ იაპონურ გაზეთ „ნიკან სპორტს“. შეგახსენებთ, რომ ოპონიის ნაკრების ფეხბურთელმა ტრავმა იანვარში, აზიის თასის ნახევარფინალში (სამხრეთ კორეასთან) მიიღო.

მაინცმა პოსპეხი დაიბევა

„მაინცმა“ მომავალი სეზონისთვის პირველი ტრანსფერი გაჩარხა. გადაწყვეტილია, რომ 32 წლის ჩეხი **ზდენეკ პოსპეხი** ივლისიდან კარიერას გერმანულ კლუბში გააგრძელებს. პოსპეხი „მაინცში“ უფასოდ გადავა, რადგან ამჟამინდელ კლუბ „კოპენჰაგენთან“ კონტრაქტი უმთავრდება. ზდენეკ პოსპეხი ძალიან გამოცდილი ფეხბურთელია - მას ჩეხეთის ნაკრებში 24 მატჩი აქვს ჩატარებული.

გოტფრიდ ლენცი

ინგლისი. პრემიერლიგა. გამოტოვებული მატჩი

აუცილებლად მოსაგები თამაში

დღეს, 23:45. სტემფორდ ბრიჯი

ჩელსი VS მანჩესტერი

ტრავმა: ალექსი, ჟირკოვი, ბენაიუნი - ანდერსონი, პარკ ჯი-სუნი, ჰარგრივზი, ევანსი, რ. ფერდინანდი, ვალენსია.

სავარაუდო შემადგენლობები

ჩელსი: **ჩეხი - ივანოვიჩი, დავიდ ლუიზი, ტერი, კოული - ესიენი, მიკელი, ლემპარდი - ანელკა, ტორესი, მალუდა.**

მანჩესტერი: **ვან დერ სარი - ოში, სმოლინგი, ვიდიჩი, ევრა - ნანი, ფლეტჩერი, სქოულზი, გიგზი - ბერბატოვი, რუნი.**

დავიწყოთ მშრალი ინფორმაციით, რომელიც პრემიერლიგის ოფიციალურ საიტზე წერია. კერძოდ, აქედან ვიგებთ, რომ „ჩელსის“ თავკაცი **კარლო ანჩელოტი** ცდილობს ბოლო წამამდე არ თქვას ვის ათამაშებს თავდასხმაში, **ფერნანდო ტორესს, დიდიე დროგბას** თუ ორივეს ერთად. იტალიელ სპეციალისტს გადასაწყვეტი აქვს შეჰკადროს თუ არა დროგბას კიდევ ერთხელ სათადარიგოთა სკამზე დასმა — შეგახსენებთ, რომ გასული კვირის შუაში კოტ დივუარელი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ შეხვედრაში „კოპენჰაგენის“ წინააღმდეგ უკვე იჯდა სათადარიგოთა სკამზე. წესითა და რიგით, შემადგენლობაში უნდა ვიხილოთ ინგლისის ჩემპიონთა ახალი შენაძენი, ბრაზილიელი **დავიდ ლუიზი**.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ბანაკში კი სასიხარულო ამბავია: **უეინ რუნი** „უიგანთან“ შეხვედრაში **ჯეიმს მაკარტის** სახეში იდაყვის მირტყმისთვის დისკვალიფიკაციით არ დასაჯეს. **რაიან გიგზი** ორთავა კუნთის ტკივილის დაამებას ეშურება, დაშავებულთა სიის დანარჩენ წევრებზე კი სერ **ალექს ფერგიუსონმა** თქვა, ისინი „ჩელსის“ წინააღმდეგ ვერ ითამაშებენო.

ახლა, მოდი, ცხრილს ჩავხედოთ. „მანჩესტერ იუნაიტედი“ „ჩელსის“ 15 ქულით უსწრებს, რაც „ლურჯებისთვის“, რასაკვირველია კატასტროფაა. ანჩელოტის გუნდი მეხუთე ადგილზეა — ოთხეულს მიღმა დასავლეთლონდონელებს ჩემპიონატი 2002 წლის მერე არ დაუმთავრებიათ. სხვათაშორის, იმავ 2002 წლის მერე „ჩელსის“ „იუნაიტედთან“ შინ არ ნაუგია და თუ მის კაპიტან **ჯონ ტერის** მოვუსმენთ არც ამჟამად აპირებს:

„შინ ყოველთვის საკუთარ ძალებში დარწმუნებულები ვთამაშობთ და ეს ახლაც ძალიან დაგვეხმარება. არ ვიცი რა განწყობით ჩამოვა „იუნაიტედი“, მაგრამ ყველა, ვინც „სტემფორდ ბრიჯზე“ მოდის, დაცვაში დგება და უპირველეს ყოვლისა კარის დაცვაზე ზრუნავს. ჩვენთვის „მანჩესტერ იუნაიტედთან“ შეხვედრა სამკვდრო-სასიცოცხლოა, აუცილებლად უნდა მოვიგოთ. ეს გამარჯვება „იუნაიტედს“ და ცხრილში ამწუთას ჩვენ ზევით მყოფ სხვა გუნდებს, დაძაბავს კიდეც. ვინ იცის მერე რა მოხდება“.

ხოლო ფერგიუსონმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ საკლუბო ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში თქვა:

„ჩვენსა და „ჩელსის“ შორის ყოველთვის დიდი მატჩები იმართება. ადრე „სტემფორდ ბრიჯზე“ როგორც წესი იოლად ვიგებდით, მაგრამ ბოლო შვიდი თუ რვა წელიწადია ერთხელაც აღარ მოგვიგია. ეს, რასაკვირველია, ხელს არ გვაძლევს და გვინდა ამ სამშაბათიდან ყველაფერი ძველებურ კალაპოტში დავაბრუნოთ“.

ილია ბაბუნაშვილი

პრემიერლიგა. XXVIII ტური

სტოკი-ვესტ ბრომვიჩი 1:1

სტოკი (4-4-2): ბეგოვიჩი - უილსონი, ჰუთი, შოუკროსი, პაფი – პენანტი (78. უილენი), უაიტჰედი, დილეპი, უოლტერსი – კარუუ (65. ეზერინგტონი), კ. ჯონსი (84. ფულერი)

ვესტ ბრომვიჩი (4-5-1): კერსონი – რიდი, ოლსონი, მეიტი, შორი – ბრანტი, მულუმბუ (73. ტჩოი), შარნერი, დორანსი, ტომასი (84. ველა) – ფორრუნი (73. ოდემვინგე)

გოლები: 1-0 დილეპი (53), 1-1 ველა (87)

გაფრთხილება: შოუკროსი, ჰუთი – მულუმბუ, ბრანტი

კუთხური: 4-0; **ჯარიმა:** 16-17; **კარში დარტყმა:** 8-14 (3-7); **თამაშგარე:** 4-1; **ბურთის ფლობა:** 40%-60%

მაყურებელი: 25 019

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. მანჩესტერი	27	17	9	1	61-25	60
2. არსენალი	27	17	5	5	57-27	56
3. სიტი	28	14	8	6	44-25	50
4. ტოტენჰემი	27	13	8	6	38-31	47
5. ჩელსი	26	13	6	7	46-22	45
6. ლივერპული	28	11	6	11	36-35	39
7. გოლტონი	28	9	10	9	39-38	37
8. სანდერლენდი	28	9	10	9	33-35	37
9. ნიუკასლი	28	9	9	10	43-39	36
10. სტოკი	28	10	4	14	32-35	34
11. ევერტონი	27	7	12	8	35-36	33
12. ასტონ ვილა	28	8	9	11	35-47	33
13. ფულჰემი	28	6	14	8	29-29	32
14. ბლეკბერნი	28	9	5	14	35-46	32
15. ბლეკპული	28	9	5	14	42-55	32
16. ბირმინგემი	26	6	12	8	25-35	30
17. ვესტ ბრომვ.	28	7	8	13	36-53	29
18. ვულვზი	28	8	4	16	31-46	28
19. ვესტ ჰემი	28	6	10	12	33-49	28
20. უიგანი	28	5	12	11	27-49	27

● ბომბარდირი

საფრანგეთის ჩემპიონატს ასეთი უცნაური ტრადიცია აქვს: საუკეთესო ბომბარდირებს სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით ყოველთვის ცოტა გოლი გააქვთ. ასე განსაჯეთ, 2006/07 წლების სეზონის რბოლა პედრო პაულეტამ 15 ბურთით მოიგო. ხოლო 25 და მეტი გოლი უკვე გამონაკლისად მიიჩნევა - საფრანგეთში ასეთი რამ იშვიათად ხდება. ამჟამად საუკეთესო მეგოლეთა კოჰორტას სათავეში 25 წლის სენეგალელი მუსა სოვი უდგას. ალბათ არ იქნება ურიგო, თუკი ამ ფეხბურთელზე გაზეთის მკითხველს ორიოდე სიტყვით მოვუთხრობთ. ოღონდ აქვე უნდა შევთანხმდეთ, რომ ფეხბურთელის გვარი ფრანგული ტრანსკრიფციით სოვად იკითხება და არა სოუდ.

მას შემდეგ, რაც „ლილმა“ ჩემპიონატის ცხრილის სათავეში დაიდო ბინა, გულშემატკივარს გაუჩნდა კითხვა: რამდენ ხანს გაძლებს ის მწვერვალზე? დიდწილად ეს გუნდის საუკეთესო ბობმარდირ **მუსა სოვზეა** დამოკიდებული.

მუსა 1986 წელს საფრანგეთში, პატარა ქალაქ მანტე ჟოლიში დაიბადა. ის ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა სპორტისადმი განსაკუთრებული სიყვარულით და რა გასაკვირია, თუ გეტყვით, რომ ყველაზე მეტად ფეხბურთი უყვარდა. მით უფრო, რომ სოვის მშობლიურ ქალაქში სწორედ მის ბავშვობაში ჩამოყალიბდა პირველი პროფესიული საფეხბურთო კლუბი „მანტუა“ (1994 წელს). მასთან ერთად იზრდებოდა საფეხბურთო სკოლაში საფრანგეთის ნაკრების წევრი **იან მვილაც**. შრომისუნარიანობისა და ნიჭის სინთეზმა შედეგად ის მოიტანა, რომ 2002 წელს ის „ამიენმა“ შეამჩნია. მე-4 დივიზიონში მოასპარეზე 16 წლის ბიჭისთვის ეს უდიდესი მიღწევა იყო. თუმცა ეს არ იყო ყველაფერი. მუსა მალე „რენმა“ დაადგა თვალი და თავისთან იხმო. სოვთან ერთად რეზერვისტებს შორის ირიცხებოდნენ **იოან გურკუფი** და **ჯიმი ბრიანიც**. უნიჭიერესმა ბიჭებმა 2003 წელსვე შეძლეს დუბლების ჩემპიონატის მოგება.

თავდამსხმელის ნიჭი ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციაში და მალე მას 19-წლამდელთა ნაკრებში უხმეს. მასთან ერთად ამ გუნდში ასპარეზობდნენ გურკუფი, **გუფრანი, დიაბი** და **ლორისი.** რაც შეეხება საკლუბო კარიერას, მუსას 2004/05 წლების სეზონში „რენის“ შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა ლიგა 1-ში. თუმცა ამბიცია მოძალებულ თავდამსხმელს ერთი წლის განმავლობაში სულ რაღაც სამჯერ ენდნენ. მომდევნოში შედარებით უფრო ხშირად თამაშობდა, მაგრამ იმდენად ხშირად არა, თავად რომ უნდოდა. 2006/07 წლების სეზონში მის ანგარიშზე უკვე 14 თამაში იყო, მაგრამ ეს რაოდენობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნაგლეჯ-ნაგლეჯ დაუგროვდა. მინდორზე ხომ ძირითადად თამაშის ბოლო წუთებზე შედიოდა, რაც გულს უკლავდა. სოვმა პირველად დააფიქსირა ხმამაღლა უკმაყოფილება, „რენი“ კი იძულებული გახდა არენდით „სედანში“ გაეშვა. ახალ კლუბში ცენტრფორვარდისგან ხან განაპირა თავდამსხმელის გამოწრთობას ეშურებოდნენ, ხან კი სულაც ნახევარდაცვაში ათამაშებდნენ. ფეხბურთელი მოგვიანებით იხსენებდა, რომ მართალია პოზიციის ცვლილება გულზე მალამოდ არ ეფინებოდა, სამაგიეროდ... მუდმივად თამაშობდა – მის ანგარიშზე 30 შეხვედრა დაგროვდა, რომელშიც მინდორზე 90 წუთი გაატარა. 2008/09 წლები სოვმა ისევ „რენში“ დაიწყო. **გი ლაკომბმა** მასში ჭეშმარიტი მებრძოლი დაინახა. მუსას უკვე ენდობოდნენ, რაც მისთვის უმთავრესი იყო. ფეხბურთელს დიდად ნაადგა „სედანში“ მიღებული გამოცდილება, რადგან რიგ შემთხვევებში ისევ და ისევ მისთვის უჩვეულო პოზიციებზე უნევდა გარჯა. ამ სეზონში სოვმა ლიგა 1-ის 32 მატჩში 9 გოლი გაიტანა, რასაც სხვა ტურნირებზე კიდევ 4 გოლი დაამატა და გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მომდევნო სეზონში ახალმა თავკაცმა **ფრედერიკ ანტონეტიმ** სოვს რამდენიმე ძლიერი კონკურენტი მიჰგვარა, მათ შორის **გიანი, ბანგურა,** ბრიანი, ვისი წყალობითაც ჩვენმა გმირმა ისევ სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა. ბრეტონელთა ფანებმა ის იყო გაიფიქრეს, რომ მორიგმა პერსპექტიულმა ფეხბურთელმა ვერ მოახერხა გაბრწყინებაო, რომ კლუბმა რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელთან გამოთხოვება გადაწყვიტა. მათ შორის მუსა სოვთანაც. სოვში ნამდვილი ტალანტი სწორედ **რუდი გარსიამ** დაინახა და „ლილში“ წაიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთელის საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებში მინვევას აპირებდნენ, მუსა სწორედ ამ პერიოდში იხმეს სენეგალის ნაკრებში და მას ბევრი აღარც უფიქრია.

როგორც ფრანგი ჟურნალისტები წერენ, ამჟამად მას ყველაფერი აქვს საიმისოდ, რომ დიდი კარიერა გაიკეთოს – ნიჭი, საგოლე ალღო, მწვრთნელის უსაზღვრო ნდობა და... ძლიერი ფეხები.

ლევან ბიბილაშვილი

● ესპანეთი

მალაგა-ალმერია 3:1

მალაგა (4-2-3-1): კაბალიერო - გამესი, დემიკელისი, ველიგტონი, ელიზეუ - ნაჩო კამაჩო (45. მარესკა), რესიო - ქუინსი (81. ფერნანდოო), ს. ფერნანდესი (71. ხუანმი), ეპონიო - რონდონი.

ალმერია (4-2-3-1): დიეგო ალვე

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. პეტროვის მემორიალი

ქართველთა დაუსწრებელი დუელი

არჩილ თურმანიძე (მარცხნივ) და ანტონ მამაგეიშვილი კვარცხლბეკზე

ნიკოლა პეტროვის მემორიალის ბოლო დღეს ქართველმა ბერძენ-რომაელებმა კიდევ ორი ბრინჯაო მოიპოვეს. პრიზიორები არიან **არჩილ თურმანიძე** და **ანტონ მამაგეიშვილი** (ორივე - 66კგ). ამდენად, ბურგასში დამთავრებულ ამ ტურნირში ჩვენმა მოჭიდავეებმა 1 ვერცხლი და 4 ბრინჯაო ირგუნეს. შეგახსენებთ, რომ ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **მანუჩარ კვირკველია** (74) ვიცე-ჩემპიონი გახდა, მესამე საპრიზო ადგილებზე კი ევროპის პრიზიორი **სოსო ჯაბიძე** (96) და **დიმიტრი ჯავახიშვილი** (120) გავიდნენ.

თურმანიძე და მამაგეიშვილი ერთმანეთის კონკურენტები არიან - ამ წონაში ევროპის ჩემპიონატზე ნასასვლელად იბრძვიან. მათთვის ეს შეჯიბრება ერთ-ერთი შესარჩევი ეტაპი იყო და აკი დაუსწრებელ დუელადაც აქციეს - ტურნირზე ერთნაირი გზა გაიარეს, ანუ ორივე ნახევარფინალში გავიდა, იქ დამარცხდა და დამამშვიდებლის ფინალში გადავიდნენ. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მამაგეიშვილმა თავიდან დამატებით იჭიდავა ერთი წრე. მან პირველი სამი შეხვედრა ძირითად დროში მოიგო - რუმინელ **ტომი ჰინოვეანუს** 2:1; 1:0 აჯობა, ბულგარელ **ემილიან ტოდოროვს** - 5:0; 3:0, მოლდოველ **იონ ლუჩიტას** - ისევ 2:1; 1:0 და ნახევარფინალში გავიდა. ყურადღება მიაქციეთ - ამ სამ შეხვედრაში მან მხოლოდ 2 ქულა დაკარგა, თავად კი 16 მოიპოვა. სამწუხაროდ, ეს სტატისტიკა ნახევარფინალში ვერაფერში ნაადგა რუმინელ **გეორგიან კარპენთან**, თუმცა მასთან შეხვედრაც შემართებით დაიწყო - პირველი პერიოდი 3:0 მოუგო. ვერ გეტყვით, ამის შემდეგ რა მოხდა და რა შეიცვალა შეხვედრის მიმდინარეობაში, მაგრამ რუმინელმა ჯერ ანგარიში გაათანაბრა - 2:0, მერე კი დამატებით დროშიც ასევე 2:0 იმარჯვა და ფინალში გავიდა, სადაც თურქ **ოზეტ იუნუსთან** დამარცხდა.

ამ თურქმა ნახევარფინალში თურმანიძეს სძლია, რომელსაც მამაგეიშვილზე მეტად გაუჭირდა ასპარეზობა - პირველი ორი შეხვედრა დამატებით დროში მოიგო. თურმანიძეს შედარებით რომ გაუჭირდა, ალბათ, ლოგიკურიცაა, რადგან წლეულს გადმოვიდა ახალგაზრდული ნაკრებიდან და უფროსებში პირველ სეზონს ატარებს. ამიტომ ჯერ კიდევ ადაპტაციის პერიოდს გადის ახალ ატმოსფეროსთან, სადაც ლამის ყველაფერი გაზრდილია და შეუდარებლად ძლიერი - მეტოქეებიც, დატვირთვაც და სხვა კომპონენტები. ახალგაზრდებში ევროპის ვიცე-ჩემპიონმა და მსოფლიოს პრიზიორმა ჩვენებურმა ჯერ თურქ **ერენ სერდერს** აჯობა - 3:0; 0:2; 4:0, მერე კი სომხური წარმოშობის ფრანგ **არტაკ მაგარიანსაც** მოუგო - 0:2, 2:0; 5:0. მისასალმებელია, რომ წაგებულმა პერიოდმა მას გული არ გაუტეხა და საქმის შემოტრიალება მაინც შეძლო ანუ მებრძოლი სული გამოავლინა. საყურადღებოა ისიც, რომ ორივე შეხვედრაში ბლომად ქულები გააკეთა ანუ შემტევი სტილისადმი ერთგულებაში მამაგეიშვილს არც ეს ჩამორჩა. რა შეიძლება ითქვას ნახევარფინალზე? აქ თურქის უპირატესობა შესამჩნევი იყო და ორ პერიოდში დამაჯერებლადაც მოიგო, განსაკუთრებით, პირველ პერიოდში, სადაც 4:1 იმარჯვა, მეორეში კი მინიმალური სხვაობით აჯობა თურმანიძეს - 1:0.

ამის შემდეგ ორივე ქართველი დამამშვიდებლის ფინალში გადავიდა, სადაც უფრო ძლიერი მეტოქე თურმანიძეს ელოდა - რუმინელი ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს არაერთგზის პრიზიორი **ეუსებიო დიაკონუ**, მამაგეიშვილი კი ახალგაზრდა იაპონელ **იუჯი ოკამოტოს** ხვდებოდა. ჩვენებურები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო, ამ ეტაპზეც ერთნაირი სცენარით იჭიდავეს - თავიდანვე ორივე დაწინაურდა, მაგრამ საბოლოო წარმატებისთვის ორივეს დამატებითი დრო დასჭირდა.

თურმანიძემ რუმინელთან შეხვედრაც აღმავლობით დაიწყო - პირველი პერიოდი 2:0 მოუგო სოლიდურ მეტოქეს, მაგრამ მეორე 0:1 დათმო და შეხვედრაც დამატებით დროში გაგრძელდა. საბედნიეროდ, ახალგაზრდა ქართველი ფსიქოლოგიურად არ გატყდა და გადამწყვეტ ეტაპზე კვლავაც დიდი შემართება გამოავლინა - 3:0. მამაგეიშვილმა პირველ პერიოდში 1:0 იმარჯვა, რასაც 0:2 წაგება მიაყოლა. დამატებით დროში მასაც ეყო ძალები მობილიზებისთვის და 2:0 მოიგო, რითაც სანუკვარ მედალს დაეუფლა.

როგორც გითხარით, ეს წონა ერთი იმ იშვიათ გამონაკლისთაგანია, სადაც ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად კონკურენცია ისევ გრძელდება. ამ დავაში იქნებ გადამწყვეტი სიტყვა სნორედ ბურგასულ ტურნირს ეთქვა, რომელიმე კონკურენტს რომ წაეფორხილა, მაგრამ როგორც ვნახეთ, მათ ერთნაირი გზა გაიარეს წარმატებამდე. არ ვიცით, რა დაინახა უშუალოდ ჭიდაობისას ნაკრების თავკაცმა **ბეგი დარჩიამ,** იქნებ ჭიდაობის ხარისხში მოეწონა რაღაც ისეთი, რაც სტატისტიკიდან არ ჩანს და რამაც მას შეიძლება, გადაწყვეტილება მიაღებინოს, მაგრამ ვფიქრობთ, ამ წონაში კონკურენციის საკითხი უფრო დასკვნით შეკრებაზე, საკონტროლო შეხვედრის შემდეგ გადაწყდება. ისე, აქამდე ლიდერად უფრო თურმანიძის კანდიდატურა გამოიკვეთა, რომელმაც მოიგო საქართველოს ჩემპიონატი, მერე კი ერთადერთი იყო ჩვენი გუნდიდან, ვინც მედლისთვის იჭიდავა სტამბოლში, **ვეფი ემრეს** სახელობის მემორიალში. თუმცა სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ მამაგეიშვილი ტრავმების გამო აქამდე შეჯიბრებებში არ გამოსულა, ახლა კი შანსი მშვენივრად გამოიყენა.

დაბოლოს, **ლაშა გოგიტაძეზე** (55), რომელმაც ბურგასში ასევე კვირას იჭიდავა. სამწუხაროდ, მან მხარი ვერ აუბა თანაგუნდელებს და პირველივე შეხვედრა წააგო ორ პერიოდში კორეელ **იუნგბაიკ ლეესთან** და გავარდა.

ევროპის ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 2-3 აპრილს დორტმუნდში გაიმართება. იქ წასვლამდე ჩვენი ნაკრები შეჯიბრებებში აღარ გამოვა და მხოლოდ შეკრებას გაივლის დუშეთში.

ირაკლი თავაძე

მაისურაძის ტურნირი

ზრადიციული დაფასება

ამ უქმეებზე გლდანის ოლიმპიური მზადების ცენტრში კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ამაგდარი მწვრთნელის, არაერთი სახელოვანი ფალავანის გამზრდელ **ვლადიმერ მაისურაძის** ხსოვნას. ტურნირმა სათავე მწვრთნელის გარდაცვალებისთანავე აიღო და წლეულს უკვე მეჩვიდმეტედ ჩატარდა, ამჯერად 1994-96 წლებში დაბადებულთა შორის. ეს ერთ-ერთი შესარჩევი ეტაპია ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე წამსვლელი გუნდის დასაკომპლექტებლად. ამიტომაც ბლომად მონაწილე მოგროვდა. თუმცა საქმე მარტო რაოდენობა არ არის, გაიზარდა მედალსანთა გეოგრაფია - მედლები პირველად მოიპოვეს ხაშურის და ჭიათურის წარმომადგენლებმა. აღსანიშნავია დედოფლისწყაროელთა აქტიურობაც.

ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის აგვისტოში ტარდება - 9-14 აგვისტოს ვარშავა ევროპის პირველობას უმასპინძლებს, 23-28-ში უნგრული სომბათჰეი - მსოფლიოს. იქამდე ჩვენები კიდევ რამდენიმე ტურნირში გამოვლენ, ერთ-ერთი უმთავრესი კი მარტის ბოლოს გასამართავი საქართველოს ჩემპიონატი იქნება. სეზონის უმთავრეს შეჯიბრებებზე წამსვლელი გუნდებიც ამ ტურნირების შედეგებით დაკომპლექტდება.

კვარცხლბეკი

42 კგ. გიორგი ბახტაძე (ხელვაჩაური), 2. დავით ჩხარტიშვილი (ოზურგეთი), 3. გიორგი მუზაშვილი (თბილისი), გიზო მელაძე (ხულო).

46 კგ. 1. აკაკი ჩანჩიბაძე, 2. კახა ირემაძე, 3. გულივერ კვერღელიძე (სამიგე - ოზურგეთი), ლაშა აზიერი (ბაღდათი).

50 კგ. 1. ბაკურ გოგოლი (სენაკი), 2. გიორგი რიჟამაძე (ხულო), 3. ნუკრი დავითაშვილი (ბაღდათი), გიორგი ბაკურაძე (ოზურგეთი).

54 კგ. 1. მურთაზ ჩაბრავა (სენაკი), 2. თემურ კვაჭაძე (ოზურგეთი), 3. გია ბილვანიძე (ხულო), ნიკოლოზ ახალაძე (ქუთაისი).

58 კგ. 1. შმაგი ბოლქვაძე (ხულო), 2. გიორგი ტოტიკაშვილი (გარდაბანი), 3. გიორგი ჯაფარიძე (ოზურგეთი), გიორგი ფოცხვერაშვილი (სართიჭალა).

63 კგ. 1. გიორგი თოიძე (ოზურგეთი), 2. ვლადიმერ ქიქავა (აბაშა), 3. ნიკოლოზ ტულუში (ოზურგეთი), გიორგი ოდილავაძე (ქუთაისი).

69 კგ. 1. გიორგი ჩხარტიშვილი (ოზურგეთი), 2. ირაკლი მამარდაშვილი (გარდაბანი), 3. ოთარ ბაბლუანი (თბილისი), შალვა ხაჩიძე (ბორჯომი).

76 კგ. ნიკოლოზ ფირცხალავა (წყალტუბო), 2. ნიკოლოზ გავაშელი (თბილისი), 3. ბესიკ ჩუბინიძე (ჭიათურა), არჩილ შენგელია (სენაკი).

85 კგ. 1. ირაკლი კოვზირიძე (წყალტუბო), 2. ნიკოლოზ გახელაშვილი, 3. ჯემალ რიჟამაძე (ორივე - თბილისი), 3. გიორგი მდინარაძე (ოზურგეთი).

100 კგ. 1. ბექა კანდელაკი (თბილისი), 2. სამუკა დარჩია, 3. გელა ქარცივაძე (ორივე - ოზურგეთი), თამაზ ღონდარიძე (თბილისი).

ირაკლი თავაძე

ფუტბლის სრული. ევროპის ჩემპიონატი

იტალიაში ევროპისთვის ისვრიან

დღეს იტალიურ ბრეშაში ტყვიის მსროლელთა ევროპის ჩემპიონატი იწყება პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში, თუმცა უშუალოდ შეჯიბრებები 3 მარტს აიღებს სტარტს, ხვალ კი ოფიციალური ვარჯიშია.

ბრეშაში ჩვენი გუნდი საკმაოდ ხალხმრავალი შემადგენლობით გამოვა - უფროსთა ტურნირში ქალებში ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურიო ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე** ისვრის, ვაჟებში - **ლევან ქადაგიძე**. ბიჭებში ჩვენი სახელოვანი მესტენდურის, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ **თამაზ იმნაიშვილის** შვილი **თენგიზ იმნაიშვილი** გამოვა, გოგოებში კი სრული გუნდი გვეყოლება - **ნინო ფანჩულიძე, თეონა იაშვილი** და **ანა გაგილაძე**.

ჩვენები ჩემპიონატში გათამაშების სტარტზევე ჩაებმებიან. 3-ში იმნაიშვილი ისვრის, მეორე დღეს ცეცხლის ხაზზე უკვე გოგოები დადგებიან, 5-ში ქადაგიძე იასპარეზებს, ჩვენი უმთავრესი იმედი - სალუქვაძე კი ჩემპიონატის დასკვნით დღეს, 6 მარტს დადგება სამიზნესთან პირისპირ.

ამ პირველობისთვის მზადების ფარგლებში საქართველოს ნაკრებმა გერმანიაში გაიარა შეკრება და იქიდანვე გადავიდოდნენ იტალიაში. ეს ტურნირი ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიებს არ იძლევა. ამ მხრივ ჩვენთვის საყურადღებო ზაფხულში, 31 ივლისიდან 14 აგვისტოს ჩათვლით სპორტული პისტოლეტიდან სროლაში ბელგრადში გასამართი ევროპის პირველობა იქნება.

ირაკლი თავაძე

ნიჩბოსნობა

ვიდრე ნავში ჩაჯდები

საერთო ფიზიკური და სპეციალური მომზადება, - აი რა არის მთავარი სპორტში. ნიჩბოსნებმა (აკადემიური, ბაიდარა, კანოე) თბილისის მძლეოსნობის მანეჟში საქართველოს პირველობაც კი ჩაატარეს საერთო ფიზიკურ მომზადებაში 80-მდე სპორტსმენის (იუნიორები, დიდები) მონაწილეობით. თბილისი, ფოთი, მცხეთა, დუშეთი — ასეთი იყო მოასპარეზეთა გეოგრაფია. ორივე ასაკში დიდი უპირატესობით ყველას მცხეთელებმა აჯობეს, შემდეგ მოდიან თბილისელები, დუშელები და ფოთელები.

წლეულს ნიჩბოსანთა ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებზე გათამაშდება ლონდონის 2014 წლის ოლიმპიური თამაშების საგზურები, რისთვისაც ჩვენი სპორტსმენებიც იბრძოლებენ. ზემოხსენებულმა შეჯიბრებამ კი ზამთრის პირობებში განეული მუშაობის შედეგები შეაჯამა.

ასპარეზობის მაღალ დონეზე ორგანიზება-ჩატარებაში დიდი წვლილი შეიტანა თბილისის მერიის სპორტის სამსახურმა (**მერაბ ჩიქობავა**) და მანეჟის დირექციამ.

თენგიზ თომაშვილი

ქართული ჭიდაობა



დავა ჩოხების თაობაზე დასრულდა

ნლეულს ერთი საუკუნე სრულდება, როცა სპეციალური საჭიდაო ჩოხა შემოიღეს ქართულ ჭიდაობაში. 1911 ნლითაა დათარიღებული პირველი ფოტოსურათი, სადაც მოკლემკლავიანი საჭიდაო ჩოხებით გამოსახულნი არიან: **სანდრო კანდელაკი, მიხა ქურხული, შაშო ვერელი** (კახნიაშვილი), **ლუკა დადიანიძე** და სხვები. მოჭიდავეებთან ერთად ზის ცნობილი მსაჯი - **„შენ დაუკარ“** სნორედ ასეთი ფსევდონიმით იცნობდა ყველა **ვანო ჩიბალოვს.** სხვათა შორის, მსაჯი ახალუხშია გამოწყობილი და ესეც ყურადსაღებია ქართულის თანამედროვე მსაჯებისთვის.

მძიმენონოსანთა ფინალურ შეხვედრას თუ არ ჩავთვლით, სადაც მსაჯთა გადაწყვეტილებამ კამათი გამოიწვია, სხვა მხრივ შეჯიბრება ორგანიზებულად ჩატარდა.

აღსანიშნავია საჩუქრები, რომლებიც ფედერაციამ ჩემპიონ-პრიზიორებს დაურიგა. ასეთი ყურადღება ჭაბუკთა პირველობაზე გასულ ნლებში არასოდეს გამოუჩენიათ...

მარტში საქართველოს რეგიონებში ზონალური პირველობები გაიმართება ახალგაზრდებს შორის.

კვარცხლბეკი

50 კგ: 1. კობა მჭედლიშვილი (თბილისი), 2. გიორგი თანიაშვილი (მცხეთა-მთიანეთი), 3. თამაზ ნოზაძე (შიდა ქართლი).

55 კგ: 1. გიორგი მეტრეველი, 2. თორნიკე ქოველიძე (ორივე-შიდა ქართლი), 3. ბაჩუკი ჭიკაიძე (დედოფლისწყარო).

60 კგ: 1. გიორგი ავანაშვილი (მცხეთა-მთიანეთი), 2. გიორგი გუგულაშვილი (შიდა ქართლი), 3. ანზორ კეკლიშვილი (მესხეთ-ჯავახეთი).

66 კგ: 1. დავით ჭიკაიძე (კახეთი, ახმეტა), 2. ბესიკ ეჯიბაძე (იმერეთი, ხარაგაული), 3. გიორგი ობოლაშვილი (მარტყოფი).

73 კგ: 1. ლევან გუგავა (იმერეთი), 2. გიორგი ქურდიანი (აფხაზეთი), 3. ვანო ჩურჩხელაშვილი (კახეთი).

81 კგ: 1. ბექა ღვინიაშვილი (შიდა ქართლი), 2. ლაშა დავითაშვილი (კახეთი, ახმეტა), 3. ლევან მაჭარაშვილი (აფხაზეთი).

90 კგ: 1. ზაალ გაგნიძე (აფხაზეთი), 2. მათე ლაგაზური (ქვემო ქართლი), 3. ბაქარ მაზიაშვილი (შიდა ქართლი).

+90 კგ: 1. მიხეილ ახალაური (სამაჩაბლო), 2. გიორგი ლაზუაშვილი (იმერეთი), 3. ჯემალ დაბრუნდაშვილი (თბილისი).

გაბრიელ ბარჯაძე



დილმის სპორტკომპლექსმა საქართველოს ჭაბუკთა (1995-1996 ნლებში დაბადებულები) პირველობას უმასპინძლა ქართულ ჭიდაობაში.

ძირითადად ძიუდოსა და სამბოში მოვარჯიშე სპორტსმენები იბრძოდნენ პირველობისთვის. ეს სულაც არ არის საგანგაშო, მაგრამ კიდევ ერთხელ გვინდა შევახსენოთ საჭიდაო თემს, რომ აუცილებელია თითოეულ რაიონში შეიქმნას სოფლების ერთი ცენტრი მაინც, სადაც ივარჯიშებენ მხოლოდ ქართულ ჭიდაობაში და აქედან მოხდება მათი შემდგომი სელექცია. ეს იდეა ძალიან ბევრ სპეციალისტს მოსწონს, მაგრამ საქმის დამწყებები ჯერ არ ჩანან...

ჭაბუკთა პირველობის პარალელურად გაიმართა ქართული ჭიდაობის ფედერაციის გაფართოებული სხდომა, რომელზეც ყველა რეგიონის მწვრთნელებთან და მსაჯებთან ერთად გადაწყდა, რომ გრძელმკლავიანი საჭიდაო ჩოხების ექსპერიმენტმა ვერ გაამართლა და კვლავ მოკლემკლავიან ჩოხებს დაუბრუნდნენ. ამით დასრულდა კარგა ხნის დავა ჩოხების თაობაზე. სხვათა შორის,

ჰოკეი

სეზონი ოზურგეთში გახსნეს

ინდორჰოკეიში ქალთა შორის საქართველოს ჩემპიონატში, რომელსაც ოზურგეთის სპორტის სასახლემ უმასპინძლა, ექვსმა გუნდმა იასპარეზა. ჩემპიონატში პირველად გამოდიოდნენ აბაშისა და ქუთაისის სპორტსკოლის გუნდები. როგორც საქართველოს ჰოკეის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ავთანდილ თევდორაძემ** გვითხრა, მსგავსი დაძაბული ჩემპიონატი ქალთა შორის საქართველოში კარგა ხანია არ ჩატარებულა. ინტერესის გაზრდას ხელი აჭარისა და ლანჩხუთის გუნდების გაძლიერებამ შეუწყო. ტურნირი ორ ჯგუფად ჩატარდა, რომლებშიც სამ-სამი გუნდი გადანაწილდა. ნახევარფინალებში ერთმანეთს ქუთაისი-აჭარა და ჩოხატაური-ლანჩხუთი დაუპირისპირდნენ. განსაკუთრებით საინტერესო ქუთათურებისა და ბათუმელების შეხვედრა გამოდგა. ძირითადი დრო 5:5 დასრულდა, დამატებით დროში კი მოქმედმა ჩემპიონმა „ქუთაისმა" შეძლო აჭარლების გატეხვა და ფინალის საგზური მოპოვება. ქუთაისელთა გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გუნდის მოთამაშე-მწვრთნელმა და ლიდერმა **ბელა სიმსივემ.** რიონისპირელებს ფინალში მეორე ნახევარფინალურ წყვილში გამარჯვებულ ჩოხატაურს დაუპირისპირდა. საჩემპიონო მატჩში ქუთაისელ გოგონებს ბრალულების დამარცხება აღარ გასჭირვებიათ და ტიტული ნლეულსაც შეინარჩუნეს. მესამე ადგილზე ლანჩხუთი გავიდა, რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში „აჭარის" დამარცხება მოახერხა. ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა ლანჩხუთელი ჰოკეისტი **გულო პატარაია,** რომელმაც 10 გოლი გაიტანა.

1ჯგუფი	
ქუთაისი-ლანჩხუთი	5:2
ქუთაისი-აბაშა	8:0
ლანჩხუთი-აბაშა	6:1.
ნახევარფინალი	
ქუთაისი-აჭარა	5:5 (დ.დ6:5)
2ჯგუფი	
აჭარა-ჩოხატაური	4:6
აჭარა-ქუთაისისსპ.სკოლა	5:1
ჩოხატაური-ქუთაისისსპ.სკოლა	5:1
ნახევარფინალი	
ჩოხატაური-ლანჩხუთი	5:3
V–VI ადგილი	
ქუთაისისსპ.სკოლა-აბაშა	2:0
III–IV ადგილი	
ლანჩხუთი-აჭარა	2:2 (დ.დ.3:2)
ფინალი	
ქუთაისი-ჩოხატაური	5:2

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

ჭადრაკი

ნავსი გაგზეხა

ერთდღიანი შესვენების შემდეგ დოჰაში განახლდა მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრანპრის ბოლო ეტაპის გათამაშება. ეტყობა, **ნანა ძაგნიძემ,** რომელმაც ზედიზედ სამი პარტია წააგო, ნაყოფიერად გამოიყენა ტაიმ-აუტი: გუშინ 2006-2008 წლების მსოფლიოს ჩემპიონ **სიუ იუჰუას** (ჩინეთი) 71-ე სვლაზე გააჩერებინა საათი. გათამაშების ცხრილში ასევე ქულა ჩაინერა ძაგნიძის უშუალო კონკურენტმა **ჰამფი კონერუმ** (ინდოეთი), რომელმაც **მაია ჩიბურდანიძე** დაამარცხა. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: **პია კრამლინგი** (შვედეთი)-**ანტოანეტა სტეფანოვა** (ბულგარეთი) 1:0, **მარტა ფიერო** (ეკვადორი)-**მარი სებაგი** (საფრანგეთი) 0:1, **ლილით მკრტიჩიანი** (სომხეთი)-**ელინა დანიელიანი** (სომხეთი) 0,5:0,5, **უუ ჩენი** (ყატარი)-**ბათჰუიაგ მონგონთუული** (მონგოლეთი) 0:1.

ექვის ტურის შემდეგ: დანიელიანი-5,5, კრამლინგი, სებაგი-4-4, კონერუ-3,5, ძაგნიძე, ფიერო-3-3, ჩიბურდანიძე, მონგონთუული-2,5-2,5, უუ ჩენი, სიუ იუჰუა, სტეფანოვა, მკრტიჩიანი-2-2 ქულა.

დღეს მე-7 ტურში ითამაშებენ: სტეფანოვა-ძაგნიძე, სებაგი-კრამლინგი, ჩიბურდანიძე-ფიერო, მონგონთუული-კონერუ, დანიელიანი-უუ ჩენი, სიუ იუჰუა-მკრტიჩიანი.

ვაჟა დანელია

ადამიანი დროში

სპორტშიც, საქმეშიც გამორჩეული

ბავშვობიდანვე მოქნილი და ფიზიკურად ძლიერი იყო. თანატოლების მსგავსად, სპორტის სხვადასხვა სახეობაში ცდიდა ძალებს - თამაშობდა ფეხბურთს, დარბოდა, ჭიდაობდა, ზაფხულობით ბიჭებთან ერთად მტკვარზე დადიოდა საბანაოდ. საბოლოო არჩევანი ერთმა შემთხვევამ განაპირობა.

- იმ წელიწადს ვლადიმერ ისელიძე, თემურ უშანგიშვილი, ანზორ მოშიაშვილი და კიდევ რამდენიმე წყალბურთელი სკოლას ამთავრებდა. ბიძაჩემი ამეცადინებდა მათ ფიზიკაში. ერთხელ შეგირდებს სთხოვა, იქნებ, ჩემი ძმისშვილიც გამოსცადოთო წყალბურთში, - იგონებს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, მსოფლიოს თასის მფლობელი **ნოდარ კურტანიძე.** - მაშინ მეშვიდე კლასში ვიყავი. ბიჭებმა ვლადიმერ ბარნაბიშვილთან მიმიყვანეს. აქედან დაიწყო ჩემი ნათლობა წყალბურთში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი გავხდი. „ბურევესტნიკში" ჩამრიცხეს. ჩემთან ერთად თამაშობდნენ **გრიშა მალანია,** თემურ უშანგიშვილი, ალექსანდრე საყვარელიძე, ალექსანდრე მეტრეველი. 1968 წელს გუნდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პირველ ლიგაში გადავიყვანეთ. იმავე წლის მიწურულს თბილისის „დინამოს" მთავარ მწვრთნელად როსტომ ჩაჩავა დაინიშნა, რომელმაც გუნდში მიმიწვია. ამით დაიწყო ჩემი წარმატებები, რასაც ბატონ როსტომს ვუმადლი.

1975 წელი. მსოფლიო თასის ფინალი. ცენტრში - ნოდარ კურტანიძე

- საკავშირო ნაკრებში როგორ აღმოჩნდით?

- „დინამოში" ორ პოზიციაზე ვთამაშობდი - ცენტრალურ მცველად და ცენტრალურ თავდამსხმელად. მაშინდელი საბჭოთა წყალბურთის კორიფეებთან - ალექსანდრ დრევალთან, ალექსანდრ დოლგუშინთან, ალექსეი ბარკალოვთან, ალექსანდრ როდიონოვთან და სხვა ცნობილ სპორტსმენებთან პაექრობებში ვიწრთობოდი. ეტყობა, მათ წინააღმდეგ ცუდად არ ვთამაშობდი, რომ 1975 წელს საკავშირო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ანატოლი ბლუმენტალმა, რომელიც ქართველებისადმი მაინც-დამაინც დიდ სიმპათიით არ იყო განწყობილი, საწვრთნელ შეკრებაზე გამომიძახა. იუგოსლავიაში გამგზავრების წინ ძირითად სიაში აღმოვჩნდი, არადა, 1972 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ალექსანდრ კაბანოვი და 1973 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ნუგზარ მშვენიერაძე შინ დატოვა. ბუდვაში მსოფლიოს თასის ნახევარფინალში უნგრელებს ვეთამაშეთ, რომელთა შემადგენლობაში ისეთი ვარსკვლავები გამოდიოდნენ, როგორებიც იყვნენ სივოში, ტომაშ ფარაგო, ვარგა. 4:3 გავიმარჯვეთ. ერთი ბურთი მე გავიტანე. ფინალში მასპინძლები - იუგოსლაველები დავჯაბნეთ - 7:5. აქ კი ორი გოლი მივითვალე. მატჩის შემდეგ ბლუმენტალმა კარგი თამაშისთვის მადლობა მითხრა. მაშინ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატობაც მერგო.

- როგორც მითხრეს, საკუთარ კარშიც გქონიათ ბურთი გატანილი.

- იყო ასეთი კურიოზი. მურთაზ გულედანის დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ „დინამოში" მეკარის პრობლემა შეიქმნა. ახალგაზრდა წყალბურთელს - ალექსანდრე მახარაძეს გამოცდილება აკლდა და ზოგჯერ მყარადაც ვერ იდგა კარში. 1976 წელს თბილისში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მორიგ მატჩში ცსკა-ვმფ-ს დავუპირისპირდით. მაშინ ეს გუნდი ბრწყინავდა. ოლიმპიურ ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ალექსანდრ დალგუშინს „ვიჭერდი". ერთ-ერთ მომენტში მას შიდლოვსკიმ პასი მიაწოდა. ბურთი ჰაერში ჩავჭერი და ჩვენს მეკარეს გადავანდე. იგი ამას არ ელოდა და ბურთი კარის ბადეში გაეხვია. სამწუხაროდ, ის მატჩი წავაგეთ. მოგვიანებით ჩვენს გუნდში მოვიდა მიხეილ გიორგაძე, რომელმაც არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ უცხოეთშიც გაითქვა სახელი. 1979 წლის საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე ითამაშა გამორჩეულად, განსაკუთრებით უკრაინელებთან ნახევარფინალურ მატჩში. საბჭოთა წყალბურთის მამებს ნიასწარ ჰქონდათ გადაწყვეტილი, როგორც ყოველთვის, ფინალში მოსკოვის გუნდს უკრაინელებთან უნდა ეთამაშა, რადგან გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ქართველებისგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი. მაშინ ჩვენი გუნდის ლიდერი გახლდათ ვლადიმერ ისელიძე, რომლის შეკავება მეტოქეებს ძალიან უჭირდათ, ამიტომ მსაჯების დახმარებით ცდილობდნენ მის დაჩაგვრას. უკრაინელებთან მატჩისას მას იმ დროის მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო წყალბურთელი ალექსეი ბარკალოვი დაუპირისპირდა.

> საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 60 წელს ულოცავს ამავე ფედერაციის ვიცე-პეზიდენტს, 1960-1970-იანი წლების გამოჩენილ წყალბურთელს, მსოფლიო თასის მფლობელს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, ღირსების ორდენის კავალერს **ნოდარ კურტანიძეს.**

ვერაფერს გახდა. ისევ არბიტრებმა უშველეს - სამი საჯარიმოს გამო ისელიძეს აუზი დაატოვებინეს. არ დამავიწყდება დავით რურუას, თამაზ კუტივაძის, გია ზუმბულიძის, მიხეილ გიორგაძისა და ჩვენი ნაკრების სხვა წევრთა ერთსულოვნება. მართლაც თავგანწირვით ვითამაშეთ და ის შეხვედრა 6:4 მოვიგეთ. ფინალური პაექრობა უცხოელმა არბიტრებმა 5:6 დაგვათმობინეს. ოთხი ბურთი პენალტით გაგვიტანეს. ერთ-ერთი მსაჯი მატჩის შემდეგ მოვიდა ჩვენთან და მოგვიბოდიშა. სხვაგვარად, ალბათ, არც შეიძლებოდა: მოსკოვის გუნდი, ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირის ნაკრების ბირთვს წარმოადგენდა და ერთ-ერთი რესპუბლიკის წყალბურთელებთან წაგება 1980 წლის ოლიმპიური თამაშების წინ მისთვის პრესტიჟის შელახვა იქნებოდა.

- ქართველები რატომ არ მიიწვიეს ოლიმპიურ გუნდში?

- ვლადიმერ ისელიძე, რომელიც მისაბაძი იყო ნებისმიერი წყალბურთელისთვის მთელ საბჭოეთში, ნაკრებთან ერთად ყველა შეკრებაზე იმყოფებოდა. მაგრამ ბოლო მომენტში ბორის პოპოვმა შემადგენლობაში მის ნაცვლად მიიტრიისმანი ჩასვა, იმის მიუხედავად, რომ ქართველ წყალბურთელთან კლასით ახლოსაც ვერ მოვიდოდა. ყველაფერი მეორე მწვრთნელის სკოკის ოინები მგონია. იგი ისელიძესთან ერთად იყო ნაკრებში თავის დროზე. ერთხელ ვოვამ სცემა და ბოლმა ვერ მოინელა. არადა, 1980 წელს საბჭოთა ნაკრები ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

- 1981 წელს აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგ სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე იმუშავეთ: იყავით საწარმოო გაერთიანება „აზოტის" გენერალური დირექტორის მოადგილე, ქსნის მინის ქარხნის დირექტორი, ამჟამად „ურბან-ენერჯის" ხელმძღვანელობთ...

- ჩვენი კომპანია მდინარე ფარავანზე 95 მეგავატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურს აშენებს უნიკალური ტექნოლოგიით - უკაშხლოდ, ბუნება რომ არ დავაზიანოთ, ჯავახეთის ზეგანზე 14-კილომეტრიანი გვირაბით მიეწოდება წყალი ელექტროსადგურს, რომელიც სოფელ ხერთვისშია.

- ამგვარი დაძაბული სამუშაოების მიუხედავად, ბავშვობის არჩევანისთვის ზურგი არ შეგიქცევიათ - წყალბურთელთა კლუბ „ივერიის" პრეზიდენტი ბრძანდებით. რა მდგომარეობაა თქვენთან?

- ეს კლუბი სანყლოსნო კომპლექს „ლაგუნა ვერეს" ბაზაზე ჩამოყალიბდა „ქართუ ჯგუფის" მესვეურთა ხელშეწყობითა და დახმარებით. ამჟამად ჩვენთან 1993-2002 წლებში დაბადებული 120-მდე წყალბურთელი ვარჯიშობს გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით. კლუბი სახელოვანი ათლეტის რევაზ ჩომახიძის სახელს ატარებს. იგი კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებელიცაა და 16-17 წლის წყალბურთელთა საქართველოს ნაკრებსაც თავკაცობს. შარშან ბიჭებმა სწორედ მისი წინამძღოლობით ითამაშეს ევროპის პირველობის A ლიგაში. რევაზ ჩომახიძე, საქართველოს ნაკრების ინტერესებიდან გამომდინარე, ისევ დაუბრუნდა აქტიურ წყალბურთს. მას ამოუწურავი ადმინისტრაციული რესურსი აქვს და იგი ქართული წყალბურთის საკეთილდღეოდ უნდა გამოვიყენოთ.

ერთ ფაქტზეც მინდა გავამახვილო ყურადღება: „აზოტში" მუშაობისას ჩემთან მოვიდა რუსთავის ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი თეიმურაზ ფერაძე. სასწავლებლის ეზოში საჭყუმპალაოს ვაშენებთ და თქვენი რეკომენდაციები გვჭირდებაო; იმდენი მოვახერხეთ, რომ საკავშირო საპროექტო ინსტიტუტს საჭყუმპალაო გადახურულ ოლიმპიურ საცურაო კომპლექსად გადავაკეთებინეთ. ასეთი სტანდარტების (33X22) აუზი ოთხმოციანი წლების მიწურულს ერთადერთი იყო მთელ საბჭოეთში. გული მწყდება, რომ დღეს ის გაპარტახებულია. მამულიშვილურ საქმეს გააკეთებს, ვინც ამ ბაზის კეთილმოწყობას ითავებს...

გასაგებია ნოდარ კურტანიძის გულისტკივილი სხვაგვარად ვერც წარმოგვიდგენია კაცი, რომელიც ქართულ წყალბურთს ოთხ ათეულ წელიწადზე მეტ ხანს ემსახურა და დღესაც მის კეთილდღეობაზე ზრუნავს.

სახელოვან წყალბურთელს დღეს 60 წელი უსრულდება. ვულოცავთ!

ვაჟა დანელია

ფინიშამდე ორი ტურით ადრე

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასასრულს უახლოვდება 16 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა. ვაუებში შესანიშნავად თამაშობს **ირაკლი ბერაძე,** რომელმაც შვიდიდან ყველა შეხვედრა მოიგო. ლიდერს 1,5-1,5 ქულით ჩამორჩებიან **ალექსანდრე ებრალიძე** და **რამაზ ენდელაძე,** ხოლო **გუგა ბურდულსა** და **შალვა ნადირაშვილს** 5-5 ქულა აქვთ.

გოგონებში ფინიშამდე ორი ტურით ადრე 6 ქულით ერთპიროვნულად **ლიკა კობეშავიძე** მეწინავეობს. მის უახლოეს კონკურენტ **ნანი უნაფქოშვილს** 5,5 ქულით მეორე ადგილი უკავია, **ანა შამათავა** 5 ქულით მესამე ადგილზეა.

ვაჟა დანელია

თვის მონაგარი თანამრავალი

1. **კალათბურთი.** საქართველოსთან სის ფინალში „არმიამ" 71:51 დაამარცხა შსს და პრესტიჟული ტიტული პირველად მოიპოვა.

2. **ზოგადი.** საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ წლის საუკეთესო სპორტსმენად მორაგბე **დავით ზირაქაშვილი** დაასახელა. მეორე ადგილზე კალათბურთელი **ვიქტორ სანიკიძე** გავიდა, მესამეზე - მოჭიდავე **გიორგი გოგშელიძე.**

3. **ფეხბურთი.** გაირკვა 21-წლამდელთა ნაკრების მეტოქეთა ვინაობა: ესპანეთი, ხორვატია, შვეიცარია, ესტონეთი.

5. **რაგბი.** ერთა თასის I ტურის მატჩში საქართველოს ნაკრებმა უკრაინას უმასპინძლა და 62:3 მოუგო.

5-6. **ძიუდო.** პარიზის „დიდ სლემზე" **ამირან პაპინაშვილმა** (60 კგ) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

6. **ჩოგბურთი.** მალიორკას (ესპანეთი) საერთაშორისო ტურნირი (10 §) **ეკა გორგოძემ** მოიგო.

6. **ფეხბურთი.** „ბენდელას თასს" ცხინვალის „სპარტაკი" დაეუფლა.

11. **თავისუფალი ჭიდაობა. ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა** იაშარ დოგუს ტურნირი (თურქეთი) მოიგო.

12. **რაგბი.** ერთა თასზე საქართველოს ნაკრებმა ესპანეთი 60:0 გაანადგურა.

13. **ჩოგბურთი.** მიდლენდის საერთაშორისო ტურნირი (აშშ, 100§) **ანა ტატიშვილმა** მოიგო წყვილთა თანრიგში.

12. **ფეხბურთი.** ზამთრის პაუზის შემდეგ განახლდა საქართველოს ჩემპიონატი.

12-13. **ძიუდო.** ბუდაპეშტის მსოფლიოს თასზე 2 ბრინჯაო მოვიპოვეთ: **ბეთქილ შუკვანი** (60 კგ) და დავით კარბელაშვილი (81)

17. **ფეხბურთი.** ჯანო ანანიძემ ევროპის ლიგაში დებიუტი გოლით აღნიშნა.

20. **კრივი.** პედრაფის (ბულგარეთი) საერთაშორისო ტურნირზე **ლევან გულედანმა** (91 კგ) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

21. **ჭადრაკი.** გადაწყდა, რომ ქალთა ევროპის ჩემპიონატი მაისში თბილისში ჩატარდება.

26. **რაგბი.** ერთა თასზე საქართველოს ნაკრებმა სტუმრად 13:12 დაამარცხა პორტუგალია.

26-28. **ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** ბურგასის (ბულგარეთი) საერთაშორისო **ტურნირში მანუჩარ კვირკველიამ (74 კგ.) ვერცხლის მედალი მოიპოვა, არჩილ თურმანიძემ** (66), **ანტონ მამაგეიშვილმა** (66), **სოსო ჯაბიძემ** (96) და **დიმიტრი ჯავახიშვილმა** (120) ბრინჯაოს მედლები იკმარეს.

მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

ჩოგბურთი

ანა, ისევ ნაბიჯი წინ

გაგიკვირდებათ და... **ანა ტატიშვილმა** რეიტინგ-ლისტში კვლავ ერთი საფეხურით წაიწია. ზედიზედ 4 კვირაა ასეა - ჩვენი საუკეთესო ჩოგბურთელი თითო საფეხურით უახლოვდება ნანატრ ასეულს. ის 544 ქულით მსოფლიოს 126-ე ჩოგანია. სხვები: 188 (-) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 310 ქულა; 234 (-) **მაკა ჩახნაშვილი** - 235; 280 (+1) **სოფიო შაფათავა** - 180; 286 (-) **თათია მიქაძე** - 176; 413 (-1) **სოფიო ქვაცაბაია** - 90; 548 (+2) **ეკა გორგოძე** - 53; 599 (-2) **მანანა შაფაქიძე** - 44; 1152 (-1) **ანა ჯიქია** - 3. ვაუები: 688 (-53) **ნიკოლოზ ბასილაშვილი** - 23 ქულა; 860 (+2) **ლადო ჩიხლაძე** - 11.

ნიკა ბასილაშვილმა ვერ მოიპოვა ბრაუნსვილის ტურნირის (აშშ, 15 ათასი დოლარი) ტიტული. წყვილთა ფინალში მან და ბულგარელმა **ბორის ბაკალოვმა** მე-3 ნომრად განთესილ ამერიკელებთან (**ულეტი, ბრაიტონი**) წააგეს - 1:6, 3:6.

ეკა გორგოძე გამოეთიშა ანთალიის პირველობას (10 ათასი), სადაც საკვალიფიკაციო ბადეში პირველ ნომრად იყო განთესილი. მეორე წრეში მან პოლონელ **აგატა ბარანსკას** 6:1, 6:2 მოუგო, მაგრამ შემდეგ სლოვაკ **მონიკა შირლოვასთან** დამარცხდა - 6:7 (3), 3:6.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ლონდონი 2014



ქართული სახლი ლონდონში

ლონდონის ოლიმპიურ თამაშებამდე უფრო და უფრო ცოტა დრო რჩება. ოთხწლეულის ამ შემაჯამებელ, ყველაზე გრანდიოზულ სპორტულ ფორუმზე სპორტულ შესაძლებლობებთან ერთად ყველა ცდილობს საკუთარი ქვეყანა თამაშების ათიათასობით სტუმარს განსხვავებული კუთხითაც დაანახოს, ამის საუკეთესო საშუალება კი ტრადიციულად, ოლიმპიადის დედაქალაქში ეროვნული სახლის მოწყობაა.

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა თადარიგი ნაადრევად დაიჭირა და ლონდონის პრესტიჟულ რაიონში ფეშენებელური შენობა შეარჩია. მფლობელებთან მოლაპარაკებები დადებითად გადაწყდა. სეოკ-ის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი** ლონდონში გაემგზავრა და ხელშეკრულებას ხელი 1 მარტს მოეწერება. „ქართული სახლი" ბინას ნიმბურკის 45 ნომერში ჩელსის რაიონში დაიდებს.

„ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ ოლიმპიური თამაშების დღეებში ლონდონში „ქართული სახლი" იფუნქციონირებს. სპორტული თემატიკის გარდა ოლიმპიელები, ტურისტები, ადგილობრივი მოსახლეობა გაეცნობა პატარა საქართველოს დიდ ისტორიას, მის წარსულსა და დღევანდელობას, კულტურას, მიღწევებს სპორტსა და ოლიმპიზმში. „ქართული სახლის" მისია წარმატებულად ჩაითვლება თუ მის სტუმარს აღუძრავს სურვილს ეწვიოს ჩვენს ქვეყანას და დაათვალიეროს მისი ღირსშესანიშნაობები. გარდა ამისა, „ქართულ სახლში" გვექნება ოფიციალური მიღებები სხვადასხვა ქვეყნის ოლიმპიურ დელეგაციებთან და ა.შ. მოკლედ, ეს იქნება პატარა საქართველო შუაგულ ლონდონში - აღნიშნა გია ნაცვლიშვილმა ინგლისის დედაქალაქში გამგზავრების წინ.

როგორც ცნობილია, თბილისში 2015 წელს ევროპის ახალგაზრდული ზაფხულის ოლიმპიური ფესტივალი გაიმართება. ამასთან დაკავშირებით ნისლიანი ალბიონიდან სეოკ-ის პრეზიდენტი რომში გადაინაცვლებს, სადაც ევროპის ოლიმპიური კომიტეტების შტაბბინაში ფესტივალის მასპინძელ ქალაქთან ოფიციალურ კონტრაქტი გაფორმდება. დოკუმენტს ხელს ეოკ-ის პრეზიდენტი **პატრიკ ჰიკი,** თბილისის მერი **გიგი უგულავა** და ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი მოაწერენ. ცერემონიალს ასევე დაესწრება სეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი **რამაზ გოგლიძე**.

სეოკ-ის პრესსამსახური

ქართველი NBA-ში

დაბრუნება 12 მოხსნით

სამაურში სიტყვა „დაბრუნება" ვახსენეთ. მართალია, **ზაზა ფაჩულია** არსად წასულა, მაგრამ ქვემოთაც წაიკითხავთ, რომ იგი გუნდის დატოვებას ნამდვილად აპირებდა და ამიტომაც გამოტოვა „ფინიქსთან" მატჩი. თუმცა, მას შემდეგ, რაც გადაწყდა, რომ იგი „ჰიუსტონში" ვერ გადავიდოდა (გაცვლა ვერ მოესწრო), მწვრთნელმა **ლარი დრიუმ** მაინც არ ათამაშა - „გოლდენ სტეიტთან" ზაზა განაცხადში იყო და მოედანზე არ გასულა. ამის მიზეზს ქვემოთ თავად მწვრთნელი მოგვახსენებს. მანამდე გუშინ პორტლენდში ჩატარებულ მატჩზე უნდა ვთქვათ, რომელის პირველ ტაიმში ფაჩულია საუკეთესო ატლანტელი იყო. პირველ ნახევარში ნათამაშებ 11 წუთში მას 8 მოხსნა, 2 ქულა, 3 პასი და 1 დაფარება ჰქონდა. ზაზა ფარქვეშეთის ბატონ-პატრონი იყო, მისი მოედანზე ყოფნისას პორტლენდელები სამწამიან ზონაში ვერ აღწევდნენ. ერთია მხოლოდ, თუ სხვა მატჩებში ფაჩულია ბურთის მოხსნის შემდეგ უმეტესად მის კალათში ჩაბრუნებაზე ზრუნავდა, „პორტლენდთან" პასის შესრულებას ამჯობინებდა. ამიტომაც მოუგროვდა 3 შედეგიანი გადაცემა, ხოლო კალათის მიმართულებით მხოლოდ 2-ჯერ სტყორცნა. მან პირველი ტაიმის მონაგარს მეორეში 4 მოხსნა მიამატა. 12 მოხსნა ზაზას საამსეზონო რეკორდია.

„ატლანტამ" მესამე პერიოდში 23-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა, თუმცა მეოთხე რაუნდი ჩააგდო და სხვაობა 7 ქულამდე შემცირდა. მაგრამ, „პორტლენდმა" მეტის გაკეთება ვეღარ შეძლო. ბოლო წუთებზე მნიშვნელოვანი სამქულიანი და საჯარიმოები გამოიყენა **ჯამალ კროუფორდმა**.

პორტლენდი-ატლანტა	83:90
ზაზა ფაჩულია: 20:41 წუთი, 2 ქულა (2-დან 1 ორქულიანი), 12 მოხსნა, 3 პასი, 1 დაფარება, 2 შეცდომა, 2 ფოლი.	
I პერიოდი	
07:53	ზაზამ ჰორფორდი შეცვალა
07:36	მოხსნა: შეტ-1, დაც-0
07:33	პასი: 1 (უილიამსი2ძ, 6:8)
07:10	მოხსნა: შეტ-1, დაც-1
04:04	მოხსნა: შეტ-2, დაც-1
03:26	პასი: 2 (სმიტი 2ძ, 13:16)
02:51	მოხსნა: შეტ-2, დაც-2
01:45	მოხსნა: შეტ-2, დაც-3
01:20	ორძულიანი: არაზუსტი
01:13	მოხსნა: შეტ-3, დაც-3
01:11	პასი: 3 (ჰინრიხი 3ძ, 16:16)
00:06	მოხსნა: შეტ-4, დაც-3
II პერიოდი	
11:38	ორძულიანი: 2ძ (21:18)
11:13	დაფარება: 1 (უოლასს დაუფარა)
09:56	მოხსნა: შეტ-4, დაც-4
08:55	ფოლი: 1
08:55	შეცდომა: 1
08:55	ჰორფორდმა ზაზა შეცვალა
III პერიოდი	
03:56	ზაზამ ჰორფორდი შეცვალა
01:59	მოხსნა: შეტ-4, დაც-5
01:57	შეცდომა: 2
01:11	მოხსნა: შეტ-4, დაც-6
IV პერიოდი	
09:55	მოხსნა: შეტ-5, დაც-6
09:15	ფოლი: 2
06:15	მოხსნა: შეტ-6, დაც-6
06:13	ჰორფორდმა ზაზა შეცვალა

5-6 წუთში ვერაფერს მოასწრებ...

გაზეთ „ატლანტა კონსტიტუშენში" ზაზა ფაჩულიას შესახებ მცირე სტატია გამოქვეყნდა, რომელიც ქართველ ქომაგსაც დააინტერესებს.

„ზაზა კვლავაც „ატლანტაშია". მისი გაცვლა ვერ მოესწრო, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯორჯიელთა გუნდში სეზონის ბოლომდე ითამაშებს.

„ატლანტა ჰოქსში" დარჩენით იგი მაინც კმაყოფილია:

- სხვა გუნდში გადასვლა იმიტომ მინდოდა, რომ იმედი მქონდა, მეტი სათამაშო დრო გამომიჩნდებოდა და უფრო დავიტვირთებოდი. მაგრამ არის მეორე მხარე - წინასწარ არავინ იცის უცხო გუნდში როგორ აეწყობა. ახლა მაინც ბედნიერი ვარ, ვეცდები სეზონი კარგად ჩავამთავრო და გუნდისთვის მაქსიმუმი გავიღო.

„პორტლენდთან" დაპირისპირებამდე ფაჩულიას სათამაშო დრო მეტად შეზღუდული იყო. „ფინიქსთან" და „გოლდენ სტეიტთან" მოედანზე არ გამოჩენილა. ზაზა ამბობს, რომ მწვრთნელ ლარი დრიუსთან სათამაშო დროის შესახებ არ ულაპარაკია, რადგან მწვრთნელს ისედაც კარგად უნდა ახსოვდეს წინა სეზონში ფაჩულიას უკმაყოფილების შესახებ. მაშინ გუნდს **მაიკ ვუდსონი** წვრთნიდა და ზაზას ცოტას ათამაშებდა.

ლარი დრიუ ამბობს, რომ „გოლდენ სტეიტთან" მატჩში ფაჩულიას **ჯოშ პაუელი** იმიტომ ამჯობინა, რომ მანამდე ექვსიდან ხუთი მატჩი ჰქონდა წაგებული და გუნდში რაღაცის შეცვლა სურდა. მწვრთნელი იქვე ამბობს - ზაზა კვლავაც მჭირდება და მომავალშიც დავეყრდნობიო:

- ემოციების და გრძნობების გამოხატვის დრო არ არის. კალათბურთი ბიზნესია. ყველა მოთამაშეს შანსს ვაძლევ, მაგრამ ამავე დროს თითოეულმა უნდა გააცნობიეროს, რომ ჩვენთვის მთავარი მოგებაა.

„პორტლენდთან" მატჩში ფაჩულია მეტად პროდუქტიული და ენერგიული იყო...

- ეს არაა გასაკვირი - ჩემი ფუნქცია სწორედ თამაშში ენერგიის შეტანა და ფარქვეშეთის გამაგრებაა. თუმცა, ამის მიღწევა რთულია, თუ 5-6 წუთს თამაშობ. მაშინ, როცა მოედანზე 20 წუთზე მეტს ვატარებ, ნაყოფიერადაც ვმუშაობ და გუნდისთვისაც მეტი სარგებელი მომაქვს."

ვაჟა სიმონიშვილი

ფაჩულია: შეიძლება სხვაგან მეტი დრო მოეცათ

ქართული გვარი იტალიურ ჭრელაში

ვიქტორი, როგორც გარნეტი

კვირას იტალიის ჩემპიონატში **ვიქტორ სანიკიძემ** ორმაგი დუბლი შეასრულა - 16 ქულა და 14 მოხსნა (30 წუთში). მისმა „ვირტუსმა" „კასერტა" 69:61 დაამარცხა.

ამ მოგებით ბოლონიელები მეოთხე ადგილზე ავიდნენ და მეორედან მესამეზე ჩამოსულ „კანტუს" დაუმეზობლდნენ. თავის მხრივ, კანტუელებმა დიდი ბრძოლა გაუმართეს „მონტეპასკის", მაგრამ სიენაში 63:73 დამარცხდნენ. კანტუელმა **მანუჩარ მარკოიშვილმა** 26 წუთში 5 ქულა მოაგროვა.

ყოველთვის ვცდილობთ ზომიერება შევინარჩუნოთ და კომპლიმენტები ზედმეტად არ გამოვიყენოთ. დღეს სანიკიძის მიმართ არაერთი ეპითეტი უნდა დავწეროთ, ოღონდ რასაც ქვემოთ წაიკითხავთ იტალიურიდანაა ნათარგმნი. ისღა დაგვრჩენია, სიამოვნებით მოვისმინოთ კავკასიის მთების შვილის იტალიური დახასიათება.

Corriere dello Sport.it

სანიკიძე, ურაგანი კასერტასთვის

„საუკეთესო ორმაგი დუბლის ავტორი სანიკიძე (14 მოხსნა მისთვის სეზონის რეკორდი იყო) მატჩის საკვანძო ფიგურა გახლდათ. მან მუხლისა და იდაყვის ტრავმები მოიშუშა და შესანიშნავად ათამაშდა. მეორე წრეში ქართველი საშუალოდ 13.4 ქულას აგროვებს, ბოლო 6 მატჩში 57 მოხსნა აქვს და დიდი წვლილი მიუძღვის „ვირტუსის" 6-მატჩიან საშინაო მოგებათა სერიაში.

„კასერტასთან" მატჩში იგი თავს ზემოთ ახტებოდა ყველას, მეტოქეებს თუ თანაგუნდელებს...

- მწვრთნელმა ლარდო ლინომ გვითხრა, თუ დაცვაში მტკიცედ დავდგებით და შეტევაშიც ნორმალურად ვითამაშებთ, „კასერტას" ძლევა შეიძლებაო. მოხარული ვარ, რომ ასეც მოხდა, - ასეთია სანიკიძის მატჩისშემდგომი კომენტარი."

ALL AROUND
LA WEBZINE DEDICATA AL BASKET

BLACK V

ვიდრე „ოლრაუნდში" გამოქვეყნებული პუბლიკაციის მოკლე ვარიანტს გადმოვაქართულებდეთ, განვმარტავთ: „ვირტუსი" შინ თეთრი ფორმით თამაშობს, სტუმრად - შავით (Black). ალბათ, ფორმის ფერის გამო მოუძებნა „ოლრაუნდის" ჟურნალისტმა ვიქტორს საინტერესო მეტსახელი: Black V.

„კასერტელები პირველივე წუთებიდან 2:15 ჩამორჩნენ, რაც Black V-ის, ვიქტორ სანიკიძის აქტიურობის ბრალი იყო. იგი დომინირებდა როგორც დაცვაში ასევე შეტევაში (8 მოხსნა მეტოქის ფარზე)...

interno
Laboratorio di informazione

გარნეტივით

„მატჩის საუკეთესო კალათბურთელი ვიქტორ სანიკიძე იყო, რომელიც კევინ გარნეტივით მოძრაობდა „კასერტას" ფარქვეშ, მეურვე ჯონსს მოედნის ერთ სამტიმეტრსაც არ უთმობდა, არაერთხელ გადაახტა."

Tuttobasket.net

სანიკიძე: ასე უნდა განვაგრძოთ

„ვირტუსმა" გამარჯვებას ვიქტორ სანიკიძის წყალობით მიაღწია. იგი მეტოქეებს უილიამსსა და ჯონსს სჯობნიდა, დაკარგული ბურთისთვის ენერგიულად იბრძოდა, რამაც მატჩის საბოლოო შედეგზე დიდი გავლენა მოახდინა. ქართველმა „კასერტასთან" მატჩის მნიშვნელობაზე ილაპარაკა:

- მოგება ორმაგად მნიშვნელოვანია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ „კასერტა" ძლიერი გუნდია. ის ხომ ევროთასის პლეი ოფში გავიდა. და მეორე - სწორედ ასეთი კლუბის ძლევამ თავდაჯერება შეგვმატა. დავრწმუნდით, რომ სწორ გზაზე ვდგავართ და ამ სეზონში წარმატებით გამოსვლა შეგვიძლია.

ვიქტორმა თასის მეოთხედფინალში წაგებაც გაიხსენა:

- „აველინოსთან" მარცხის შემდეგ დავინახეთ, რომ იმაზე მეტი უნდა ვიშრომოთ, ვიდრე აქამდე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საშინაო მოგებები. სეზონის ბოლომდე ასე უნდა განვაგრძოთ."

TELESANTERNO

ამერიკულად

...ვიქტორ სანიკიძემ „ამერიკულად" ითამაშა. თუ მას ტრავმები ხელს არ შეუშლის, შეუძლია „ვირტუსს" იტალიის ჩემპიონატის ფინალშიც შეუძღვეს.

...სანიკიძე დაფრინავდა, ბურთს საკუთარ ფარზეც იოლად ხსნიდა და მეტოქისაზეც. მატჩის მსვლელობისას მან გულშემატკივრებისგან არაერთი ოვაცია დაიმსახურა."

ვაჟა სიმონიშვილი

ცალი ფეხით ოთხეულში

ადრიატიკის თასზე „ოლიმპიამ" ფინალური ოთხეულისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა - უშუალო კონკურენტი ჩერნოგორიის „ბუდუჩნოსტი" სტუმრად დაამარცხა (71:70).

სადღეისოდ ოლიმპიელებს 14 მოგება აქვთ და მესამე ადგილზე არიან. მეოთხე-მეხუთე პოზიციებზე მყოფ „ბუდუჩნოსტსა" და „ზაგრებს" 13-13 გამარჯვება უწერიათ. რეგულარული ეტაპის დასრულებამდე 4 ტურია დარჩენილი და ძნელი წარმოასდგენია „ოლიმპია" ისე დაბეჩავდეს, რომ ორივე მდევარმა გაასწროს (თუმცა თეორიულად ეს იოლი დასაშვებია).

ჩვენთვის საყურადღებო ფაქტი დაფიქსირდა პოდგორიცაში: როგორც იქნა, მწვრთნელი **იურე ჟდოვიჩი** მიხვდა, რომ ბოლო წუთებზე **გიორგი შერმადინის** ნდობა შეიძლება. ქულა-ქულაში მიმდინარე მატჩის გადამწყვეტ მომენტში მწვრთნელმა გიორგი მოედნიდან არ გაიყვანა და გაიმარჯვა კიდეც. ორი გადამწყვეტი საჯარიმო ტურის საუკეთესო კალათბურთელის ოლიმპიელი **ვლადო ილიევსკის** ანგარიშზეა.

შერმადინმა 30 წუთში 6 ქულა (3-დან 1 ორქულიანი, 4-დან 4 საჯარიმო), 6 მოხსნა და 2-2 პასი-ჩაჭრა-დაფარება მოაგროვა.

მისგან განსხვავებით **ვლადიმერ ბოისა** სასტარტო იყო: 12 წუთში 2 ქულა (2-დან 1 ორქულიანი) და 3 მოხსნა ჩაიწერა.

მომდევნო ტურში „ოლიმპია" „ზაგრებს" ხორვატიაში ეთამაშება (6 მარტს).

ვაჟა სიმონიშვილი

ინტერვიუ პაატა ნარიმანაშვილთან



აკადემია-ლელო. 2010 წელი

წლეულს საუკეთესო ჩემპიონატი გვექნება

სარაგბო კლუბი „აკადემია“ 1982 წელს სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა დააარსეს. მალე გუნდმა თბილისის ჩემპიონატი მოიგო და საკავშირო თასის გათამაშებაში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა საქართველო დამოუკიდებლად ატარებდა ჩემპიონატს, „აკადემია“ ერთი ხანობა უმაღლეს ლიგაში ასპარეზობდა. მერე გუნდი დაიშალა, თუმცა მწვრთნელებს ბავშვებთან მუშაობა არ შეუწყვეტიათ და როცა ახალი თაობა წამოიზარდა, 2002 წელს „კადემია“ ისევ უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა. მას შემდეგ გუნდმა ორჯერ საქართველოს ჩემპიონატის ვერცხლის მედლები მოიპოვა და ერთხელ თასის ფინალში ითამაშა.

შარშან „აკადემია“ მე-6 ადგილს დასჯერდა. თუმცა თუ გუნდის მორაგბეთა პოტენციალით ვიმსჯელებთ, გაცილებით მეტის მიღწევა შეუძლიათ. ახალი სეზონისთვის მზადებისა და მომავლის გეგმების შესახებ „აკადემიის“ მთავარ მწვრთნელ **პაატა ნარიმანაშვილს** ვესაუბრეთ.

- მზადება როგორც ყოველთვის ფიზიკური კონდიციების დახვწით დავიწყეთ. კვირაში სამჯერ გუნდს მძლეოსნობის მწვრთნელი ლექსო ბურნაძე ავარჯიშებს. ამავე დღეებში სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შენობაში ძალოსნობის დარბაზში ვვარჯიშობთ. დანარჩენ დღეებს „ქარიშხალას“ სასპორტო კომპლექსის დარბაზში ვატარებთ. იქ ტატამზე ბოჭვას ვხვეწთ. ხანდახან მოედანზე გასვლასაც ვახერხებთ.

- სეზონებს შორის სატრანსფერო ფანჯარა ჯერ კიდევ ღიაა. გუნდი ხომ არავის დაუტოვებია, ან თქვენ თუ დაიმატეთ ვინმე?

- „აკადემია“ გიორგი ელიზბარაშვილმა დატოვა, ის „თსუ-ლომებში“ გადავიდა. სხვა ყველა ადგილზეა. დავიმატეთ რამდენიმე მოთამაშე ჩვენივე ჭაბუკთა A ლიგის გუნდიდან. არ მინდა ჩამოვთვალო, საკმაოდ ბევრნი არიან, მათი ძალიან გვეიმედება და ვნახოთ, თავს როგორ წარმოაჩენენ.

- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, „აკადემია“ ერთ-ერთი იმ გუნდთაგანია, რომელსაც სპონსორი არ ჰყავს...

- დიახ, სპონსორი ნამდვილად არ გვყავს. კლუბი საარსებო წყარო სახელმწიფოს მიერ გაცემული პრემიალური თანხაა, რომელსაც საქართველოს ჩემპიონატში დაკავებული ადგილის მიხედვით გვაძლევენ. არადა, საკმაოდ ბევრი გუნდი გვყავს. წლეულს გამოვალთ დუბლშემადგენლობის ჩემპიონატში. ტრადიციულად ვითამაშებთ ჭაბუკთა A და B ლიგებში. ვიასპარეზებთ საფესტივალო ასაკის გუნდების შეჯიბრებაშიც.

- რა მიზნებს ისახავს წლეულს „აკადემია“ და რომელი გუნდები მიგაჩნიათ კონკურენტებად?

- საპლეიოფო ოთხეულში გვინდა მოვხვდეთ. ეს პროგრამა მინიმუმია. მერე კი ვნახოთ, რა მოხდება. კონკურენტი აბსოლუტურად ყველა გუნდია. ნლეულს ძალიან დაძაბული, საუკეთესო ჩემპიონატი გამოვა. ეს ბუნებრივიცაა. გუნდები ნელ-ნელა გაიზარდნენ, გამოცდილება მიიღეს, მოთამაშეების ასაკმაც იმატა. პირველი ლიგიდან საკმაოდ საინტერესო გუნდი „თსუ-ლომები“ დაგვემატა. ძალიან მძიმე ბრძოლების გადატანა მოგვიწევს. ეს კარგია, რადგან სათამაშო დონეც გაიზრდება.

- თქვენ იმავდროულად საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი ბრძანდებით, რომელიც საკმაოდ პასუხსაგები ტურნირის, ახალგაზრდული მსოფლიო ალაფასთვის სამზადის დიდი ხანია შეუდგა...

- მზადების პირველი ეტაპი უკვე დავასრულეთ. ინტენსიური წვრთნები გვქონდა, ძირითადად ფიზიკურ დატვირთვებზე, ამტანობაზე ვიმუშავეთ. მარტის პირველი რიცხვებიდან იმ 32 მორაგბეს შევკრებთ, რომლებიც ამჟამად საქართველოში ასპარეზობენ. ამათ მოგვიანებით სამი ლეგიონერი დაემატება და იმ 26 მორაგბეს შევარჩევთ, ვინც ახალგაზრდულ მსოფლიო ალაფაზე ითამაშებს. მანამდე კი აპრილის ბოლო დეკადაში, თბილისში ფრანგული „კლერმონის“ 21-წლამდელთა გუნდი გვეწვევა და ორ საკონტროლო შეხვედრას გავმართავთ.

ექვსი ერი

პომპები უძლეველნი პარიზში

სამი ერის გათამაშების მესამე ტურში ყველაზე დიდ ინტერესს ლიდერების, ინგლისისა და საფრანგეთის ნაკრებების დაპირისპირება იწვევდა. „პომპებს“ „თვიქნემზე“ კარგი შანსი მიეცათ დიდი სლემს ერთი ნაბიჯით დაახლოებოდნენ და გამოიყენეს კიდეც. თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ორ შეხვედრაშიც საკმაოდ დაძაბული, საინტერესო ბრძოლები გაიმართა.

ამჟამინდელი ჩემპიონი, საფრანგეთის ეროვნული გუნდი ლონდონში სათამაშოდ თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით ჩავიდა. „ლე ბლეს“ მთავარმა მწვთნელმა **მარკ ლივერმონმა** შეტევაზე ორიენტირებული შემადგენლობით თამაში არჩია და შეცდა.

აღსანიშნავია, რომ ლივერმონმა ამ მეტად მნიშვნელოვან, თითქმის გადამწყვეტ მატჩში, ცხრა ნომრის პოზიცია ქართული წარმოშობის **დიმიტრი იაშვილს** ანდო - არც შემცდარა. იაშვილმა სამი საჯარიმო გაიტანა (9 ქულა). მის გარდა ფრანგთა მონაგარი არავის გაუზრდია.

იაშვილმა და კომპანიამ „პომებს“ წინააღმდეგობა მხოლოდ პირველ ნახევარში გაუწია. ტაიმი ფრედ 9:9 დასრულდა. „იაშის“ სამ საჯარიმოს ინგლისელთა მგეზავმა ამდენივეთი უპასუხა. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა თამაშის ტემპს უმატეს და თამაშის განახლებიდან სამ წუთში მრავალფაზიანი, შესანიშნავი შეტევა ფულბეკმა **ბენ ფოდენმა** ლელოთი დაასრულა. ფლუდმა ვერ გარდასახა - 14:9.

მალე მოედანზე **ჯონი ვილკინსონიც** გამოჩნდა, რომელმაც ერთი საჯარიმო გაიტანა და გუნდებმა დარჩენილ 25 წუთში ისე ითამაშეს, რომ მონაგარს ვერაფერი შემატეს - 17:9.

მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრების კიდევ ერთმა მეტოქემ, შოტლანდიის ეროვნულმა გუნდმა შინ, „მერიფილდზე“ წააგო ირლანდიასთან - 18:21. „სკოტებმა“ სტუმართა ჩათვლის მოედანში ვერაფრით შეაღწიეს. მასპინძლებმა თვრამეტი ქულა **კრის პატერსონისა** და **დენ პარქსის** ფეხჩუბინობის წყალობით მოიპოვეს.

„სამყურებმა“ კი სამი ლელო მიითვალეს. მათ რიგებში გამორჩეული იყო ვეტერანი მგეზავი **რონან ოგარა,** რომელმაც გუნდს 11 ქულა შესძინა (ერთი ლელო და სამი გარდასახვა).

იტალიის ნაკრებმა შინ ფიცხელი ბრძოლა გაუმართა უელსის ეროვნულ გუნდს, თუმცა მაინც წააგო - 16:24. „სკუადრა აძურამ“ პირველ ათ წუთში სტუმრებს არაფერი დაუთმო და ანგარიშშიც დაწინაურდა, თუმცა უელსელებმა მაინც იძალეს და მაღალი კლასის წყალობით უპირატესობას დაეუფლნენ.

გუნდებმა ორ-ორი ლელო მიითვალეს. გადამწყვეტი უელსელი მგეზავის **სტივენ ჯოუნზის** ფეხჩუბინობა გამოდგა, რომელმაც სამი საჯარიმო და ერთი გარდასახვა გაიტანა. მატჩის 77-ე წუთზე შუამარბმა **ჯეიმზ ჰუკმა** არეკნით იტალიელებს იმედი, საბოლოოდ გადაუწურა.

სამი ერი

III ტური

იტალია-უელსი 16:24

იტალია: 2ლ - კანალე, პარისე. 2ს - ბერგამასკო

უელსი: 2ლ - სტოდარტი, ვერბარტონი. 3ს,გ: ს.ჯოუნზი. ა: ჰუკი.

ინგლისი-საფრანგეთი 17:9

ინგლისი: ლ - ფოდენი. 4ს - ფლუდი (3), ვილკინსონი.

საფრანგეთი: 3ს - იაშვილი

შოტლანდია-ირლანდია 18:21

შოტლანდია: 5ს - პატერსონი (4), პარქსი. ა: პარქსი.

ირლანდია: 3ლ - ჰისლიპი, რედანი, ოგარა. 3გ: ოგარა.

საბურნირო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1.ინგლისი	3	3	0	0	+61	6
2.უელსი	3	2	0	1	+19	4
3.საფრანგეთი	3	2	0	1	+8	4
4.ირლანდია	3	2	0	1	+2	4
5.შოტლანდია	3	0	0	3	-34	0
6.იტალია	3	0	0	3	-56	0

IV ტური

იტალია-საფრანგეთი, უელსი-ირლანდია, ინგლისი-შოტლანდია

ზე რაგბი

ახალი რებლზი და იგივენი

ზე რაგბის გათამაშების მეორე ტური B ჯგუფის ბინადრების, დანიდინის „ჰაილენდერზისა“ და ჰემილთონის „ჩიფსის“ მატჩით გაიხსნა. ჰემილთონელებმა შეხვედრის პირველი ტაიმში შესანიშნავად ითამაშეს, თუმცა მასპინძლები გონს შესვენების შემდეგ მოეგნენ და მაქსიმალურად სწრაფად და მძლავრად ამოქმედდნენ.

დანიდინელთა მესამეხაზელმა **ნასი მანუმ** და გარემარბმა **პოკი კადემ** თითო ლელო გაიტანეს, რომლებიც მგეზავმა **ლიმა სოპოაგამ** გარდასახა. მანვე მატჩის მიწურულს ერთი საჯარიმოც მიითვალა. „ჩიფსმა“ კი მეორე ტამში საკუთარი მონაგრის გაზრდა ვერ მოახერხა და 13:23 წააგო. ჰემილთონელთაგან გამორჩეული იყო მგეზავი **მაიკ დელანი,** რომელმაც გუნდს 13 ქულა მოუტანა (ერთი ლელო, ერთი გარდასახვა და ორი საჯარიმო).

25 თებერვალი რომ ისტორიული დღე გამოდგა ზე რაგბის გათამაშების ახალი გუნდის, A ჯგუფში მოასპარეზე „მელბურნ რებლზისთვის“, ამაზე უკვე ვწერდით. მელბურნელებმა შინ კანბერის „ბრამბიზთან“ მატჩში ისტორიაში პირველი გამარჯვება მოიპოვეს - 25:24. მასპინძელთა მგეზავმა **დენი სიპრიანიმ** გუნდს 20 ქულა შესძინა (ექვსი საჯარიმო და ერთი გარდასახვა).

ამავე ჯგუფში ფავორიტობაზე პრეტენზიას სიდნეის „ვორათაზი“ აცხადებს, რომელმაც საშინაო მატჩში შანსი არ დაუტოვა ბრისბენის „რედსს“ - 30:6. მასპინძლები მე-8 წუთისთვის უკვე 11:0-ს იგებდნენ. საბოლოოდ კი სტუმრებს ოთხი ლელო გაუტანეს. თავი გამოიჩინეს **დრიუ მიტჩელმა, დევიდ დენისმა, ლეკლენ თერნერმა და ბენ რობინსონმა.** ყოველივე ამაზე ბრისბენელთა ვარსკვლავმა, მგეზავმა **ქუადე კუპერმა** მხოლოდ ორი საჯარიმოთი უპასუხა.

B ჯგუფში მიწისძვრით დაზარალებული ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზისა“ და ველინგთონის „ჰარიკენზის“ მატჩი არ შედგა. ზე რაგბის ორგანიზატორებმა უცნაური გადაწყვეტილება მიიღეს. ორივე გუნდს ფრე ჩაუთვალეს და ქულები თანაბრად გაუყვეს. სატურნირო ცხრილში ორივე გუნდს ორ-ორი ქულა მიემატა.

საინტერესო გამოდგა მატჩები C ჯგუფის ბინადართა მონაწილეობით. ბლუმფონტეინში „ჩიტაზმა“ შარშანდელ გამარჯვებულ პრეტორიის „ბლუბულზს“ უმასპინძლა და დრამატულ ბრძოლაში 23:25 დამარცხდა.

მასპინძლებმა პირველი ტაიმი მხოლოდ სამი ქულის სხვაობით მოიგეს 11:8. თუმცა შესვენების შემდეგ მრისხანე მეტოქეს ორი ლელო გაუტანეს და 23:8 დაწინაურდნენ. „ლურჯმა ხარებმა“ მატჩში გარდატეხის შეტანა ბოლო 15 წუთში მოახერხა.

65-ე წუთზე ჯერ შეცვლაზე შესულმა **დენი როსუმ** დაამწუხრა ჩიტაზელები, ხოლო თამაშის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე გამარჯვების ლელო ცხრა ნომერმა **ფური დუ პრომ** გაიტანა. ორივე ლელო **მორნი სტეინმა** გარდასახა და შუალედში მონაგარს ერთი საჯარიმოც მიუმატა.

ამ ჯგუფში „ბლუ ბულზთან“ ერთად წაუგებლად ლიდერობს დურბანის „ნათალ შარქსიც“, რომელმაც მეორე ტურში შინ მოუგო ოქლენდის „ბლუზს“ - 26:12. ზვიგენები თავიდანვე დაუფლნენ უპირატესობას და ახალზელანდიელ სტუმრებს მატჩის გადარჩენის იოტისოდენა იმედიც კი არ დაუტოვეს.

დურბანელთა რიგებში კიდევ ერთხელ გაიბრწყინა სამხრეთაფრიკული რაგბის ამომავალმა ვასრკვლავმა, მგეზავმა **პატრიკ ლამბიემ.** მან ერთი ლელო, ორი გარდასახვა და ოთხი საჯარიმო გაიტანა (21 ქულა).

გაცილებით დიდი ძალისხმევა დასჭირდა კეიპთაუნის „სტორმერზს“ შინ იოჰანსებურგის „ლაიონზის“ დასამარცხებლად - 19:16. მასპინძლები 74-ე წუთამდე 12:16 აგებდნენ, როცა გამარჯვების მომტანი ლელო შეცვლაზე შესულმა პირველხაზელმა **პიტერ ლოუმ** გაიტანა.

ზე რაგბი. IIტური

A ჯგუფი

მელბურნ რებლზი-ბრამბიზი 25:24, ვორათაზი-რედსი 30:6

საბურნირო მდგომარეობა

1. ვორათაზი - 10 ქულა, 2. ბრამბიზი - 5, 3. რედსი - 4, 4. მელბურნ რებლზი - 4, 5. ფორსი - 1,

B ჯგუფი

ჰაილენდერზი-ჩიფსი 23:13, ჰარიკენზი-კრუსეიდერზი (ტექნიკური ფრე)

საბურნირო მდგომარეობა

1. ჰაილენდერზი - 8 ქულა, 2. ბლუზი - 4, 3. კრუსეიდერზი - 3, 4. ჰარიკენზი - 3, 5. ჩიფსი - 0.

C ჯგუფი

ჩიტაზი-ბლუ ბულზი 23:25, ნატალ შარქსი-ბლუზი 26:12, სტორმერზი-ლაიონზი 19:16

საბურნირო მდგომარეობა

1. ნატალ შარქსი - 8 ქულა, 2. ბლუ ბულზი - 8, 4. სტორმერზი - 4, 3. ლაიონზი - 2, 5. ჩიტაზი - 1.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

სტორმერზი-ლაიონზი

msy-gov-ge

ჩოგბურთი

ტურნირების მიმოხილვა

ელენა იანკოვიჩი

ტურნირების წინ

ღარიბი კვირა

ამ კვირას მხოლოდ ორი ტურნირი გაიმართება და ორივე ქალთა პროფესიულ ტურში. ამის მიზეზი ის არის, რომ მამაკაცი ჩოგბურთელები კვირის ბოლოს გასამართი დევისის თასის მერვედფინალებისთვის ემზადებიან.

WTA

Malaysian Open

კუალა ლუმპური (მალაიზია). ჰარდი
საპრიზო ფონდი: 220 000 დოლარი

***მონაწილეთა შემადგენლობა**: ფრანჩესკა სკიავონე, მარიონ ბარტოლი, ალისა კლეიბანოვა, იარმილა გროტი, ლუსი საფაროვა, აიუმი მორიტა...*

ქალების ორი ტურნირი ერთგვარი გარდამავალი ეტაპია უკვე ჩატარებული დუბაისა და დოჰას ტურნირებსა და მარტში გასამართ ინდიან უელსისა და მაიამის უმაღლესი კატეგორიის ჩემპიონატებს შორის.

შარშან კუალა ლუმპურში მთავარი პრიზი **ალისა კლეიბანოვამ** მოიპოვა. მან ფინალში თანამემამულე **ელენა დემენტიევა** დაამარცხა, რომელმაც კარიერა დაასრულა. მაგრამ რუსს გაუჭირდება ტიტულის შენარჩუნება, რადგან მეტოქეებად საუკეთესო ოცეულის ორი წევრი ეყოლება.

მარიონ ბარტოლიმ ბოლო დროს შესანიშნავი ფორმა აკრიფა, მაგრამ ფრანგს ძველი სენი არ აძლევს თავისი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას. ამიტომაც არ მოიხსენიებენ ხოლმე მას ამა თუ იმ ტურნირის მთავარ ფავორიტად.

სამაგიეროდ, ეს როლი შეიძლება მივაკუთვნოთ მსოფლიოს მეხუთე ნომერ **ფრანჩესკა სკიავონეს**. თანაც იტალიელს წელს არც ერთი ტურნირი არ მოუგია და დიდი სტარტების წინ მისთვის ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იქნება წარმატების მიღწევა.

Monterrey Open

მონტერეი (მექსიკა). მრუნტი
საპრიზო ფონდი: 220 000 დოლარი

***მონაწილეთა შემადგენლობა**: ელენა იანკოვიჩი, ხისელა დულკო, ალიზ კორნე, ცვეტანა პირონკოვა, სარა ერანი, პოლონია ჰერცოგი, იულია გორვჯესი, მელანი ოუდინი...*

აქაც მოქმედი ჩემპიონი რუსია - **ანასტასია პავლიუჩენკოვა**, რომლისთვისაც ეს კარიერაში პირველი ტიტული იყო.

რაც შეეხება შემადგენლობას, კუალა ლუმპურის მსგავსად აქაც ერთი გამოკვეთილი ფავორიტია - სერბი **ელენა იანკოვიჩი**, ვინც მონტერეიში საუკეთესო ათეულის ერთადერთი წარმომადგენელი გახლავთ.

მის ყველაზე სახიფათო კონკურენტად უნდა მივიჩნიოთ არგენტინელი **ხისელა დულკო** - მან წინა კვირას აკაპულკოს ტურნირი მოიგო. თუმცა იანკოვიჩს თუ არ ჩავთვლით, შემადგენლობა თანაბარია და ყველანაირ სიურპრიზს უნდა ველოდოთ.

დევისზე ცვლილებებია

საფრანგეთის ნაკრების წევრმა **რიშარ გასკემ** უარი თქვა ავსტრიის ნაკრების წინააღმდეგ დევისის თასის მერვედფინალში თამაშზე. ფრანგს დუბაის ტურნირზე მხართან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა და დასვენება გადაწყვიტა.

ასე რომ, საფრანგეთის ნაკრების კაპიტნის **გი ფორჟეს** განკარგულებაში **ჟულიენ ბენეტო, მიკაელ ლოდრა** და **ჟილ სიმონი** დარჩნენ. გასაკეს შემცვლელად კი **ჟერემი შარდი** გამოიძახეს. სავარაუდოდ, ავსტრიის წინააღმდეგ ერთეულთა პირველ მატჩს ჟილ სიმონი ითამაშებს. მეორე ნომრის ვინაობა მოგვიანებით გახდება ცნობილი. შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე ტრავმების გამო ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადეს **ჟო-ვილფრიდ ცონგამ** და **გაელ მონფილსმა**.

„კარგად გვესმის, რომ ახლა ჩვენი გუნდის შანსები მნიშვნელოვნად შემცირდა“, - პესიმისტურად არის განწყობილი ფორჟე.

■ ■ ■

ერთი დანაკლისია ამერიკის ნაკრებში, რომელსაც ჩილეს წინააღმდეგ სტუმრად მოუნევს თამაში. ტრავმის გამო სანტიაგოში არ გამგზავრება **სემ კუერი**.

„ძალიან სამწუხაროა, რომ მხრის ტრავმის გამო სემი ჩვენ გვერდით არ იქნება. კუერი კარგი ჩოგბურთელია, ამიტომაც ეს დიდი დანაკლისია ამერიკის ნაკრებისთვის. თუმცა სხვა ძლიერი ჩოგბურთელებიც გვყავს, რომლებსაც შეუძლიათ გამარჯვება. ჩილეს წინააღმდეგ ითამაშებენ ენდი როდიკი, ჯონ ისნერი, ბობ და მაიკ ბრაიანები“, - ამბობს აშშ-ის ნაკრეის კაპიტანი **ჯიმ კურიე**.



რიშარ გასკე

არგენტინული დუბლი

დუბაისა და **დოჰას ტურნირების გარდა, ჩოგბურთელები გასულ კვირას კიდევ სამ შეჯიბრში არკვევდნენ ურთიერთობას. აკაპულკოში მამაკაცებს შორის დავიდ ფერერმა შეინარჩუნა ტიტული, ქალებს შორის კი ხისელა დულკომ ბოლო სამი სეზონის განმავლობაში პირველი ტურნირი მოიგო. ასევე არგენტინული ტრიუმფი დაფიქსირდა დელრეი ბიჩის კორტებზე - ახლა უკვე თამამად შეიძლება იმის თქვა, რომ ხუან მარტინ დელ პოტრო სრულფასოვნად დაბრუნდა მამაკაცთა პროფესიულ ტურში.**

ამერიკის ღია პირველობის ყოფილი ჩემპიონი დელრეი ბიჩში თამაშობდა. აქ ფავორიტი **ენდი როდიკი** უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამერიკელთა პირველმა ნომერმა დევისის თასის სასარგებლოდ გამოიტანა განაცხადი ტურნირიდან. იმავე მიზეზით დელრეი ბიჩში ვერ ვიხილეთ **ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი), **რადეკ შტეპანეკი** (ჩეხეთი) და **მიხალ პრსიეჟნი** (პოლონეთი). ამიტომაც ძირითად ბადეში კვალიფიკაციაში დამარცხებული ოთხი ჩოგბურთელი ვიხილეთ, თუმცა ისინი პირველივე წრეში გამოეთიშნენ ბრძოლას.

როდიკის უარის გამო **დელ პოტრო** ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად მოინათლა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ტურნირის წინ არგენტინელი რეიტინგში 166-ე ადგილს იკავებდა. მის თამაშში დადებითი ტენდენცია შეიმჩნევა - წინა ორ ამერიკულ ტურნირზე ნახევარფინალამდე მიაღწია და ორივეჯერ ტოპათეულის წევრთან დამარცხდა - **ვერდასკოსთან** და იმავე როდიკთან. დელრეი ბიჩში კი ასეთი დონის მოთამაშეები არ იყვნენ, რაც არგენტინელის შანსს მნიშვნელოვნად ზრდიდა.

ნახევარფინალში დელ პოტრო ტურნირის მეორე ნომერ **მარდი ფიშს** შეხვდა. ორივენი ამ ეტაპზე სეტის წაუგებლად მივიდნენ, მაგრამ ერთმანეთში თამაშისას მასპინძელი ვერ გაუმკლავდა დელ პოტროს ენერგიულ თამაშს. მეორე სეტში იყო ბრძოლა, ფიშმა ორი ბრეიკიც გააკეთა, მაგრამ მაინც წააგო - 1:6, 5:7. მეორე ნახევარფინალში სერბმა **იანკო ტიპსარევიჩმა** 6:4, 6:4 მოიგო 21 წლის იაპონელ **კეი ნიშიკორის**, რომელმაც სამი წლის წინ სწორედ დელრეი ბიჩის ტურნირის მოგებით გაიცნო თავი საჩოგბურთო სამყაროს, მაგრამ მას შემდეგ სერიოზული წარმატებისთვის არ მიუღწევია.

ფინალი საკმაოდ დაძაბული გამოვიდა, თუმცა ამას ანგარიშის მიხედვით ვერ ვიტყვით. სტარტზე ტიპსარევიჩმა მოიპოვა ინიციატივა და 4:1 დაწინაურდა. მალე დელ პოტრომაც მოუმატა და ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ კი გადამწყვეტი ბრეიკიც გააკეთა. სერბი არ დანებდა და შემდეგ გეიმში სამმაგი ბრეიკი-პოინტი მოიპოვა, მაგრამ ეს შანსი ხელიდან გაუშვა და სეტი წააგო.

მეორე სეტი ნაკლებად დრამატულად წარიმართა - აქ ბრეიკების გაცვლა არ ყოფილა. დელ პოტრომ უბრალოდ სეტის შუაში აიღო მეტოქის მოწოდება და ეს უპირატესობა პარტიის ბოლომდე შეინარჩუნა.

დელ პოტრომ მერვე ტიტული მოიგო კარიერაში. რაც მთავარია, გასული სეზონის სტარტზე მაჯაზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ ის სრულფასოვნად დაუბრუნდა ტურს. არგენტინელი ამ კვირას დევისის თასზე არ ითამაშებს, ასე რომ შეუძლია დაისვენოს და მშვიდად მოემზადოს ორი მასტერსისთვის (ინდიან უელსი და მაიამი), რომელიც მარტში ამერიკაში გაიმართება. სხვათა შორის, დელრეი ბიჩში ტრიუმფის შემდეგ ხუან მარტინი რეიტინგის ასეულში დაბრუნდა - ახლა ის 89-ე ნომერია.

■ ■ ■

კაცებს შორის აკაპულკოს ტურნირი პრესტიჟული „500“ კატეგორიისა იყო. რვა განთესილიდან ოთხი ესპანეთს წარმოადგენდა. მონაწილეთა შემადგენლობა კიდევ უფრო ძლიერი იქნებოდა, მექსიკაში თამაშზე უარი რომ არ ეთქვათ **დავიდ ნალბანდიანს, ტომი რობრედოსა** და **მილოშ რაონიჩს**.

ყველა ფავორიტმა ვერ დაამტკიცა თავისი სტატუსი. მაგალითად, ფერნანდო ვერდასკო პირველივე წრეში დამარცხდა **ტომაშ ბელუჩისთან**. სამაგიეროდ, ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალისტმა **ალექსანდრ დოლგოპოლოვმა** მიაღწია ნახევარფინალამდე, გზად კი შვეიცარიელი **სტანისლას ვავრინკა** დაამარცხა. ნახევარფინალში უკრაინელი **დავიდ ფერერთან** დამარცხდა, რომელსაც ბადის მხრივ აშკარად გაუმართლა - მოუგო კვალიფიკაციის გამარჯვებულსა და უაილდქარდის მფლობელს და მხოლოდ **ხუან მონაკოსთან** იწვალა. ნახევარფინალში ბრძოლა მხოლოდ პირველ სეტში იყო, მეორე და მესამე პარტიებში კი ფერერმა გასაღები მოუძებნა დოლგოპოლოვის თამაშს და მხოლოდ ორი გეიმი დათმო - 5:7, 6:1, 6:1.

თუ ბადის ზედა ნახევრიდან მეოთხედფინალამდე ოთხი განთესილი მივიდა, ქვედა მხრიდან ფავორიტის სტატუსი მხოლოდ **ნიკოლას ალმაგრომ** დაამტკიცა, რომელიც სამხრეთამერიკულ სათიხნარო სეზონში ზედიზედ მესამე ტიტულს უმიზნებდა. ორი იოლი სასტარტო მოგების შემდეგ ესპანელს სამი სეტის ჩატარება დასჭირდა **სანტიაგო ხირალდოსთან** და ბელუჩისთან, მაგრამ მაინც გავიდა ფინალში.



ხუან მარტინ დელ პოტრო

ფერერს ალმაგროსთვის ხუთიდან ხუთი მატჩი ჰქონდა მოგებული, თუმცა სამჯერ საქმე მესამე სეტამდე მივიდა. ასე მოხდა ამჯერადაც. პირველ პარტიაში ალმაგრო 5:2-ს იგებდა, მაგრამ ჩოგბურთელებს მაინც ტაი-ბრეიკის თამაში მოუწიათ, სადაც უფრო ძლიერი დევიდი აღმოჩნდა. მეორე სეტშიც ისევ ყველაფერი მე-13 გეიმში გადანყდა და ამჯერად უფრო ზუსტად ალმაგრო მოქმედებდა. მაგრამ ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ ნიკოლასი ძალიან დაიღალა და შეცდომებს უმატა. ბოლო პარტია მხოლოდ ნახევარ საათს გაგრძელდა და ის ფერერმა 6:2 მოიგო.

■ ■ ■

თუ აკაპულკოში კაცების ტურნირს თითქმის მილიონიანი ფონდი ჰქონდა, ქალებს აქ მხოლოდ 220 ათასი დოლარი უნდა გაეთამაშებინათ. თითქმის ყველა წამყვანი მოთამაშე დოჰაში თამაშობდა, აქ კი ძირითადად გრუნტის მოყვარულები იყვნენ შეკრებილნი. საკმაოდ სნრაფად გამოეთიშნენ ბრძოლას განთესვის ლიდერები - გერმანელი **იულია გორგესი** მეორე წრეში გავარდა, სლოვენიელმა **პოლინა ჰერცოგმა** კი პირველივე შეხვედრა წააგო.

ზედიზედ მეორე ტურნირის მეოთხედფინალს მიაღწია ესპანელმა **ლაურა პოუს-ტიომ**. რეიტინგის მიხედვით ის ბოლო იყო ძირითად ბადეში, მაგრამ შეძლო ორი რუმინელის - **სიმონა ჰალეპისა** და **სორანა კირსტეას** დამარცხება და მხოლოდ მომავალ ჩემპიონ **ხისელა დულკოსთან** წააგო. არგენტინელის აკაპულკომდე მხოლოდ ავსტრალიის ღიაზე ჰქონდა ნათამაშები, სადაც **კაროლინ ვოზნიაცკისთან** დამარცხდა. მექსიკური სტარტისთვის ის კარგად მოემზადა და ფინალამდე ჩატარებული ოთხი მატჩიდან სამში იოლი გასეირნება გამოუვიდა. ყველაზე მეტად სწორედ პოუს ტიოს დამარცხება გაუჭირდა, სადაც ესპანელმა პირველი სეტი მოიგო და მეორეშიც ახლოს იყო გამარჯვებასთან.

ორივე ნახევარფინალი მხოლოდ ერთი საათი გაგრძელდა და თითქმის ერთნაირი ანგარიშით დასრულდა: დულკომ მოუგო **ანაბელ მედინა-გარიგესს** (6:0, 6:2), **პარა-სანტონხამ** შვედი **იოჰანა ლარსონი** შეაჩერა (6:2, 6:0). გადამწყვეტი მატჩი ნერვული გამოვიდა, ორივე ჩოგბურთელი ხშირად ცდებოდა, ბრეიკები კი ძალიან ბევრი იყო - 14 ჯამში გათამაშებული 21 გეიმიდან. ასეთ დაძაბულ ბრძოლაში უფრო ძლიერი დულკო აღმოჩნდა - 6:3, 7:6. არგენტინელმა კარიერაში მეოთხე და ბოლო სამი წლის განმავლობაში პირველი ტიტული გაიფორმა.

ATP

Abierto Mexicano Telcel

აკაპულკო (მექსიკა). მრუნტი
საპრიზო ფონდი: 995 000 დოლარი

ფინალი

დავიდ ფერერი (ესპ, 1)-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 3) 7:6, 6:7, 6:2.

International Tennis Championships

დელრეი ბიჩი (აშშ). ჰარდი
საპრიზო ფონდი: 442 5000 დოლარი

ფინალი

ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ)-იანკო ტიპსარევიჩი (სურ, 6) 6:4, 6:4.

WTA

Abierto Mexicano Telcel

აკაპულკო (მექსიკა). მრუნტი
საპრიზო ფონდი: 220 000 დოლარი

ფინალი

ხისელა დულკო (არგ)-არანჩა პარა-სანტონხა (ესპ, 6) 6:3, 7:6(5).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ფორმულა 1

მელბურნის ავტოდრომი

მერსედესი დაიმლერისაა

მნიშვნელოვანი გარიგება მოხდა გუშინ ფორმულა 1-ში. კომპანია „დაიმლერი“ თავის ფინანსურ პარტნიორ Aabar Investments PJS-თან ერთად გერმანული საჯინიბოს - „მერსედეს გრან-პრის“ ერთპიროვნული მფლობელი გახდა.

„დაიმლერმა“ და Aabar-მა გამოისყიდეს გუნდის აქციათა დარჩენილი 24 პროცენტი, რომელიც გუნდის შეფს **როს ბრაუნსა** და მის პარტნიორებს ეკუთვნოდათ.

„მერსედეს გრან-პრის“ შეძენა იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ყველაზე პრესტიჟულ სერიაში ტექნიკური და სპორტული პროგრესის მიღწევა გვინდა“, - განაცხადა „დაიმლერის“ შეფმა **დიტერ ცეტშემ**.

„დაიმლერისა“ და Aabar-ის მიერ საჯინიბოს შეძენა - ეს არის გუნდის გაძლიერებისკენ გადადგმული მორიგი ნაბიჯი“, - აღნიშნა „მერსედეს გრან-პრის“ ბოსმა როს ბრაუნმა.

■ ■ ■

ბაჰრეინის რბოლის გაუქმების შემდეგ სეზონის გახსნის პატივი ავსტრალიის გრან-პრიმ მოიპოვა. ეს რბოლა 1996 წლიდან ტარდება და მელბურნის ტრასაზე აქამდე 13-ჯერ ჩატარდა ჩემპიონატის პირველი ეტაპი. ბევრს მიაჩნია, რომ ამ ტრასის (რომელიც ქუჩისა და სტაციონარული ავტოდრომების ერთგვარი ნაზავია) მიხედვით რთულია იმსჯელო გუნდების მომზადების დონეზე. თანაც სეზონის საწყის რბოლებში ბევრი საჯინიბო კარგავს ქულებს არასაიმედოობის გამო. მიუხედავად ამისა, მელბურნში მაინც საკმაოდ მაღალია „მომავალი ჩემპიონის გამოვლენის კოეფიციენტი“.

15 შემთხვევიდან ათჯერ ჩემპიონატს იგებდა ის პილოტი, რომელიც ავსტრალიაში პირველი მიდიოდა ფინიშთან, თანაც ბოლო ხუთ წელიწადში ასეთი რამ ოთხჯერ მოხდა.

გრან-პრი	სეზონი
1996 დეიმონ ჰილი	დეიმონ ჰილი
1997 დევიდ კულტჰარდი	ჟაკ ვილნევი
1998 მიკა ჰაკინენი	მიკა ჰაკინენი
1999 ედი ირვაინი	მიკა ჰაკინენი
2000 მიხაელ შუმახერი	მიხაელ შუმახერი
2001 მიხაელ შუმახერი	მიხაელ შუმახერი
2002 მიხაელ შუმახერი	მიხაელ შუმახერი
2003 დევიდ კულტჰარდი	მიხაელ შუმახერი
2004 მიხაელ შუმახერი	მიხაელ შუმახერი
2005 ჯანკარლო ფიზიკელა	ფერნანდო ალონსო
2006 ფერნანდო ალონსო	ფერნანდო ალონსო
2007 კიმი რაიკონენი	კიმი რაიკონენი
2008 ლუის ჰემილტონი	ლუის ჰემილტონი
2009 ჯენსონ ბატონი	ჯენსონ ბატონი
2010 ჯენსონ ბატონი	სებასტიან ფეტელი

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

ჰორსენსი-ესბერგი	1:0
რანდერსი-სკივე	4:2

ინგლისი

სტოკი-ვესტ ბრომვიჩი	1:1

იტალია

მილანი-ნაპოლი	3:0

ესპანეთი

მალაგა-ალმერია	3:1

გერმანია

II ბუნდესლიგა

აუგსბურგი-აუე	2:1

საფრანგეთი

II დივიზიონი

ჰავრი-ტური	4:3

პოლანდია

II დივიზიონი

ფორტუნა-იგლზი	0:1

პორტუგალია

ნავალი-ბრაგა	0:0

შვეიცარია

ჩელენჯლიგა

ვილი-სერვეტი	0:0

საბერძნეთი

II დივიზიონი

ლევადია-ოფი	1:1
ტრასივულოსი-ეთნიკოსი	2:0

თურქეთი

ანტალია-ბეშიქთაში	0:2

კვიპროსი

ოლიმპიაკოსი-ალკი	1:1

ჩეხეთი

ბანიკი-სპარტა	0:2

რუსეთის ბატონი

1/8 ფინალი

ცსკა-შინიკი	1:0

რუმინეთი

ტარგუ-ვასლუი	0:2
ასტრა-გლორია	1:0

ბულგარეთი

ლოკომოტივი (ს)-მონტანა	2:0

კალათბურთი

ისრაელი

მაკაბი (თ-ა)-ჰაპოელი (გ)	85:79
ჰაპოელი (ი)-აშკელონი	107:89

პოკერი

კელ

ბარისი-აკ ბარსი	2:4
სიბირი-ს. იულიაევი	0:5
იუგრა-მეტალურგი (მ)	1:2
ნეფტიხიმიკი-ავანგარდი	1:3

ბელარუსი

ვიტებსკი-იუნოსტი	3:8
სოკოლი-შინიკი	5:2
ბრესტი-შახტიორი	2:5
მეტალურგსი-გომელი	1:4
ხიმიკი-მეტალურგი	1:5
მოგილიოვი-ნემანი	4:6

სლოვაკეთი

ნიტრა-კოშიცე	2:3 (გ)
სკალიცა-პოპრადი	1:2

ჩოგბურთი

WTA. კუალა ლუმპური

მორიტა-კუსტოვა	6:2, 6:0
ჩანგი-ჟანგი	4:6, 7:6, 4:6
საფაროვა-დიასი	7:5, 6:1
ნამიგატა-უ. რადვანსკა	1:6, 3:6
სკიავონე-დოკიჩი	6:2, 6:7, 4:6
ბრიანტი-ლერტჩეევაკარნი	4:6, 6:2, 2:6

WTA. მონტერეი

კერბერი-ჰერცოგი	3:6, 3:6

● კრივი

ახალი ტალანტი გამოჩნდა

გასულ უქმეებზე საკრივო სამყაროს ყურადღება ძირითადად მჩატე წონითი კატეგორიებისკენ იყო მიპყრობილი. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ გლობალურ სიურპრიზებს ადგილი არ ჰქონია: ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძოლები ლოგიკური შედეგით დასრულდა.

ერთადერთი სიურპრიზი აღმოჩნდა მექსიკის კერეტაროში გამართული ბრძოლის მსვლელობა (და არა შედეგი). უმჩატეს წონაში WBO-ის ჩემპიონი **ხულიო სეზარ მირანდა** (35-5-1, 28KO) უცნობ ფილიპინელ **არდენ დიალას** (14-6-3, 3KO) ხვდებოდა. ბრძოლის წინ თამამად აცხადებდნენ, რომ მოქმედ ჩემპიონს პრობლემა არ უნდა შექმნოდა. რაოდენ დიდი იყო მაყურებლის გაკვირვება, როდესაც მირანდას გამოეპარა აზიელის შესანიშნავი დარტყმა მარჯვნიდან და რინგზე დაეცა. მექსიკელი სწრაფად წამოდგა და ვითომც არაფერი, მოწინააღმდეგის დამუშავება დაიწყო, რამაც დიდი უპირატესობა მოუტანა - მესამე და მეოთხე რაუნდებში ფილიპინელი თავად აღმოჩნდა ნოკდაუნში, მეოთხე რაუნდის შუაში კი ბრძოლა შეწყვიტა.

■ ■ ■

უქმეების ცენტრალური ბრძოლა გაიმართა ლას ვეგასის „პალმ კაზინოში“, სადაც მჩატე წონაში WBA-ის ჩემპიონი **მიგელ აკოსტა** (28-4, 22KO) და პრეტენდენტი **ბრენდონ რიოსი** (27-0, 20KO) ხვდებოდნენ ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ შაბათ-კვირას სხვა საჩემპიონო ბრძოლებიც ტარდებოდა, მთავარი ყურადღება სწორედ ამ შეხვედრისკენ იყო მიპყრობილი. პროგნოზი გამართლდა: აკოსტასა და რიოსის ბრძოლას ინტრიგაც ჰქონდა, სანახაობრივი მხარეც, დაძაბულობაც...

შეხვედრის დასაწყისი მთლიანად ჩემპიონს დარჩა. თითქოს ბრძოლის წინ რიოსის ტრაბახი და ბაქიაობა ცარიელ სიტყვებად რჩებოდა, რადგან ამერიკელს თითქმის არაფერი გამოსდიოდა და მუდმივად ატარებდა მეტოქის გვერდით დარტყმებსა და აპერკოტებს.


ბრენდონ რიოსი

მაგრამ ბრძოლის შუაში ყველაფერი თავდაყირა დადგა. ბრენდონ რიოსმა გაუძლო სასტარტო ზეწოლას, რის შემდეგაც ვენესუელელი დაიღალა და ტემპს უკლო, პრეტენდენტი კი შეტევაზე გადავიდა. ამერიკელის გააქტიურების ლოგიკურ დასასრულად იქცა ზუსტი მარჯვენა პირდაპირი დარტყმა, რომელმაც ჩემპიონი რინგზე დასცა. მიუხედავად იმისა, რომ აკოსტამ წამოდგომა და ბრძოლის გაგრძელება მოახერხა, ცხადად ჩანდა, რომ ის განადგურებული იყო. მომდევნო რაუნდებში მან სიტუაციის გამოსწორება სცადა, მაგრამ ისევ გაატარა უძლიერესი დარტყმა და ისევ ნოკდაუნში ჩავარდა.

მეცხრე რაუნდმა შეგვახსენა, რომ ორივე მოკრივე კარგი ნოკაუტერია და ორივეს ბრძოლის ვადაზე ადრე დასრულება სურდა. აკოსტას შემთხვევაში ეს სურვილი გასაგები იყო - ასეთ მდგომარეობაში მას ნოკაუტი თუ უშველიდა, მაგრამ დარტყმების გაცვლისას უფრო ძლიერი პრეტენდენტი იყო. ბრენდონ რიოსმა ჩემპიონი ბაგირებთან მიიმწყვდია, ძლიერი მარჯვენა ჰუკი მოსცხო და ვენესუელელი მესამედ დაეცა რინგზე.

ასე რომ, მჩატე წონაში WBA-ის ვერსიით ახალი ჩემპიონი ახალგაზრდა ამერიკელი გახდა, რომელსაც სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

■ ■ ■

კიდევ ერთი საჩემპიონო ბრძოლა გაიმართა მექსიკის ქალაქ მერიდაში, სადაც WBC-ის ტიტული შეინარჩუნა პირველ მჩატე წონაში **გილბერტო კებ ბაასმა** (35-20-4, 22KO). პრეტენდენტი იყო **ხოსე ანტონიო აგირე** (35-10-1, 21KO).

აღსანიშნავია, რომ მოკრივეების ძალის მიხედვით ეს ჩხუბი ჯერ კიდევ დაწყებამდე მონათლეს ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე სუსტ სატიტულო ბრძოლად. თუნდაც იმიტომ, რომ ჩემპიონს კარიერაში 20 ბრძოლა აქვს წაგებული. ასეა თუ ისე, ჩემპიონის რანგში პირველი გამარჯვება მოიპოვა 33 წლის მექსიკელმა კებ ბაასმა, რომელმაც მეტოქე აიძულა აღარ გასულიყო რინგზე მერვე რაუნდში.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● TV პროგრამა

1 მარტი. სამშაბათი

GMG-ფეხბურთი

23:45 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-მანჩესტერ იუნ (LIVE).

GMG-სპორტი

23:30 გერმანიის თასი. 1/2 ფინალი. დუისბურგი-კოტბუსი (LIVE).

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-მალიორკა (LIVE).
00:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-სპორტინგი (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

06:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფინიქსი-დალასი (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

20:55 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. პლეი ოფი. იასტრჟებსკი-ნოლიკო (LIVE).

HTB-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)

18:45 რუსეთის თასი. 1/8 ფინალი. ანჟი-ზენიტი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

19:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

05:00 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მინესოტა-ლეიკერსი (LIVE).

SPORT+

18:45 ფეხბურთი. რუსეთის თასი. 1/8 ფინალი. ანჟი-ზენიტი (LIVE).

EUROSPORT

15:45 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი. 15 კმ. კაცები. ოსლო. ნორვეგია (LIVE).

EUROSPORT-2

21:30 კალათბურთი. ევროთასი. მეორე ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ესტუდიანტესი (ესპანეთი)-გალათასარაი (თურქეთი) (LIVE).

● ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

რეინჯერსი-ტამპა ბეი 1:2

0:1, 1:0, 0:1

გოლები: 0:1 სენტ ლუისი-24 (დაუნი-19), 1:1 პრუსტი-10 (მაკდონაპი-5, ბ. ბოილი-12), 1:2 ლეკავალიე-15 (სენტ ლუისი-51, პურსელი-25).

კალგარი-სტ. ლუისი 1:0

0:0, 0:0, 1:0

გოლი: 1:0 მოსი-15 (ტანგეი-32).

ჩიკაგო-ფინიქსი 4:3 (ბ)

2:0, 1:3, 0:0, 0:0

გოლები: 1:0 ტეუვზი-21 (კოპეცკი-24, სტალბერგი-9), 2:0 ტეუვზი-22 (სიბრუკი-30, პ. კეინი-32), 2:1 ა. ოკუანი-3 (იენდლი-44, დოუნი-29), 3:1 მარიან ჰოსა-15 (პ. კეინი-33, კეიტი-28), 3:2 იენდლი-10 (რეი უიტნი-35, ბოდკერი-7), 3:3 ჰანეალი-15 (რეი უიტნი-36, ბოდკერი-8).

ბულიტები გაიტანეს: ტეუვზი (ჩიკაგო).

ანაჰაიმი-კოლორადო 3:2

0:1, 2:0, 1:1

გოლები: 0:1 ჰორტერი-11 (დუშენი-28, ჰოლოში-4), 1:1 გეტცლაფი-16 (პერი-37, რაიანი-22), 2:1 მარჩანტი-1 (სბისა-6, ი. რუუტუ-9), 2:2 დ. ჯონსი-23 (ჰანვიკი-9, პ. შჩასტნი-31), 3:2 მაკმილანი-9 (რაიანი-23, ბოშემენი-11).

ედმონტონი-ბოსტონი 2:3

1:2, 0:1, 1:0

გოლები: 1:0 ჰემსკი-14 (ვანდერმეერი-9, პენერი-18), 1:1 რაიდერი-17 (ლუჩიჩი-19, მაკუეიდი-10), 1:2 ჰორტონი-17 (კრეისი-38, საიდენბერგი-21), 1:3 პეიერლი-15 (რაიდერი-19, კელი-12), 2:3 ბრული-7 (ებერლე-20, სტადვიკი-1).

ნეშვილი-კოლამბუსი 3:2

0:0, 0:1, 3:1

გოლები: 0:1 კალვერტი-10 (უმბერგერი-27, კლიტსომი-11), 1:1 მ. უებერი-13 (რ. სუტერი-26, ფიშერი-13), 2:1 ბლუმი-1 (ჯ. უორდი-14, სპალინგი-4), 2:2 რასელი-4, 3:2 ლეგვანდი-10 (ერატი-23, შ. უებერი-26).

ატლანტა-ტორონტო 3:2 (ო)

0:2, 0:0, 2:0, 1:0

გოლები: 0:1 კულემინი-22 (გრაბოვსკი-22, მაკარტური-29), 0:2 კესელი-26, 1:2 ლედი-23 (ველერი-18, ენსტრიომი-38), 2:2 სტეპლტონი-1 (ე. სტიუარტი-19, ბოგოსიანი-9), 3:2 ჰეინსი-2 (ლიტლი-22, ოდუია-14).

ფლორიდა-ნიუ ჯერსი 1:2

0:0, 0:2, 1:0

გოლები: 0:1 კლარკსონი-9 (პელეი-5, მეირი-2), 0:2 როლსტონი-11 (ზუბრუსი-12), 1:2 რისონერი-13 (რეპიკი-2, სანტორელი-15).

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მოდა

რეტრომარია

რუსმა ჩოგბურთელმა **მარია შარაპოვამ** ჟურნალ Tatler-სთვის ფოტოსესია გამართა. აქ მან წარმოადგინა კომპანია Cole Haan-ის გაზაფხული/ზაფხულის კოლექცია, რომელიც თავად ჩოგბურთელის დიზაინის მიხედვით არის შექმნილი.

ნომერი მარტში გამოვა რეალიზაციაში.

● კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

ვარსკვლავთცვენა ფლორიდაში

რეგულარული ჩემპიონატის მორიგ სათამაშო დღეს ორი შეხვედრა იყო გამორჩეული. ერთში „მაიამი" საკუთარ მოედანზე მასპინძლობდა „ნიუ იორკს". ამ მატჩს განსაკუთრებული ინტრიგა ჰქონდა - ფლორიდელთა „დიდი ტრიო" ნიუიორკელთა ახალი ვარსკვლავური დუეტის (**სტაუდმაიერი-ენტონი**) წინააღმდეგ. სხვა თუ არაფერი, ამ შეხვედრაში მოედანზე იყო მიმდინარე სეზონის ხუთი საუკეთესო სნაიპერიდან ოთხი.

„ნიუ იორკმა", რომელიც კარგი შეტევით არის ცნობილი, ამჯერად დაცვაში გამოიჩინა თავი - „მაიამის" ჯამში 20 შეცდომა დააშვებინა და მეორე ტაიმში მხოლოდ 35 ქულა დააგროვა. არადა, მასპინძლებისთვის მატჩი კარგად დაიწყო. სამხრეთელებს პირველ მეოთხედში ყველაფერი გამოსდიოდათ, მეორე მეოთხედში კი „ნიუ იორკის" მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა, რადგან „ჰიტის" უპირატესობა დიდ შესვენებამდე ოთხწუთნახევრით ადრე 15 ქულას შეადგენდა. თუმცა ამის შემდეგ **ლებრონი** და კომპანია გაჩერდნენ და მეტოქის 16:0 სპურტი გამოეპარათ. წინ უკვე „ნიქსი" იყო - 52:51.

შესვენების შემდეგ გუნდებმა უფრო მეტი ყურადღება დაცვას დაუთმეს. დაიწყო ნერვული და დაძაბული თამაში და ვერც ერთი გუნდი სოლიდური სხვაობით წინ გასვლას ვერ ახერხებდა. საფინალო სირენამდე სამი წუთი რჩებოდა, როცა **ლებრონ ჯეიმსმა** გარღვევით ორი ქულა მოიპოვა და როგორც შემდეგ გაირკვა, ეს იყო „მაიამის" ბოლო ზუსტი ტყორცნა თამაშიდან. ფლორიდელები 84:78 დაწინაურდნენ, მაგრამ ამას მოჰყვა „ნიუ იორკის" მორიგი გაქცევა - 13:2, რისი წყალობითაც სტუმრებმა უმნიშვნელოვანეს გამარჯვებას მიაღწიეს.

■ ■ ■

„დასავლეთის ფინალის რეპეტიცია", - ასე მონათლა ერთ-ერთმა კომენტატორმა „ოკლაჰომასა" და „ლეიკერსის" მატჩი. რა თქმა უნდა, ასეთ განსაზღვრებას არ დაეთანხმებიან „სან ანტონიო" და „დალასი", თუმცა მოვლენათა ამგვარი განვითარებაც არ იქნება გასაკვირი.

ამ მატჩში რამდენიმე საინტერესო დუელი იყო მოსალოდნელი. მაგალითად, დაცვაში ერთი ერთზე თამაშის სპეციალისტი **ტაბო სეფოლოშა კობი ბრაიანტის** წინააღმდეგ. შვეცარიელი სტარტზე ბრწყინვალედ გამოიყურებოდა - „ლეიკერსის" ლიდერს გასაქანი არ მისცა, თან ორი სამქულიანი ჩააგდო და „თანდერი" 12:2 გავიდა წინ. ბუნებრივია, „ლეიკერსი" ასე იოლად არ დანებდებოდა და ასეც მოხდა: კალიფორნიელებმა იქვე 7:1 სპურტით უპასუხეს.

მეორე ტაიმში სათადარიგოების ჯერი დადგა. „ოკლაჰომას" წინა ხაზი უფრო სწრაფი და მობილური აღმოჩნდა და ამან მასპინძლებს 10-ქულიანი უპირატესობა მოუტანა. **ფილ ჯექსონს** მოედანზე ბრაიანტის, **ბინუმისა** და **ფიშერის** დაბრუნება მოუწია და მალე ანგარიში გათანაბრდა - 42:42.

აშკარად ჩანდა, რომ ინტრიგა ამ შეხვედრაში ბოლომდე იცოცხლებდა და ასეც მოხდა. მეოთხე მეოთხედი **დურანტმა** და კომპანიამ კარგად დაიწყეს. შესანიშნავად მოქმედებდა ფარქვეშ **სერჟ იბაკა**, სამქულიანი ჩააგდო **კუკმა**... მაგრამ საბოლოო უპირატესობის მოპოვება მასპინძლებმა მაინც ვერ შეძლეს. ბრაიანტმა, როგორც იქნა, თავი დააღწია სეფოლოშას მარწუხებს და რამდენიმე საფირმო ტყორცნა მოათავსა კალათში. მოუმატა **გასოლმაც**. მოკლედ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც შარშანდელი პლეი ოფის პირველ წრეში, როცა ახალგაზრდა „ოკლაჰომამ" ბრძოლა მოახვია თავს „ლეიკერსს", მაგრამ ბოლოს მაინც ვერ გაუძლო მომავალი ჩემპიონის ძალას.

მიუხედავად ამისა, „თანდერს" ჰქონდა გადარჩენის შანსი. სამქულიანი ჩამორჩენისას ბოლო შეტევა მასპინძლებს ჰქონდათ, რომლებმაც ორჯერ მოასწრეს შორეული ტყორცნის შესრულება - ჯერ დურანტმა ააცილა, რის შემდეგაც შეტევაში მოხსნა **კოლისონმა** და **ჰარდენს** გადააწოდა, მაგრამ მისი სამქულიანიც არაზუსტი გამოდგა.

■ ■ ■

მისმა ერთ-ერთმა სამქულიანმა მოუტანა „ფინიქსს" „ინდიანასთან" მატჩში ოვერტაიმი, სადაც „მზეებმა" გატეხეს მეტოქის წინააღმდეგობა.

ინდიანა-ფინიქსი 108:110 (ო)

29:33, 22:27, 21:22, 27:17, 9:11

ი: გრეინჯერი (25+6 პასი), პრაისი (18+5 მოხსნა), ჰენსბრო (13+5 მოხსნა), რაში (11+8 მოხსნა).

ფ: ჰილი (34+9 მოხსნა), გორტატი (17+11 მოხსნა), დადლი (15), ფრაი (14+10 მოხსნა), ნეში (10+13 პასი+5 მოხსნა).

ოკლაჰომა-ლეიკერსი 87:90

28:22, 28:29, 13:21, 18:18

ო: უესტბრუკი (22+6 მოხსნა+6 პასი), დურანტი (21), ჰარდენი (14), სეფოლოშა (10).

ლ: გასოლი (18+11 მოხსნა), ბრაიანტი (17+7 პასი), ბინუმი (16+10 მოხსნა+5 დაფარება), არტესტი (10).

კლივლენდი-ფილადელფია 91:95

23:22, 20:27, 21:26, 27:20

კ: ჰიქსონი (22+16 მოხსნა), სეშენსი (20+6 მოხსნა+10 პასი), ჯეიმისონი (16), სამუელსი (12+6 მოხსნა).

ფ: ბრენდი (16+8 მოხსნა), უილიამსი (16), მიქსი (14+3 ჩაჭრა), ჰოლიდეი (13+6 მოხსნა+9 პასი), იანგი (12+5 მოხსნა), ტერნერი (10).

მინესოტა-გ. სტეიტი 126:123

32:41, 37:32, 35:16, 22:34

მ: ლავი (37+23 მოხსნა), ბიზლი (25+9 მოხსნა), ჯონსონი (17+7 მოხსნა+4 ჩაჭრა), რიდნური (13+5 პასი), ტოლივერი (12+10 მოხსნა), პეკოვიჩი (11).

გ-ს: კარი (33+11 მოხსნა), რაიტი (26), ელისი (20+5 მოხსნა+8 პასი+6 ჩაჭრა), ლი (20+10 მოხსნა+5 პასი).

ორლანდო-შარლოტი 100:86

30:28, 29:23, 21:18, 20:17

ო: ჰოვარდი (20+10 მოხსნა), ბასი (17+3 დაფარება), არენასი (16), ნელსონი (13+7 პასი), რიჩარდსონი (11+6 მოხსნა).

შ: ჯექსონი (35+6 მოხსნა), დიაო (11+9 მოხსნა), ოგუსტინი (11).



მაიამი-ნიუ იორკი

დღის რიცხვები

- **კობი ბრაიანტმა** „ოკლაჰომასთან" მატჩში 17 ქულა დააგროვა და ყველა დროის ბომბარდირთა სიაში გადაასწრო **ელვინ ჰეიესს**. ახლა „შავი მამბა" 27 320 ქულით მეშვიდე ადგილზეა. სავარაუდოდ, ერთ-ორ კვირაში კობი **მოზეს მელოუნს** შეავიწროებს და მეექვსე ადგილზე გადაინაცვლებს. ახლა მათ შორის სხვაობა 89 ქულას შეადგენს.

ბომბარდირების ათეული

1. ქარიმ აბულ-ჯაბარი	38 387
2. კარლ მელოუნი	36 928
3. მაიკლ ჯორდანი	32 292
4. უილტ ჩემბერლენი	31 419
5. შაკილ ო'ნილი	28 590
6. მოზეს მელოუნი	27 409
7. კობი ბრაიანტი	27 320
8. ელვინ ჰეიესი	27 313
9. ჰაკიმ ოლაჟუონი	26 946
10. ოსკარ რობერტსონი	26 710

- გუშინ ისტორია გადაწერა **ტიმ დანკანმაც**. „მემფისთან" მატჩში მან ხუთი დაფარება დააგროვა, რისი წყალობითაც ბლოკშოტების რაოდენობით გაუთანაბრდა **ალონსო მოურნინგს** - 2356. ახლა ეს კალათბურთელები მეათე ადგილს იყოფენ საუკეთესო დამფარებლების სიაში. მალე დანკანი მეცხრე ადგილზე გადავა, რადგან ამ პოზიციაზე მყოფ **რობერტ პერიშს** სულ რაღაც ხუთი დაფარებით ჩამორჩება.

- „ორლანდოს" მცველმა **ჯეისონ რიჩარდსონმა** „შარლოტთან" მოგებულ მატჩში ოთხი ტყორცნა მოათავსა კალათში. კარიერის განმავლობაში 30 წლის მოთამაშეს თამაშიდან 5000 ბურთი აქვს ჩაგდებული.

გუშინ რამდენიმე კალათბურთელს ინდივიდუალურად ბრწყინვალე სტატისტიკა ჰქონდა. პირველ რიგში, უნდა გამოვარჩიოთ „მინესოტას" ლიდერი **კევინ ლავი**. მან „გოლდენ სტეიტთან" შეხვედრაში მოედანზე 41 წუთი გაატარა და 37 ქულა (თამაშიდან - 8/13, სამქულიანი - 3/4, საჯარიმო - 18/23) დააგროვა. ამას დაემატა 23 მოხსნა, 2 ჩაჭრა და ერთი პასი. ეს იყო ლავის ზედიზედ 46-ე ორმაგი დუბლი. გარდა ამისა, „მგლების" ფორვარდმა ამ სეზონში მეოთხე მატჩი ჩაატარა, როცა მინიმუმ 30 ქულითა და 20 მოხსნით გამოიჩინა თავი.

ბრწყინვალე იყო **მანუ ჯინობილი**. მას შემდეგ, რაც „მემფისთან" მატჩში ტრავმის გამო მოედანი დატოვა **ტონი პარკერმა**, არგენტინელი მარტო გაუსწორდა „დათვებს". მანუს ანგარიშზე ბოლო მეოთხედში 18 ქულა იყო, სულ კი 35 ქულა დააგროვა, რაც სეზონში შედეგიანობის პირადი რეკორდი გახლავთ. სხვათა შორის, „სან ანტონიომ" ზედიზედ 21-ე საშინაო გამარჯვება მოიპოვა და ეს ამ გუნდის რეკორდია ერთი სეზონისთვის.

დღის მესამე გმირად უნდა მოვნათლოთ 38 წლის **გრანტ ჰილი**. მანაც ამ სეზონში შედეგიანობის პირადი რეკორდი დაამყარა - 44 წუთში 34 ქულა (თამაშიდან - 14/26, სამქულიანი - 4/7, საჯარიმო - 2/2) დააგროვა და ამას 9 მოხსნა, 4 პასი, თითო მოხსნა და დაფარება დაუმატა. სწორედ

ტორონტო-დალასი 96:114

30:24, 27:26, 15:25, 24:39

ტ: ჯონსონი (21+7 მოხსნა), დეროზანი (19), კალდერონი (15+8 მოხსნა+8 პასი).

დ: ნოვიცკი (31+13 მოხსნა), მერიონი (20+6 მოხსნა), ტერი (19+5 პასი), მაინმი (13), ბარეა (12+9 პასი).

ნიუ ორლეანი-ჰიუსტონი 89:91

27:21, 28:19, 17:22, 17:29

ნ-ო: უესტი (22+9 მოხსნა+5 პასი), ბელინელი (14), არიზა (13+7 მოხსნა), ლენდრი (13), პოლი (6+12 პასი+3 ჩაჭრა), ოკაფორი (6+14 მოხსნა).

ჰ: მარტინი (33+5 მოხსნა), ლოური (18), ჰეიესი (6+11 მოხსნა+5 პასი).

სან ანტონიო-მემფისი 95:88

26:16, 17:19, 16:28, 36:25

ს-ა: ჯინობილი (35+6 მოხსნა+8 პასი), ბონერი (14), ჰილი (14), დანკანი (12+8 მოხსნა+5 დაფარება).

მ: რენდოლფი (24+17 მოხსნა+5 პასი), კონლი (19), არტური (12), ალენი (10).

მაიამი-ნიუ იორკი 86:91

34:23, 17:29, 15:13, 20:26

მ: ჯეიმსი (27+7 მოხსნა+5 პასი), ბოში (20+12 მოხსნა), უეიდი (12+7 მოხსნა+9 პასი+3 ჩაჭრა), მილერი (10).

ნ-ი: ენტონი (29+9 მოხსნა), სტაუდმაიერი (16+10 მოხსნა), ბილაპსი (16), უოკერი (10+7 მოხსნა).

პორტლენდი-ატლანტა 83:90

18:19, 18:29, 13:20, 34:22

პ: მილერი (20+7 მოხსნა), ოლდრიჯი (19+8 მოხსნა), მეტიუზი (12+3 ჩაჭრა).

ა: კროუფორდი (23), ჯონსონი (22), სმიტი (14+11 მოხსნა+3 ჩაჭრა), უილიამსი (11+7 მოხსნა).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა